რამაზ აბესაძე

ეკონომიკური განვითარების თეორია

Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

RAMAZ ABESADZE

THEORY OF ECONOMIC DEVELOPMENT

Tbilisi
2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

რამაზ აბესაძე

ეკონომიკური განვითარების თეორია

თბილისი
2016

უაკ (UDK) 330.34
ა – 159

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან დისციპლინას "ეკონომიკური განვითარების თეორია". მასში განხილულია ეკონომიკური განვითარების თეორიული ხასიათის საკითხები.

წიგნი ასევე განკუთვნილია მეცნიერ ეკონომისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი:
როზეტა ასათიანი – ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:
გიორგი ბერულავა – ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
ნანული არევაძე – ეკონომიკის დოქტორი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2016

ISBN 978-9941-13-556-9

The book examines the theoretical aspects of economic development. The book is Design as a guide for students studying the following subjects – "Economic development and the Theory of Economic Development".

The book is also designed for scientists-economists and a broad circle of readers.

Scientific Editor:
Rozeta Asatiani – doctor of economic sciences, professor

Reviewers:
George Berulava – Doctor of Economic Sciences, Professor
Nanuli Arevadze – Doctor of Economics

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics, 2016

ISBN 978-9941-13-556-9

წინასიტყვაობა

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს და ეძღვნება ეკონომიკური განვითარების თეორიულ პრობლემებს. იგი საქართველოს სინამდვილეში პირველი გამოცემაა, თუმცა მას წინ უსწრებდა ჩვენ მიერ "ეკონომიკური განვითარების", როგორც დისციპლინის პირველი და მეორე გამოცემა [5; 31], რომლებიც განკუთვნილია ბაკალავრებისათვის.

წინამდებარე წიგნის დანიშნულებაა გაღმოსცეს: ეკონომიკური განვითარების არსი; ურთიერთკავშირი ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის; განვითარების არსებული თეორიები; ეკონომიკური განვითარების დეტერმინანტთა სისტემა; ეკონომიკური განვითარების თავისებურებები განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში; ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მეწარმეობა, მეცნიერება, ინოვაციები, განათლება, ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალი, უმუშევრობა, მოსახლეობის ზრდა, ცხოვრების დონე, სიღარიბე, ეკოლოგიური სიტუაცია, გლობალიზაცია, და სხვ.

წიგნი მსოფლიოში არსებული ნაშრომებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი მოიცავს ეკონომიკური განვითარების ზოგად პრობლემებს და არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრობლემებს.

როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე წიგნი წარმოადგენს პირველ გამოცემას და ამიტომ უნაკლო ვერ იქნება. ავტორი დიდი სიამოვნებით მიიღებს საქმიან შენიშვნებს.

თავი I

ეკონომიკური განვითარების თეორიის საფუძვლები

1.1. ეკონომიკური განვითარების არსი

ეკონომიკური განვითარების არსი ყველაზე კარგად ეკონომიკურ ზრდასთან მის შედარებაში ვლინდება. ეკონომიკრ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური განვითარება უკავშირდება ეკონომიკაში თვისებრივ, ხოლო ეკონომიკური ზრდა ⌜ რაოდენობრივ ცვლილებებს.

შეიძლება განიმარტოს, რომ ეკონომიკური ზრდა ნიშნავს ეკონომიკის მასშტაბების რაოდენობრივ გადიდებას, ეკონომიკური განვითარება კი მის თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას.

მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ეკონომიკური განვითარების გარეშე და პირიქით. თუმცა გრძელვადიან პერიოდში, სწორედ, ეკონომიკური განვითარება განაპირობებს ეკონომიკური ზრდის არნახულ მასშტაბებს.

ეკონომიკური განვითარება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური დაქვეითების მიზეზიც კი შეიძლება იყოს. მაგალითად, როდესაც ერთი ეკონომიკური წყობიდან ხდება მეორე, უფრო პროგ-

რესულ ეკონომიკურ წყობაზე გადასვლა ინგრევა ძველი ინსტიტუციები და საფუძველი ეყრება ახალს, რაც ეკონომიკური დაქვეითების მიზეზი ხდება. ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის შენელებისკენაც შესაძლებელია იყოს მიმართული. კონკურენცია აიძულებს მეწარმეებს, აამაღლონ მწარმოებლურობა და გააიაფონ პროდუქცია. ამ პროცესში იცვლება ასევე წარმოებული პროდუქციის ფიზიკურ-რაოდენობრივი მახასიათებლებიც. ჯერ ერთი, წარმოებული პროდუქციის მასა ხდება უფრო "მსუბუქი" და, მეორეც, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ფიზიკური სახით გამოხატული პროდუქციის რაოდენობრივ კლებასაც (მაგალითად, ქსეროქსის, სკანერისა და პრინტერის ერთ კომბაინში გაერთიანება. კომპიუტერი მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოყენებული პროდუქციის რაოდენობას და მრავალი სხვ.). ასეთ პირობებში მაღლდება როგორც კეთილდღეობის დონე (იზრდება ცხოვრების კომფორტი), ისე ქვეყნის სიძლიერე (მაგალითად, სამხედრო სიძლიერე იზრდება თვისებრივად ახალი იარაღის გამოყენებით, რომელიც ცვლის მრავალ ძველ იარაღს, არსენალიდან იხსნება რა ძვირადღირებული შეიარაღება, ინერგება ბრძოლის ახალი, უფრო პროგრესული და ამასთან იაფი საშუალებები და ფორმები). ადამიანთა ცხოვრების დონისა და ქვეყნის სიძლიერის ზრდა ამ შემთხვევაში ხდება თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების, მასალა- და ენერგოტევადობის შემცირების, პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების გაუმ-

ჯობესებისა და სხვა თვისებრივი ცვლილებების შედეგად. ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებისკენაა მიმართული მდგრადი განვითარების მოთხოვნებიც. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდება მომავალში, ვინაიდან თანდათან იწურება არააღდგენადი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, აღდგენადი რესურსების შესანარჩუნებლად კი აუცილებელი ხდება ეკონომიკური ზრდის ტემპები მოყვანილ იქნეს ბუნების კელავწარმოების პროცესებთან შესაბამისობაში. მაგრამ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ზრდა შეწყდება, ვინაიდან ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეკონომიკური ზრდისკენაა მიმართული (გამოხატული როგორც ღირებულებითი, ისე ფიზიკური ფორმით). ეკონომიკური განვითარების შედეგად გამოწვეულ ეკონომიკური ზრდის შემანელებელ მოქმედებას შესაძლებელია "ეკონომიკური კლება" ეუწოდოთ, რაც ძირეულად განსხვავდება "ეკონომიკური დაქვეითებისაგან", ვინაიდან უკანასკნელი კრიზისული, უარყოფითი პროცესებითაა განპირობებული (რასაც უარყოფით შედეგებთან მივყავართ), ხოლო პირველი – დადებითი პროცესებით (რასაც მოსახლეობის კომფორტისა და ქვეყნის სიძლიერის ზრდასთან მივყავართ).

ეკონომიკური განვითარების პროცესები მიმდინარეობენ გარკვეული ეკონომიკური სისტემის შიგნით, მისი შემადგენელი ელემენტების განვითარებისა და ამ ელემენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ცვლილების შედეგად.

გამომდინარე აქედან, ეკონომიკური განვითარე-

ბის პროცესი არის ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე იმ ცვლილებების პროცესი, რომლებიც ეკონომიკის თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას განაპირობებენ. ეს კი ხორციელდება როგორც შიგა, ისე გარე ფაქტორების გავლენით ეკონომიკაზე.

იმ ქვეყნებმა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით (შექმნეს სრულყოფილი ინსტიტუციები და პროდუქციის ახალი სახეობები, გააუმჯობესეს ტექნოლოგიები და წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, მოახდინეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფა და ა.შ.), შეძლეს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა. ხოლო იმ ქვეყნებს, რომელთაც ვერ განახორციელეს მსგავსი გარდაქმნები, ნაკლებად განვითარებული საბაზრო ეკონომიკა აქვთ.

საეროდ, ეკონომიკურ განვითარებას ადგილი აქვს ნებისმიერი ეკონომიკური წყობის დროს და ნებისმიერი განვითარების დონის მქონე ქვეყანაში. აქ ერთმანეთისაგან მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ტემპები განსხვავდება მნიშვნელოვნად.

ეკონომიკურ განვითარებას, საბოლოო ანგარიშით, უნდა მოჰყვეს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება, რაც გამოიხატება არა მხოლოდ მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდაში, არამედ მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების თანდათან გათანაბრებასა და მათი კომფორტის ზრდაში.

1. რაში მდგომარეობს განსხვავება ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის? დაასახელეთ შესაბამისი მაგალითები.

2. დაასახელეთ მაგალითები: 1. როდესაც ძირითადად ადგილი აქვნდა (აძს) ეკონომიკურ ზრდას, ეკონომიკურ განვითარებას კი არა და პირიქით. 2. როდესაც ადგილი აქვნდა ორივეს ერთდროულად.

3. გამოიყენებს თუ არა ეკონომიკური განვითარების შეფერხება ეკონომიკურ დაქვეითებას და პირიქით?

4. თქვენი აზრით არსებობს თუ არა ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესები, რომლებიც დამახასიათებელია ყველა ქვეყნისათვის?

5. ფიქრობენება თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკურ განვითარებას ქვეყნის საერთო (სოციალურ, კულტურულ, თავდაცვით და ა. შ.) განვითარებაში?

6. რა არის ეკონომიკური კლება? ნიშნავს თუ არა ის ეკონომიკურ დაქვეითებას? დაასახელეთ ეკონომიკური კლების მაგალითები.

7. რომელი უფრო დიდ გაკვლენას ახდენს ერთმანეთზე ეკონომიკური სისტემა თუ სახელმწიფო წყობა?

8. თქვენი აზრით რომელი ეკონომიკური სისტემაა ყველაზე ფისალები?
9. რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ეკონომიკური სისტემის ელემენტებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის?

10. გაეცანით ჯონზე შუმპეტერის ნაშრომს "ეკონომიკური განვითარება" და მოუყაფალეთ მოკლე კონსპექტაცია

1.2. ეკონომიკური განვითარების ფუძემდებლური ფაქტორები

მეწარმეობა. ეკონომიკურ განვითარებას პირველი დიდი გამოკვლევა გამოუჩენილმა მეცნიერმა ჯოზეფ შუმპეტერმა მიუძღვნა თავის წიგნში "Theorie der wirtschaftlichen Entwicklung" [229]. იგი ეკონომიკური განვითარების ძირითად ფაქტორებად მეწარმეობასა და ინოვაციურ საქმიანობას მიიჩნევს. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით იქნა მეწარმეობა აღიარებული წარმოების მეოთხე ფაქტორად, მოგება კი მეწარმის და არა კაპიტალის შემოსავლად, როგორც ეს ითვლებოდა ჯ. ბ.

სეის სამფაქტორიან მოდელში.

შუმპეტერი განიხილავს 5 ახალ კომბინაციას, რომელსაც მეწარმე უნდა ახორციელებდეს. ეს კომბინაციებია: 1. ჯერ კიდევ უცნობი სიმდიდრის დამზადება ან რომელიმე ახალი ხარისხის მქონე სიკეთის შექმნა; 2. წარმოების ახალი, ჯერ კიდევ უცნობი მეთოდის დანერგვა; 3. გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ასეთი ბაზრები; 4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროების ათვისება, დამოუკიდებლად იმისა, არსებობდა ის მანამდე, თუ არა; 5. შესაბამისი რეორგანიზაციის განხორციელება [330].

შუმპეტერი მეწარმეებს უწოდებს იმ სამეურნეო სუბიექტებს, რომელთა ფუნქციაა ახალი კომბინაციების განხორციელება. იგი აღნიშნავს, რომ ყველა დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი არ არის მეწარმე, რომელიც საქმიანობს თავისი რისკითა და პასუხისმგებლობით, რომ საკუთრების უფლება საწარმოს ან ნებისმიერ სხვა ქონებაზე არ წარმოადგენს არსებით ნიშანს მეწარმეობისათვის, რომ არა მხოლოდ გლეხები და ხელოსნები, რომელთაც ზოგჯერ მიაკუთვნებენ მეწარმეებს, არამედ მრეწველები, ფაბრიკანტები, კომერსანტები, რომლებიც მუდმივად ხვდებიან ამ ჯგუფში, სრულებითაც არ არიან მეწარმეები ყოველთვის. ამასთან, მეწარმე აუცილებლად უნდა იღებდეს მოგებას.

დღეისათვის, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე პრაქტიკაში, მეწარმეობა არაერთგვაროვ-

ნად აღიქმება. ერთი ნაწილის მოსაზრება ემთხვევა ი. შუმპეტერის მოსაზრებას, დანარჩენს კი მიაჩნია, რომ ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა არის მეწარმეობა.

ბუნებრივია, მეწარმეობა, გაგებული როგორც ნოვატორული სამეურნეო საქმიანობის სახეობა, მართლაც არის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი (მრავალი სხვა ფაქტორიდან) მნიშვნელოვანი ფაქტორი, ვინაიდან იგი ხელს უწყობს დადებითი თვისებრივი ცვლილებების განხორციელებას ეკონომიკაში. ამ დებულებას, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, მოწინააღმდეგე არ ჰყავს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეწარმეობრივი უნარი უკვე საყოველთაოდაა აღიარებული წარმოების ფაქტორად, ხოლო მეწარმეობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია არა წარმოების მუდმივ განმეორებად პროცესებთან, არამედ წარმოებაში ინოვაციების განხორციელებასთან, აუცილებლად ცალკე უნდა გამოიყოს.

ასეთ შემთხვევაში, ზოგადად, ინოვაციური და არაინოვაციური საქმიანობის აღსანიშნავად შესაძლებელია გამოვიყენოთ ტერმინი „სამეურნეო საქმიანობა“.

მაშასადამე, მეწარმეობა (როგორც ამას მეცნიერთა და პრაქტიკოსთა არცთუ მცირე ნაწილი მიიჩნევს) გაგებული უნდა იქნეს, როგორც სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რომლის დროსაც ადგილი აქვს ინოვაციების („ახალი კომბინაციების“) გა-

ნხორციელებას და რომელიც იძლევა მოგებას. მეწარმე კი არის ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ეწევა მეწარმეობას, ანუ ფლობს მეწარმეობრივ უნარს. ამასთან, ვინაიდან ი. შუმპეტერის შემდეგ ეკონომიკურმა თეორიამ და პრაქტიკამ დიდი ცვლილებები განიცადა, მის „ახალ კომბინაციებს“ უნდა დაემატოს შემდეგი კომბინაციები: 6. ინსტიტუციების სრულყოფა; 7. ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფა; 8. მაღალი ტექნოლოგიების შექმნა (ან ათვისება); 9. ინფორმაციის სრულყოფა. მაგრამ, მეწარმეობის ასეთი გაგება არ არის თანხვედრაში პრაქტიკასთან. მაგალითად, საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ მეწარმეობა განიმარტება, როგორც „სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერი სახე, რომელიც არ იკრძალება კანონით“. მაშასადამე, ინოვაციური და არაინოვაციური საქმიანობა – ორივე მეწარმეობად გაიგება.

ამ შეუსაბამობის გადაჭრა შესაძლებელია იმით, რომ მეწარმეობა ვაღიაროთ როგორც ინოვაციური სამეურნეო საქმიანობა, ხოლო მეწარმეთა შესახებ კანონის ნაცვლად მიღებულ იქნეს კანონი „სამეურნეო საქმიანობის შესახებ“, სადაც, მეწარმის ნაცვლად გამოყენებული იქნება ტერმინი „მეურნე“.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ: მეწარმეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია წაროებაში სიახლეების (ინოვაციების) განხორციელებასთან. ამიტომ “მეწარმეობის” ცნება უნდა განვასხვაოთ ცნებისაგან “ბიზნესი”, ვინაიდან ბიზნესი შეიძლება იყოს ინო-

ვაციურიცა და არაინოვაციურიც. ასევე "მეწარმის" ცნება უნდა განვასხვაოთ ცნებებისაგან " "ბიზნესმენი" და "მენეჯერი". ყველა ბიზნესმენი ვერ ფლობს მეწარმის თვისებებს, შექმნას ახალი საწარმო, დანერგოს ახალი ტექნოლოგიები და ორგანიზაციის ახალი ფორმები, აითვისოს ბაზრის ახალი სეგმენტი, გასწიოს რისკი, მოახდინოს რეაქცია ფინანსურ შესაძლებლობებზე, მუშაობდეს დიდხანს და თავდადებით. ასევე შესაძლებელია მეწარმე არ ფლობდეს მენეჯერის ორგანიზაციის მართვის ისეთ უნარებს, როგორიცაა: დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი [294] და პირიქით მენეჯერი ვერ ფლობდეს მეწარმის თვისებებს.

უმნიშვნელოვანესი როლი განეკუთვნება ეკონომიკური განვითარებისათვის მცირე მეწარმეობას. მცირე ბიზნესი, როგორც ტერმინი, წარმოდგება არა იქიდან, რომ იგი ქვეყნის მასშტაბით პროდუქციის მცირე რაოდენობას ქმნის, არამედ იქიდან, რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო. მის დიდ როლზე, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს ის, რომ დღეისათვის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მასზე მოდის მთლიანად წარმოებული პროდუქციის თითქმის ნახევარი.

ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის თვალსაზრისით მცირე ბიზნესის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის სიღარიბისა და უმუშევრობის აღმოფხვრის და, აქედან გამომდინარე, მაკროეკონომიკური და სოციალური წონასწორობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი; უნარიანი მეწარმეების

გამოვლენის, მეწარმეთა ფართო ფენის ჩამოყალიბებისა და მეწარმეობის განვითარების მძლავრი საშუალება; იგი ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და არის საშუალო ფენის ფორმირების საფუძველი. მცირე მეწარმეობა ასევე აღიარებულია, როგორც ინოვაციების დანერგვის მძლავრი საშუალება.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი. იგი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებლური, უნივერსალური ფაქტორია. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ცალკეული ქვეყნისათვის აღნიშნულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების შედეგად, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი მაღალტექნოლოგიური ქვეყნები (მაგალითად, იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური და სხვა) წარმატებით იყენებენ სხვა ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს. მაგრამ სხვა თანაბარ პირობებში ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა დამატებით უპირატესობებს ფლობს.

ეკონომიკურ განვითარებაზე ბუნებრივი რესურსების ზეგავლენა გამოიხატება იმაში, რომ: ეკონომიკური საქმიანობის დროს ხდება ახალი სახეობის რესურსების ათვისება (მაგალითად, ატომური ენერგია, მზის ენერგია, ბიოენერგია და ა.შ.), რომელთა გამოყენება უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ფიზიკური კაპიტალი. ასევე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებლური და უნივერსალ-

ური ფაქტორია. ფიზიკურ კაპიტალში ყოველგვარი პროგრესული ცვლილება უშუალოდ განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებას, ვინაიდან იგი იწვევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, პროდუქციის მასალა- და ენერგოტევადობის შემცირებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და ა.შ.

რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები ფიზიკურ კაპიტალში იწვევს ფიზიკური შრომის დაშორებას პროდუქციაზე უშუალო ზემოქმედებისაგან. ამდენად, წარმოების პროცესები ადამიანების არა ფიზიკურ, არამედ უფრო მეტად ინტელექტუალურ შრომას საჭიროებენ. ასეთი შრომა კი უმთავრესად ეფუძნება ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც ადამიანი სწავლისა და მუშაობის პროცესში იძენს.

ეკონომიკური განვითარების ენერგეტიკული ფაქტორი. მსოფლიო ცივილიზაციის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების პროცესთან. ეკონომიკური განვითარება კი თავის მხრივ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გამოყენებული ენერგორესურსების რაოდენობასა და ენერგიის ახალი სახეობის ათვისებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ენერგიას აქვს გარკვეული გარდამქმნელი როლი ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ, განსაკუთრებით კი ეკონომიკის სფეროში.

ეკონომიკური განვითარების ენერგეტიკული ფაქტორის ქვეშ იგულისხმება ენერგიის რაოდენობრივ და თვისებრივ მხარეთა გავლენა ეკონომიკის სრულყოფის პროცესებზე.

ყველაზე მთავარი არის ის, რომ ენერგია, თვისებრივი თვალსაზრისით, ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა, რადგანაც ყოველი დიდი ნახტომი ტექნიკაში მხოლოდ ენერგიის ახალი სახეობის აღმოჩენისა და მისი გამოყენების შედეგად არის შესაძლებელი. ამას ადასტურებს ტექნიკის განვითარების მთელი ისტორია. მაგალითად, ელექტროენერგიის თვისება იონების მოწესრიგებული მოძრაობისა, იყო საფუძველი ტექნიკის ახალი დარგის — სამრეწველო ელექტრონიკის გაჩენისა. ყველა ელექტრონული კომპონენტი და სისტემა თანამედროვე ტექნიკისა, რადიოტექნიკური მოწყობილობები, გამოთვლითი მანქანები, სწორედ ამ დარგის საფუძველზე წარმოიშვნენ, რამაც შექმნა თვისებრივად ახალი შესაძლებლობები ეკონომიკის ტექნიკური ბაზის გარდაქმნისა. ეკონომიკის სტრუქტურაში ღრმა ცვლილებებს იწვევს აგრეთვე ელექტროენერგიის გამოყენება ტექნოლოგიურ და მართვის პროცესებში, რაც ბევრ სფეროში პრინციპულად ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებზე გადასვლას განაპირობებს..

ენერგია იწარმოება ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს დარგში — ენერგეტიკაში, ენერგეტიკის ფუნქციონირება, მისი განვითარების დონე, აქ წარმოებული ენერგიის ფასები, ბუნების დაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება და ა.შ., უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე.

ენერგეტიკა და ეკონომიკა მჭიდრო ურთიერთკავშირში ვითარდებიან. ენერგეტიკის

სტრუქტურა, მისი განვითარების დონე, ფასები ენერგიაზე, დიდ გავ--ლენას ახდენს ეკონომიკის განლაგებაზე, სტრუქტურაზე, განვითარების დონეზე და ა.შ. თავის მხრივ, ეკონომიკის განვითარების მასშტაბები და სტრუქტურა, ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოების წესი განსაზღვრავს არა მხოლოდ ენერგიაზე მოთხოვნის სიდიდეს, არამედ ენერგეტიკის შინაგან სტრუქტურასაც. ენერგეტიკის გავლენა ეკონომიკაზე, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება იმაში, რომ იგი ეკონომიკის ბევრი დარგის პროდუქციის მსხვილი მომხმარებელია, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მანქანათმშენებლობა, შავი მეტალურგია, საშენ მასალათა მრეწველობა და ტრანსპორტი.

მაგრამ ყველაზე დიდ გავლენას ენერგეტიკა ეკონომიკაზე ახდენს იმის გამო, რომ ენერგია მოიხმარება ეკონომიკის ყველა სფეროში, მის გარეშე შეუძლებელია ვაწარმოოთ რომელიმე სახეობის საქონელი ან გაეწიოთ მომსახურება. ამასთან მოხმარებული ენერგიის სახეობათა ურთიერთშენაცვლების ხარისხი დაბალია, ხოლო ზოგიერთ წარმოებებში გამორიცხულიც კი. ამდენად, ენერგეტიკა უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე.

მეცნიერება. გამოგონებისა და ინოვაციის საფუძველს წარმოადგენს აღმოჩენები, უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტურ, შემდეგ კი გამოყენებით მეცნიერებებში. მეცნიერულ აღმოჩენაში იგულისხმება ისეთი სიახლე, რომელიც ნათელს ჰფენს ბუნების ან

ადამიანთა საზოგადოების განვითარების დღემდე ამოუცნობ კანონზომიერებებს და ამით ძირეული ცვლილებები შეაქვს სამყაროს შემეცნებაში. გამოგონება კი მეცნიერების განვითარების უკვე მიღწეული დონის ფარგლებში დაგროვილ ცოდნაზე დამყარებული სიახლეა [130]. ამდენად, მეცნიერების განვითარება ეკონომიკური განვითარების საფუძველთა საფუძველია.

ეკონომიკურ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკური მეცნიერება. სწორედ ეკონომიკური მეცნიერება აძლევს საშუალებას მთავრობას, შეასრულოს ეკონომიკის მესაჭის როლი, აიარაღებს რა მას თეორიული და გამოყენებითი ხასიათის ცოდნით.

გამოგონება. ეს არის მეცნიერულ აღმოჩენებზე დაყრდნობით სიახლის (ახალი ტექნიკა, ახალი იდეა, ორგანიზაციის ახალი ფორმები და მეთოდები და ა. შ.) აღმოჩენა. ისე, როგორც შესაძლებელია მეცნიერული აღმოჩენები მიღებულ იქნეს ერთ ქვეყანაში, ხოლო გამოყენებული – მეორეში, ასევე შესაძლებელია გამოგონება მოხდეს ერთ ქვეყანაში, ხოლო მისი გამოყენება ^{r} სხვაგან.

ინოვაცია. ინოვაცია (ინგლისურად *innovation*) ლათინური "novatio"-დან წარმოდგება, რაც "განახლებას" ნიშნავს. "In" წინსართი კი ლათინურად ითარგმნება, როგორც "მიმართულებით". მაშასადამე, სიტყვა სიტყვით "Innovatio" ნიშნავს – "განახლების მიმართულებით". მართლაც, ინოვაციის მთავარი არსი მდგომარეობს განახლებაში, უფრო პროგრესულ-

ის დანერგვაში. ინოვაციების პრობლემისადმი ბევრ მეცნიერს აქვს მიძღვნილი ნაშრომები, მაგრამ ეკონომიკაში ტერმინი ინოვაცია პირველად ავსტრიელმა ეკონომისტმა ჯოზეფ შუმპეტერმა შემოიტანა, თუმცა, არსობრივად, სხვა ტერმინით იგი მანამდეც გამოიყენებოდა. ადამ სმითი მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმის ორგანიზაციული მექანიზმის როლს ასრულებს არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკა, არამედ კონკურენცია, რომელიც აიძულებს მეწარმეს აამაღლოს ეფექტიანობა ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლით [315], ანუ ახლანდელი ტერმინოლოგიით ინოვაციების მეშვეობით.

ნ. კონდრატიევმა თავის თეორიაში კონიუნქტურის დიდი ციკლების შესახებ დაასაბუთა დიდი ციკლების არსებობა 50-60 წლიანი ხანგრძლივობით. მისი აზრით, დიდი ციკლის აღმავალი ტალღის დაწყების წინ ხდება ღრმა თვისებრივი ცვლილებები საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში, რომელიც გამოიხატება ტექნიკასა და ტექნოლოგიებში მომხდარი არსებითი სიახლეებით, როგორც წარმოების, ისე გაცვლის სფეროში [275]. რასაკვირველია, ამ ცვლილებებში იგულისხმება ინოვაციების განხორციელება ეკონომიკაში.

კონდრატიევის ციკლი მოიცავს 4 ფაზას ⌜ გამოცოცხლება და აღმავლობა (აღმავალი სტადია), დაცემა და დეპრესია (დაღმავალი სტადია). გერმანელმა მკვლევარმა ერჰარდ მენშმა უჩვენა, რომ ინოვაციური პროცესი იწყება სწორედ კონდრატიევის ციკლის დეპრესიის ფაზაში [197]. ეს ლოგიკურიცაა,

აღმავლობის ფაზაში ახალი ინოვაციები ჯერ მხოლოდ ახლა იკრებს ძალას, დეპრესიის ფაზაში ისინი მოძველებულნი არიან და საჭიროა მათი ახლით შეცვლა, რასაც ნათლად გრძნობს ბიზნესიც და სახელმწიფოც.

მიგვაჩნია, რომ გრძელი ტალღების არსებობა უდავოა, მაგრამ მისი პერიოდულობა შეიძლება დაარღვიოს დიდმა აღმოჩენებმა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებაში.ამაგალითად, ახლა მიიჩნევა, რომ მსოფლიო ეკონომიკა იმყოფება დაღმავლობის სტადიაში [334], მაგრამ თუ ათვისებული იქნება თერმობირთვული რეაქცია მშვიდობიანი მიზნით ან ლიითონის ზეგამტარობის თვისების გამოყენება ეკონომიკურად შესაძლებელი გახდება, დაღმავლობის სტადია შემცირდება. საერთოდ, ინოვაციების სასიცოცხლო ციკლი თანდათან მცირდებოდა სამრეწველო რევოლუციის შემდეგ 90 წელიწადიდან 25 წლამდე დღეისათვის. ინოვაციების დიფუზიის პერიოდი დღეისათვის გრძელდება 25-30 წელი [183]. ამასთან, ინოვაციების გავრცელება (დიფუზია) არ ხდება სწორხაზობრივად, თავდაპირველად დიფუზია მიმდინარეობს მზარდი სიჩქარით, ხოლო შემდეგ იწყება სიჩქარის შემცირება და სრულდება ბაზრების ინოვაციებისგან გაჯერებით [291].

გარდა კონდრატიევის გრძელი ტალღებისა, არსებობს ს. კუზნეცის "საშუალო ტალღები" (18-25 წელი) [192], კ. ჟუგლიარის ასევე საშუალოვადიანი ციკლი (7-11 წელი) [175] და ჯ. კიტჩინის მოკლე ციკლები [188] (2-3 წელი).

ს. კუზნეცი "საშუალო ტალღებს" უკავშირებდა დემოგრაფიულ ცვლილებებს, მაგრამ ამ შეხედულებას არ იზიარებენ და თვლიან, რომ ის არის ტექნოლოგიური ციკლი, რომლის დროსაც მიმდინარეობს ძირითადი ტექნოლოგიის მასიური განახლება [178]. მაშასადამე, მას აქვს ინოვაციური ხასიათი, ამიტომ იგი კარგად ემთხვევა კონდრატიევის ციკლებს.

კ. უუგლიარის ციკლი დაკავშირებულია როგორც ძირითადი საწარმოო სიმძლავრეების, ასევე ძირითად კაპიტალში ინვესტიციების რხევებთან.

ჯ. კიტჩინის მოკლე ციკლები არ არის დაკავშირებული ინოვაციებთან და იგი გამოწვეულია დროის ლაგის, ინფორმაციის მიწოდების შეფერხების გამო ფირმებისათვის.

სოციოკულტურულ სფეროში ინოვაციური განვითარების საფუძვლები შექმნა პ. სოროკინმა. მისი აზრით, კულტურის რომელიმე ტიპის გაბატონება განსაზღვრავს ყოველი საზოგადოების დამახასიათებელ ნიშნებს, სტრუქტურის თავისებურებებს, დინამიკას [317].

როგორც აღვნიშნეთ, პირველად ტერმინი "ინოვაცია" ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოიტანა ჯოზეფ შუმპეტერმა, რომელმაც განავითარა ნ. კონდრატიევის თეორია ინოვაციების შესახებ. მან ინოვაციების განხორციელება მეწარმის საქმიანობას დაუკავშირა.

მნიშვნელოვანი წვლილი ინოვაციის თეორიის განვითარებაში ეკუთვნის ინგლისელ მეცნიერს ჯონ ბერნალს. იგი მიუთითებს, რომ მეცნიერებაში აყვავე-

ბის პერიოდები ემთხვევა ეკონომიკური აქტივობის ზრდას და ტექნიკურ პროგრესს, როგორც ინოვაციების გამოყენების შედეგს [197].

განავითარა რა ჯ. შუმპეტერისა და ჯ. ბერნალის იდეები, ნობელის პრემიის ლაურეატმა სეიმონ კუზნეცმა კიდევ უფრო გაამდიდრა ინოვაციების თეორია. მან შემოიტანა ეპოქალური ინოვაციების ცნება, რომ სწორედ მათი მეშვეობით ხდება ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორეზე გადასვლა და რომ ეკონომიკური ზრდის ახალი წყარო გახდა მეცნიერების დაჩქარებული განვითარება [220].

ბ. ტვისი მიუთითებს ინოვაციური საქმიანობის შემოქმედებით ხასიათზე, როდესაც გამოგონება და სამეცნიერო იდეა იძენენ ეკონომიკურ შინაარსს [318]. საინტერესოა აკადემიკოს ა. ანჩიშკინის მოსაზრებები, რომელსაც მიაჩნია, რომ უნდა გამოიყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამი ეპოქალური გადატრიალება (სამი სამრეწველო რევოლუცია): პირველი ┌ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასასრულის; მეორე XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედისა და XX საუკუნის დასასრულის; მესამე, რომელიც დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან [242].

ინოვაციების არსის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ კლასიფიკაციას. XX საუკუნის 30-იან წლებში ა. პიგუს, ჯ. შუმპეტერისა და კ. ვიკსელის მიერ გამოყოფილი იქნა შრომისდამზოგი, კაპიტალდამზოგი და ნეიტრალური ინოვაციები. შემდგომში მათ დაემატა ტექნოლოგიური, ეკოლოგიური,

ეკონომიკური, ეპოქალური, ბაზური, მიკრო, ფსევდო, ანტიინოვაციები და სხვა [251].

ინოვაციების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასევე ადამ იაფემ, ჯ. ლარნერმა, ს. შტერნიმ, ა. გამბარელამ, ა. არორამ, კ. მაკონელმა, ლ. ბრიუმ, მ. გიარატანამ, ა. პაგანომ, მ. ტოდარომ, ბ. კუ'ხიკმა, ი. იაკოვეცმა და სხვებმა [186; 160; 288; 281 და სხვ.].

ინოვაცია არ არის რაღაც დამოუკიდებელი ქმედება. მის განხორციელებას ემსახურება საბაზრო მექანიზმი და სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა, ქვეყანაში არსებული მთელი ინოვაციური სისტემა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ინოვაციები მეცნიერთა, გამომგონებელთა, მეწარმეთა, ნოვატორთა, სახელმწიფო მოხელეთა დაუღალავი შრომის შედეგია. თუმცა, მამოძრავებელი ძალა არის კონკურენცია და ადამიანთა ლტოლვა უკეთესი მერმისისათვის.

საზოგადოების პროგრესი განუყრელადაა დაკავშირებული ინოვაციებთან. ინოვაციები არსებობდა ნებისმიერი ფორმაციის დროს და მან განაპირობა არნახული პროგრესი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროსა და ყოფაცხოვრებაში. სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება ტექნოლოგიური პროგრესი, რომელსაც მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან წარმოების პროცესში, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პრო-

ცესი, ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი, როგორც ფიზიკურ კაპიტალში, ასევე წარმოების ორგანიზაციის ფორმებში, ადამიანისეულ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, ინსტიტუციებში, ადამიანთა ცოდნაში, უნარ-ჩვევებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა.შ.

ინოვაციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის კონკურენციაში გამარჯვების იარაღი. ჴმაგრამ მან თანამედროვე ეტაპზე გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. იგი არის გლობალური პრობლემების (ეკოლოგიური, სიღარიბის, სასურსათო და სხვ.) გადაჭრის უმთავრესი საშუალება.

ინოვაციებს ადგილი აქვს ნებისმიერი წყობილების დროს, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ინოვაციები ღებულობენ უწყვეტ ხასიათს და ხდებიან განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს პროცესები მსოფლიოში დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. ამიტომაა, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკას **ინოვაციურ ეკონომიკას** უწოდებენ.

ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. მეცნიერება, გამოგონება, ინოვაცია ასეთ ეკო-

ნომიკაში განვითარების ერთიან ორგანულ ფაქტორს წარმოადგენს.

ინოვაცია როგორც ტერმინი, ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განიმარტება, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი არ საჭიროებს განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. თავისი შინაარსით ინოვაცია არის ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (უმთავრესად წარმოებაში) სიახლის დანერგვის პროცესი, რომელსაც მოჰყვება პროგრესული ცვლილებები. ტექნოლოგიური პროგრესი სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება, რომელსაც მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან წარმოების პროცესში, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი, როგორც ფიზიკურ კაპიტალში, ასევე წარმოების ორგანიზაციის ფორმებში, ადამიანისეულ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, ინსტიტუციებში, ადამიანთა ცოდნაში, უნარ-ჩვევებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა.შ.

ტექნოლოგია და ტექნოლოგიური ცოდნა. ტექნოლოგია არის ის წესი და საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება ამოსავალი მასალების გარდაქმნა საჭირო საქონლად ან მომსახურებად. უფრო ზუსტად, ტექნოლოგია, ეს არის შერწყმა კვალიფიციური ჩვევების, მოწყობილობების, ინფრასტრუქტურის, ინსტრუმენტებისა და შესაბამისი ტექნიკური ცოდნის,

რაიმა განხორციელდეს სასურველი გარდაქმნები მასალებში, ინფორმაციებსა ან ადამიანებში [294]. მისი კომპონენტებია მანქანები, მოწყობილობები და ნედლეული, მაგრამ მთავარია ის წესი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეს გარდაქმნები.

ტექნოლოგიური ცოდნა ნიშნავს საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად საუკეთესო ტექნოლოგიების შერჩევას. იგი იმაზე მეტყველებს, თუ როგორ ერკვევიან ადამიანები მსოფლიო ტექნოლოგიურ მიღწევებში.

ტექნოლოგიური პროგრესი ხორციელდება ინოვაციების მეშვეობით. ასეთი დიდი ინოვაციები კაცობრიობის ისტორიაში იყო სამრეწველო რევოლუცია, სტანდარტიზაცია, მექანიზაცია, კონვეიერული ხაზები. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა უწყვეტი, მოქნილი საწარმოო ტექნოლოგიის სრულყოფა, რასაც მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებამდე, წარმოების პროცესში ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლამდე, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდამდე. პროცესების განხორციელება ავტომატური მოწყობილობების გამოყენების საფუძველზე, თავის მხრივ, ეფუძნება წარმოების ელექტრონიზაციას, კომპიუტერიზაციასა და რობოტიზაციას. თანამედროვე პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების საქმეში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე

ეტაპზე ენიჭება მაღალ ტექნოლოგიებს (*hi-tech*). უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს იწვევს მაოი გამოყენება ეკონომიკაში, ცვლის რა მისი განვითარების ტენდენციებს, როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში, ზრდის რა ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და კეთილდღეობის დონეს.

მათ საფუძველზე წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა შექმნის შედეგად, მცირდება ტრანსაქციური და ტრანსფორმაციული დანახარჯები, იზრდება რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები. იცვლება წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ადგილი და როლი, როგორც წარმოებაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში. იცვლება თვით საზოგადოების ორგანიზაციის არსი, ფორმები და მეთოდები. ამაში არც არაფერია გასაკვირი. თუ გადავავლებთ თვალს კაცობრიობის ისტორიას, საზოგადოების პროგრესი, მისი გადასვლა ახალ თვისებრიობაში ყოველთვის დაკავშირებული იყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან წარმოებასა და ადამიანთა საქმიანობის სხვა სფეროში, რამდენადაც ტექნოლოგიები და იდეოლოგია აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისობაში.

მაღალი ტექნოლოგიები ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია, ვინაიდან იგი იწვევს

ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტის განვითარებასა და სრულყოფას.

მაღალი ტექნოლოგიები შესაბამის ლიტერატურაში ძირითადად განიმარტება, როგორც სულ უფრო ახალი და პროგრესული ტექნოლოგიები თანამედროვე ეტაპზე.

მიგვაჩნია, რომ მაღალი ტექნოლოგიების აღნიშნული განმარტება დასაზუსტებელია, ვინაიდან ზოგიერთი ტექნოლოგია, შესაძლებელია ახალი და პროგრესული იყოს, მაგრამ არ თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის (მით უმეტეს მსოფლიო, მასშტაბით), უპირველეს ყოვლისა, მისი ეკონომიკის განვითარებაში. მაგალითად, დავუშვათ, აღმოჩენილი იქნა პურის წარმოების ახალი, უფრო პროგრესული ტექნოლოგია ან შეიქმნა ახალი სახეობის ტანსაცმელი. რასაკვირველია, ორივე შემთხვევაში საქმე გვექნება ახალ და პროგრესულ ტექნოლოგიებთან, მაგრამ არა მაღალ ტექნოლოგიებთან, რადგანაც ისინი ვერ შეიტანენ რაიმე შესამჩნევ წვლილს საზოგადოების განვითარებაში. ამდენად, უმაღლესი ტექნოლოგიები, ჩვენი აზრით, შესაძლებელია განიმარტოს შემდეგნაირად:

მაღალი ტექნოლოგიები წარმოადგენს სულ უფრო ახალ და პროგრესულ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენება მიმდინარე ეტაპზე აჩქარებს საზოგადოების, უპირველეს ყოელისა, ეკონომიკური განვითარების პროცესს.

მაღალი ტექნოლოგიები, ბუნებრივია, გარკვეული დროის შემდეგ (და ეს დრო თანდათან მცირ-

დება) კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და ადგილს უთმობენ ახალ მაღალ ტექნოლოგიებს.

თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი ტექნოლოგიების დარგებიდან გამოირჩევა ელექტრონიკა, განსაკუთრებით კი მისი ქვედარგი – მიკროელექტრონიკა. სწორედ ელექტრონიკის განვითარებამ გახადა შესაძლებელი, შექმნილიყო გამოთვლითი ტექნიკა, საინფორმაციო-გამზომი სისტემები, ინტეგრალური სქემები, ციფრული ინტეგრალური მიკროსქემები, მიკროპროცესორები, რეზისტორები, კონდენსატორები, დიოდები, ტრანზისტორები, რადიო, ტელევიზორი, რობოტები, კომპიუტერი და ა.შ., რომელთა გამოყენების გარეშე თანამედროვე ეტაპზე ვერ იარსებებდა ეკონომიკის ვერც ერთი დარგი და ადამიანთა საქმიანობის ვერც ერთი სფერო, რის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა ინფორმაციის მოპოვების, გადამუშავების, გადაცემისა და გამოყენების თანამედროვე დონე.

მაღალ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება ასევე ხელოვნური ინტელექტი, ანუ ისეთი მანქანების შექმნა, რომელსაც გააჩნია ცოცხალი ორგანიზმის (მათ შორის ადამიანის) ნიშნები (მსჯელობა, აღქმა, მოძრაობა და ა. შ.). დღეისათვის საუბარი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ხელოვნურ ინტელექტზე, არამედ "მოაზროვნე" მანქანებზე, რომელთაც აქვთ ადამიანის ტვინის მსგავსად "მოაზროვნე" მოწყობილობები. საუბარია ხელოვნურ გონზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოაზროვნე მანქანა ან მანქანათა ჯგუფი მიუახლოვდება და ბევრ შემთხვევაში გადააჭარბებს

კიდევაც ადამიანის გონს, რა გონებრივი შესაძლებლობების მანქანაც (ან მანქანათა სისტემა) არ უნდა შეიქმნას, იგი ადამიანის ხელში მაინც ისეთივე იარაღი იქნება, როგორიც, დავუშვათ, საჭრისი ან ნებისმიერი სხვა იარაღი.

მაღალი ტექნოლოგიების დარგად ითვლება აგრეთვე ბიოტექნოლოგია (რომელიც თავისთავად ეფუძნება გენეტიკას, მიკრობიოლოგიას, მოლეკულურ და უჯრედულ ბიოლოგიას, ბიოქიმიას, ემბრიოლოგიას და ა. შ.), კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, ნანოტექნოლოგიები, რობოტოტექნიკა, ტელეკომუნიკაციები, საავიაციო-კოსმოსური ტექნოლოგიები, ფოტონიკა, ატომური ფიზიკა.

მაღალი ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების მიხედვით, ბუნებრივია, ქვეყნები მნიშვნელოვად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ მხრივ მოწინავე პოზიციები განვითარებულ ქვეყნებს უჭირავთ, განსაკუთრებით გამოირჩევა ევროპა*.

ეკონომიკაში ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას განაპირობებს ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები. მათთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება ცნებები: „ინფორმაციული ეკონომიკა“ (information economy) და „ქსელური ეკონომიკა“ (network economy). ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების კონცეფციის შექმნა განაპირობა კომპლექსური ავტომატიზაციისა და კომპიუტერიზაციის განვითარებამ, ინ-

* http://www.globalinnovationindex.org/gii/

ფორმაციის ინდუსტრიის, კომუნიკაციური გამოთველითი ქსელების, მონაცემთა ეროვნული და საერთაშორისო ბაზების შექმნამ. განსაკუთრებული ყურადღება ამ პრობლემატიკას მიექცა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დ. ბელის [164;], ე. მასუდას [195] და სხვათა შრომებში.

ქსელის ცნება პირველად საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში, სოციოლოგიაში იქნა გამოყენებული მეოცე საუკუნის ბოლოს ერკოვიცას, ს. ვასერმანის, ბ. ბელმანის, დ. ნოუკის, პ. მარსდენის, ლ. ფრიმანის და სხვათა ნაშრომებში.

ევროპის კომისიის მიერ მომზადებულ მოხსენებაში 1997 წელს "ქსელური ეკონომიკა განიმარტება როგორც გარემო, რომელშიც ეკონომიკური სისტემის ნებისმიერ წერტილში მყოფ ნებისმიერ კომპანიას და ინდივიდს, ინტერნეტ-ტექნოლოგიების მეშვეობით შეუძლიათ იოლად და მინიმალური დანახარჯებით კონტაქტი დაამყარონ სხვა კომპანიასთან ან ინდივიდთან, ერთობლივი სამუშაოს განხორციელებასთან, ვაჭრობასთან, იდეებისა და "know-how"-ს გაცვლასთან დაკავშირებით ან უბრალოდ პირადი სიამოვნებისათვის* იგი ხორციელდება ელექტრონული ქსელების მეშვეობით. ქსელური ეკონომიკის საფუძველია ქსელური ორგანიზაციები. ქსელური საქონელი ჩვეულებრივი საქონლისაგან განსხვავდება იმით, რომ ქსელში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობის ზრდა იწვევს ამ საქონლისაგან მიღებული სა-

*www.iis.ru/glossariy/indeqxhtml.

რგებელის ზრდას. მაგალითად, თუ სატელეფონო ქსელში ჩაერთვება მხოლოდ ერთი მომხმარებელი, მისთვის ტელეფონის გამოყენებისგან მიღებული სარგებელი ნულის ტოლია. ტელეფონისგან მიღებული სარგებელი იზრდება ქსელში მეტი და მეტი აბონენტის ჩართვით. ასევე, ნიშანდობლივია ის, რომ რაც უფრო მეტია ქსელში ტელეფონების რაოდენობა, მით უფრო იაფია ტელეფონის დადგმის ღირებულება. ამას გვიჩვენებს ინტერნეტის მაგალითიც.

ქსელური ეკონომიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტრადიციული ეკონომიკის სტრუქტურები უნდა გარდაიქმნას ქსელურ სტრუქტურებად ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური გარემოს განვითარების გზით. ქსელური ორგანიზაცია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარების ბუნებრივი მოთხოვნაა. მართვის პროცესების განხორციელებას ხელს უშლის შეზღუდული ინფორმაციული უზრუნველყოფა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო. ეს ხშირად იწვევს ეკონომიკის სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირის კოორდინაციის დარღვევას, რაც კრიზისების საფუძველი ხდება.

მართვის ქსელური მეთოდი არსებითად განსხვავდება ამჟამად არსებული იერარქიული და საბაზრო მეთოდებისაგან. ეს განსხვავება ძირითადად მდგომარეობს შემდეგში [151; 190; 195]:

კომუნიკაციის ახალი ელექტრონული საშუალებების დანერგვა საშუალებას მოგვცემს ეკონომიკურ აგენტთა შორის დამყარდეს მრავალფეროვანი და მრავალდონიანი კავშირები;

ქსელურ ეკონომიკაში მონაწილეობის ფასეულობა იზრდება მათში მონაწილეთა რიცხოვნობის ზრდის დროს, რაც იწვევს მასში ახალი და ახალი წევრების ჩაბმას;

• ქსელური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მცირე მუდმივი დანახარჯები და არაარსებითი ზღვრული დანახარჯები;

• ქსელურ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციისაგან მიღებული სარგებელი იზრდება, ხოლო ფასი კი მცირდება მასში მონაწილე პირთა ზრდასთან ერთად;

• ქსელურ ეკონომიკას ახასიათებს სწრაფი სახეცვლილების უნარი;

• ქსელურ ეკონომიკაში მონაწილეებისათვის სასარგებლოა საერთო ინტერესების დაცვა;

• ქსელურ ეკონომიკას ახასიათებს თვითორგანიზაციისა და თვითგანახლების დიდი უნარი.

ორგანიზაციის ქსელური მეთოდები სათავეს შორეული წარსულიდან იღებს. დღეისათვის სიახლეს წარმოადგენს არა თვით ქსელური მეთოდი, არამედ მისი გამოყენების შესაძლებლობათა ზრდა თანამედროვე ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო (მაღალი) ტექნოლოგიათა გამოყენებით.

მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ დღეისთვის განვითარებულ ქვეყნებში, ჩვენი აზრით, "ინფორმატიზაციის ეპოქა" დამთავრდა და დაიწყო "მოაზროვნე ტექნოსფეროს ეპოქა" (Era Thinking Technosphere)". ტექნოსფერო, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ტერმინს

თანამედროვე ცივილიზაციის აღსაწერად, რომელიც ხასიათდება ტექნოლოგიისა და მეცნიერული მეთოდების ფართო გამოყენებით სინამდვილის გარდასაქმნელად და რომელიც ახლა წარმოადგენს საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორს. იგი შექმნილია ადამიანების მიერ. თანამედროვე ეტაპზე ტექნოსფეროში მთავარ როლს ასრულებს ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები, "მოაზროვნე ტექნოსფეროს" დროს მათთან ერთად მთავარი როლი დაეკისრება მოაზრონე ტექნოლოგიებს. მოაზროვნე ტექნოსფერო ისარგებლებს გაცილებით დიდი შესაძლებლობებით, ვიდრე ცალკეული ინტელექტუალური თუ მოაზროვნე მანქანა, ვინაიდან იგი იქნება ასეთი მანქანების მოწესრიგებული ერთიანობა საერთო ხელოვნური გონის გარშემო [169]. ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად შეიცვლება ადამიანთა მდგომარეობა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ უკვე საქმე ექნებათ მოაზროვნე ხელოვნურ ინტელექტუალურ მანქანებთან, რომელთაც შეეძლებათ საუბარი გარკვეულ თემებზე და გადაწყვეტილებების მიღება სიტუაციიდან გამომდინარე.

ძირეულად შეიცვლება წარმოების ორგანიზაციისა და სახელმწიფო მართვის ფორმები და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდება სრულიად ახალი საზოგადოება სრულიად ახალი ეკონომიკური სისტემით. ამ საზოგადოების ზოგიერთი ნიშანი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ადამიანისეული კაპიტალი. პირველად ტერმინი "ადამიანისეული კაპიტალი" გამოიყენა ნობელის

პრემიის ლაურეატმა თეოდორ შულცმა [215] და შემდეგ განავითარა მისმა მიმდევარმა გერი ბეკერმა [163]. ამ პრობლემის დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ასევე, ე. დენისონს [262], ს. ფიშერს [323], ჯ. კენდრიკს [270] და სხვა.

ადამიანისეული კაპიტალი არის ის ცოდნა და უნარი, რომელსაც ადამიანი იძენს განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით და იყენებს წარმოების პროცესში. ახალი ეკონომიკა მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალის უკიდურესად მაღალ ხარისხს, რომელიც ორიენტირებული უნდა იქნეს უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე, ინფორმაციულ-კომპიუტერული სისტემის ფართოდ გამოყენებაზე, მოქნილ წარმოებაზე, ინოვაციების სისტემის დანერგვაზე. ადამიანისეული კაპიტალის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია განათლება. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისათვის, რადგანაც იწვევს დადებით გარეგან ეფექტს. განათლებულ ადამიანს მეტი შესაძლებლობები აქვს ისეთი ახალი იდეების შესამუშავებლად, რომელიც მიმართული იქნება როგორც ტექნოლოგიის სრულყოფის, ასევე მართვისა და ორგანიზაციის ახალი მეთოდების შემუშავებისაკენ. ამიტომაა, რომ ქვეყნისათვის მეტად არასასურველია ეგრეთ წოდებული "ტვინების გადინება" ⌜ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გასვლა ქვეყნიდან ცხოვრების უკეთესი პირობების საძებნელად.

ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალზე შეიძლება განვიხილოთ როგორც დანახარჯები, გაწეუ-

ლი: აღზრდაზე, განთლებაზე, თვითგანათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, გამოცდილების ამაღლებაზე, მეცნიერების განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და ინტელექტუალურ საქმიანობაზე, მეწარმეობრივი უნარის ზრდასა და ბიზნესკლიმატის გაუჯობესებაზე, შრომის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მოქალაქეთა და ბიზნესის უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ თავისუფლებაზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე და სხვა.

ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვყოთ ადამიანისეული კაპიტალის შემდეგი ძირითადი ელემენტი [202]: 1. ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე. 2. გონებრივი და ფიზიკური უნარი. 3. ჩვევები (პროფესიული და ინსტიტუციური). 4. გამოცდილება (პროფესიული და ცხოვრებისეული); 5. ცოდნა (პროფესიული და ზოგადი). 6. მოტივაცია და სხვა.

ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე დამოკიდებულია ქვეყანაში ჯანდაცვის განვითარების დონეზე, საზოგადოებაში არსებულ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე, ადამიანის მატერიალურ შესაძლებლობებზე, თავისუფალი დროის სიდიდეზე და სხვა.

გონებრივი და ფიზიკური უნარი ადამიანის პიროვნული თავისებურებებით განისაზღვრება. არ მოიძებნება ისეთი ორი ადამიანი, რომლებიც ზუსტად ერთი და იმავე გონებრივ და ფიზიკურ უნარს ფლობდეს.

პროფესიული ჩვევები, ბუნებრივია, სამსახურის დროს სამუშაოს შესრულების შედეგად მიიღწევა, ხოლო ინსტიტუციური კი ქვეყნის ინსტიტუციური

(ფორმალური და არაფორმალური) მოწყობის დონით.

პროფესიული გამოცდილებაც ასევე სამსახურის დროს სამუშაოს შესრულების შედეგად მიიღწევა, ხოლო ცხოვრებისეული ‹ მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვებული პრაქტიკით. ცხოვრებისეული გამოცდილება არცთუ მცირე როლს თამაშობს ადამიანის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში, მის წინსვლაში.

ცოდნა სწავლის პროცესში მიიღება, რომლის განმტკიცებაც ხდება მისი პრაქტიკული რეალიზაციის დროს.

მოტივაცია ნიშნავს, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებს ადამიანი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. იგი დამოკიდებულია როგორც პიროვნულ თვისებებზე, ისე წარმოების ორგანიზაციის დონესა და მორალურ და მატერიალურ სტიმულირებაზე.

საგულისხმოა, რომ, სხვა ფაქტორებთან ერთად, ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და სრულყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის დასაქმებას.

ადამიანისეული კაპიტალის ყველა ელემენტი ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. მაგალითად, თუ ადამიანი ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი არ არის, მაშინ საუბარიც კი ზედმეტია სხვა ელემენტების რეალიზაციაზე. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში ადამიანური კაპიტალის ელემენტებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მონათმფლობელური და ფეოდალური ეკონომიკური წყობილების დროს გადამწყვე-

ტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფიზიკურ უნარს და სიჯანსაღეს, ტრადიციული ეკონომიკის დროს ┌ ამ საზოგადოებაში არსებულ ადათებს, წესებს, რელიგიურ შეხედულებებს და აქედან გამომდინარე ჩვევებს. კაპიტალისტური წყობილების პირობებში თანდათან იზრდება ცოდნის როლი და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თუ კაპიტალიზმამდელ ეკონომიკურ სისტემაში ძირითადი ეკონომიკური კატეგორია იყო მიწა, კაპიტალიზმის დროს კი ┌ კაპიტალი, ახალი (პოსტინდუსტრიული) ეკონომიკის პირობებში ძირითადი ეკონომიკური კატეგორიაა ცოდნა. სწორედ ამიტომაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანისეულ კაპიტალს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იგი წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორს.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და სრულყოფისათვის და ასევე მისი ეფექტიანი გამოყენებისათვის აუცილებელია ქვეყანაში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებობა. ეს შეეხება როგორც განათლებისა და ჯანდაცვის სისტემას, ისე მეცნიერების განვითარების დონეს, დასაქმებას, მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, წარმოების ორგანიზაციის ფორმებსა და მეთოდებს და ა.შ.

ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელობის შეფასების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ განვითარების რა საფეხურზე იმყოფება ქვეყანა. მაგალითად, შეუძლებელია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების პირობები გან-

ვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ტოლფასად ჩავთვალოთ.

განვითარებულ ქვეყნებში საწარმოო ძალთა განვითარების დონე ისეთ საფეხურზე იმყოფება, როდესაც უმთავრესი საზრუნავი ხდება ამ საწარმო ძალთა მომსახურება, რაც შესაბამის მაღალკვალიფიციურ და მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვს, ანუ იგი მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალის უკიდურესად მაღალ ხარისხს, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე, ინფორმაციულ-კომპიუტერიული სისტემის ფართოდ გამოყენებაზე, მოქნილ წარმოებაზე, ინოვაციური სისტემის დანერგვაზე და ა.შ. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კი, საუბარია ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე, ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურის ფორმირებაზე, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაზე და ა.შ. მაშასადამე, აქ, უპირველეს ყოვლისა, მისაღწევია საწარმო ძალთა განვითარების ისეთი დონე, რომელიც ადამიანებისაგან უპირატესად არა ფიზიკურ, არამედ ინტელექტუალურ შრომას საჭიროებს. სანამ ეს დონე არ იქნება მიღწეული, მანამ ფიზიკური კაპიტალის მნიშვნელობა დიდი იქნება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელ პირობებშიც აქ ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა არა აქვს. სწორედ ადამიანის შრომის ფასეულობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ეკონომიკის გარდაქმნისა და ეკონომიკური და იურიდიული ინსტიტუტების მოდერნიზაციის პროცესში. მაგრამ არ შეიძლება ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა

და სრულყოფის პროცესი მოვწყვიტოთ ეკონომიკას, მის საწარმოო ძალთა განვითარების პროცესს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ისეთ შედეგს, როცა გვეყოლება ფორმალურად განათლებული ადამიანების დიდი არმია, რომელთაც არ შეეძლებათ თავიანთი ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია.

ეროვნული ადამიანისეული კაპიტალი არის ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილი. იგი წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების ეროვნული სიმდიდრის თითქმის ნახევარს და განვითარებული ქვეყნების 70-80%-ს [289]. იგი იმატებს ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის ხარისხის მატების ან მაღალკვალიფიციური კადრების გარედან შემოდინების დროს და იკლებს როდესაც ადგილი აქვს ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის ხარისხის კლებას, ქვეყნიდან მაღალკვალიფიციური კადრების გადინებას ან დაბალკვალიფიციური კადრების შემოდინებას.

ადამიანისეული კაპიტალი აღიქმება როგორც დადებითი მოცემულობა, მაგრამ იგი შეიძლება იყოს უარყოფითიც. უარყოფითი ადამიანისეული კაპიტალი, ეს არის ადამიანისეული კაპიტალი, რომელიც შეესაბამება იმ დანახარჯებს, რომელიც მის შექმნაზე იქნა გაწეული. იგი კიდევ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს, რათა გახდეს დადებითი. ასეთი კაპიტალი განსაკუთრებით დამახასიათებელია ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნისათვის, სადაც გარდაქმნების არასწორად წარმართვამ წარმოშვა კრიმინალური ელემენტები, დაბალი კვალიფიკაციის (მასში ჩადებულ დანახარჯებთან შედარებით) მუშახე-

ლი, კორუფციონერები, ნარკომანები, ლოთები, უსაქმურები და სხვ.

ამიტომ ადამიანისეული კაპიტალი არ უნდა განვიხილოთ ეკონომიკისაგან, ტექნიკური პროგრესისაგან მოწყვეტით. ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკის განვითარების ინტერესებს.

განათლება. მეცნიერება-გამოგონება-ინოვაციის ჯაჭვში განათლების პროცესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან თითოეულ ამ რგოლს მაღალგანვითარებული მუშაკები (მეცნიერები, გამომგონებლები, მეწარმეები) ესაჭიროება. განათლება ეკონომიკაზე გავლენას ახდენს, როგორც მეცნიერების განვითარების წინაპირობა და სამუშაო ძალის მწარმოებლურობის ამაღლების უმთავრესი საშუალება. მაგრამ, მისი გავლენა ეკონომიკაზე ამით არ ამოიწურება. განათლება ასევე ზემოქმედებს მომხმარებელზეც, ზრდის რა მათ გემოვნებასა და მოთხოვნილებებს, რაც, თავის მხრივ, სრულყოფს და აფართოებს ბაზარს.

განათლება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, არის მომსახურების დარგი, სადაც ხდება ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფა. განათლებაზე გაწეული ხარჯები განიხილება როგორც ამ კაპიტალის შექმნაზე გაწეული ინვესტიციები. განათლება ასევე შეიძლება დავახასიათოთ როგორც პროცესი, რომლის დროსაც პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, იძენს ცოდნას და მასთან ერთად სრულყოფს თავის ადამიანისეულ მახასიათებლებს (უნარ-ჩვევე-

ბი, კულტურა, ეთიკა, ესთეტიკა, მსოფლმხედველობა, სულიერება და ა.შ.)

განათლება შესაძლებელია აგრეთვე ჩაითვალოს როგორც განსაკუთრებული სახის პროდუქტი, რომელიც იწარმოება განათლების პროცესში როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეთა (სტუდენტების) მიერ და მოიხმარება მოსწავლეთა მიერ თავიანთი ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფისათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულება გამოდის როგორც განსაკუთრებული სახის საწარმო, სადაც შრომობს როგორც მწარმოებელი (მასწავლებელი), ისე მომხმარებელი (მოსწავლე), ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის გადიდების მიზნით. დანახარჯებს ამ კაპიტალის შესაქმნელად იღებს ან თვით მომხმარებელი, ან საზოგადოება. განათლების მიღება არასდროს არის უფასო.

ძირითად მოთხოვნას განათლების დარგს ეკონომიკა უყენებს. ამდენად, იგი ეკონომიკის განვითარების საჭიროებებს უნდა პასუხობდეს. ეკონომიკური განვითარებისათვის განათლებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ის ვითარდებოდა ეკონომიკის სრულყოფასთან ერთად. თუ საუკუნეების განმავლობაში (ტრადიციული ეკონომიკის პირობებში) კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადება არ ხდებოდა საზოგადოებრივად ორგანიზებული გზით, თანამედროვე პირობებში, ეკონომიკის მაღალი ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთული განათლების სისტემა

ჩამოყალიბდა. ამასთან, უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, მისი განვითარების მხოლოდ საბაზრო ძალებისადმი მინდობა დაუშვებელია. აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის სახელმწიფო ორგანიზაცია, ბუნებრივია, საბაზრო ურთიერთობათა გამოყენებით.

განათლების საკითხებისადმი ზერელე მიდგომამ შესაძლებელია გაგვაკეთებინოს მცდარი დასკვნა, რომ თითქოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორი განათლების რაოდენობრივი ზრდაა, რაც უფრო მეტი იქნება უმაღლესდამთავრებულთა რიცხვი, მით უფრო დაჩქარდება ეკონომიკური განვითარების პროცესი. თავის დროზე, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება მთელი მოსახლეობის განათლების დონის ამაღლების შესახებ. ამ პროგრამაზე მილიარდობით დოლარი დაიხარჯა, მაგრამ ათეული წლების გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას შესაბამისი შედეგი არ მოჰყოლია. აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

განათლების ეკონომიკის ამოცანა არის სწორედ იმის განსაზღვრა, თუ რა რაოდენობის სახსრები უნდა გამოყოს ქვეყანამ განათლებისათვის და რამდენად ეფექტიანად იხარჯება იგი შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

განათლების ეფექტიანობის შეფასების არა ერთი თეორია არსებობს [163, 215, 2163], რომელთა გათვალისწინება, რასაკვირველია, სასარგებლოა, მა-

გრამ მაინი სიზუსტე ძალზე მიახლოებითია, თვით ამოცანის სირთულის გამო. ჩვენ, ამასთან დაკავშირებით, მთლიანად ვემხრობით ა. მარშალის მოსაზრებას, რომ საზოგადოებრივი და კერძო დანახარჯები განათლებაზე არ შეიძლება გაიზომოს მისგან პირდაპირ მიღებული ნაყოფის მიხედვით. იგი არის ხანგრძლივმოქმედი საინვესტიციო რესურსი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ხალხის მასებს, მიიღოს სარგებელი. ერთი ინდუსტრიული გენიის ეკონომიკური ღირებულება საკმარისია იმისათვის, რომ დაიფაროს განათლებაზე მთელი ქალაქის ხარჯები. უმაღლეს განათლებაზე წლების განმავლობაში გაწეული დანახარჯები კარგად იქნება ანაზღაურებული მაშინ, როდესაც გამოვლინდება კიდევ ერთი ნიუტონი ან დარვინი, ან შექსპირი [290].

განათლების ეფექტიანობის შეფასების ყველაზე დიდი კრიტერიუმი უნდა იყოს ცოდნა – განათლებამიღებულ პიროვნებას სამუშაოს შოვნაში ხელს არ უნდა უშლიდეს შესაბამისი ცოდნის უქონლობა. ადამიანისეული კაპიტალის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი კი უნდა იყოს შრომის ანაზღაურება. უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკს მეტი შემოსავალი უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა განათლების ეკონომიკური არსი. რიგ შემთხვევაში ჩნდება მიდრეკილება დიპლომებზე გამოდევნებისა და არა რეალური ცოდნის მიღებისა. ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია არასრულყოფილი საბაზრო მექანიზმის არსებობის

პირობებში და იგი აღმოიფხვრება საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფის შესაბამისად.

როგორც ყველა სახეობის ინვესტიცია, ისე ინვესტიცია ადამიანისეულ კაპიტალშიც დაკავშირებულია რისკთან, რასაც განაპირობებს ინოვაციები ეკონომიკაში და რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი თვით განათლებაა. ამდენად, განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა მაქსიმალურად შეუსაბამოს სპეციალობები და პროგრამები ეკონომიკის არსებულ და პერსპექტიულ მოთხოვნებს. ეს კი დაკავშირებული არის მიმდინარე და სტრატეგიული დაგეგმვის კარგ ორგანიზაციასთან. მაშასადამე, თანამედროვე განათლების პროცესი მეტად დინამიურია ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

ამდენად, განათლებაზე მოთხოვნის უმთავრესი ფაქტორი უნდა გახდეს უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურის მიღების სტიმული და არა უმაღლესი განათლების მიღების პრესტიჟულობა.

იმისათვის, რომ გაეერკვეთ, თუ როგორი უნდა იყოს განათლების იდეალური სისტემა, აუცილებელია, შესწავლილი იქნეს განათლების ეკონომიკური ბაზისი. ამისათვის კი საჭიროა ეკონომიკური მეცნიერების ისეთი დარგის დაწინაურება, როგორიცაა "განათლების ეკონომიკა". სწორედ ისაა მოწოდებული, გაარკვიოს განათლებისათვის საზოგადოების რესურსებისა და ფინანსურ შესაძლებლობათა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია განათლებისათვის.

ინსტიტუციები. ინსტიტუციონალიზმს საფუძველი ჩაეყარა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მისი ფუძემდებელია ამერიკელი ეკონომისტი ტ. ვებლენი, ხოლო ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები: დ. კომონსი, უ. მიტჩელი, მ. ვებერი, ვ. ზომბარტი, დ. გელბრეიტი, გ. მიურდალი, რ. კოუზი, ა. ალჩიანი, კ. ეროუ, დ. ბიუკენენი, დ. ნორტი, ტ. სტიგლიცი, ო. იულიამსონი და სხვ.

შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ტრადიციული, ანუ ძველი ინსტიტუციონალიზმი და ახალი, ანუ ნეოინსტიტუციონალიზმი. პირველი აერთიანებს სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სოციალურ-სამართლებრივ, ინსტიტუციურ-სტატისტიკურ და სოციოლოგიურ მიმდინარეობებს. ხოლო ახლის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ადამიანის ქცევის მოტივაცია, მის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, პირობები და წანამძღვრები.

ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, ეკონომიკურ პროცესებზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორები, ასევე ტრადიციები, ადათები, ჩვევები, რელიგია, ეთიკური და ესთეტიკური ნორმები, მეცნიერება და ა.შ.

ინსტიტუციების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე ძლიერ დიდია, ვინაიდან ინსტიტუციები განსაზღვრავენ ბიზნესის "თამაშის წესებს", საბაზრო სისტემის მოდელს და ინფრასტრუქტურას, სახელმწიფო რეგულირების ხასიათსა და ხარისხს,

კორუფციის, ნეპოტიზმის, ეტატიზმის დონეს და ა.შ.

როგორც ცნობილია, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუციებს.

შესაძლებელია ფორმალური ინსტიტუცია გადავიდეს არაფორმალურში და პირიქით. ის ფორმალური ინსტიტუცია, რომელიც მიღებულია არაფორმალურისაგან, ადამიანის ბუნებას ყველაზე მეტად შეესაბამება.

ცხადია, მთელი არაფორმალური ინსტიტუციის ასახვა ფორმალურში შეუძლებელია და არც არის აუცილებელი. მაგრამ, რაც უფრო მეტი არაფორმალური ინსტიტუცია მოხვდება ფორმალურში, მით უფრო ბუნებრივი იქნება იგი და მით უფრო შესაბამისი ეკონომიკური განვითარების ინტერესებთან.

როდესაც ფორმალური ინსტიტუციები არასრულყოფილია, იგი ხელს უწყობს უარყოფითი არაფორმალური ინსტიტუციების წარმოშობას და არსებულის გააქტიურებას, რაც ძლიერ აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. საერთოდ, აბსოლუტურად სრულყოფილი ფორმალური ინსტიტუციების შექმნა შეუძლებელია, ამიტომ ჩრდილოვანი სექტორი ნებისმიერ ქვეყანაში წარმოიშობა, ცხადია, სხვადასხვა მასშტაბით. როდესაც ერთი ეკონომიკური წყობა მეორეთი იცვლება, მაშინ ინსტიტუციები განიცდიან ნგრევას, განსაკუთრებით ფორმალური ინსტიტუციები. ახალი ინსტიტუციების შექმნა კი საკმაოდ რთული პროცესია. ეს სირთულეები ხშირად გამოწვეულია ახლის უცოდინრობით ან შეგნებულად დაშვე-

ბული შეცდომებით. რაც უფრო სწრაფად განხორციელდება პროგრესული ცვლილებები როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ინსტიტუციებში, მით უფრო სწრაფად შეიქმნება შესაბამისი პირობები ეკონომიკური განვითარებისათვის.

კითხვები და დავალებები

1. რაში მდგომარეობს მეწარმეობის არსი. რა განსხვავებაა მეწარმეობასა და ბიზნესს შორის, მეწარმეს, ბიზნესმენსა და მენეჯერს შორის?

2. რომელი 5 ახალი კომბინაციაა შუმპეტერის მიხედვით, რომელსაც უნდა ახორციელებდეს საწარმო? რაში მდგომარეობს შუმპეტერის მრისაზრებები მეწარმეობასა და მეწარმის შესახებ?

3. რა ცვლილებები შეიძლება იქნეს შეტანილი კანონში მეწარმეობის შესახებ?

4. შესაძლებელია თუ არა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გარკვეე მიღწეული იქნეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე?

5. რაში გამოიხატება ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის უმთავრესი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე?

6. რაში გამოიხატება ფიზიკური კაპიტალის უმთავრესი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე?

7. რა გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე ენერგოფაქტორი? გამოთვალეთ ენერგეტიკის ეკონომიკაზე გავლენის მაგალითები.

8. რა დამოკიდებულებაა შრომის ენერგოინტენსივობასა და შრომის ნაყოფიერებას შორის? შრომის ენერგოინტენსივობის ზრდა ღინ უსწრებს თუ ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდას?

9. როგორ იცვლება პროდუქციის ენერგოტევადობა თანამედროვე ატაკაში?
10. რა იგულისხმება მეცნიერულ აღმოჩენაში და რა როლს თამაშობს იგი ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში?

11. რა განსხვავებაა მეცნიერებასა და გამოგონებას შორის?
12. რა გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე ეკონომიკური მეცნიერება?

13. რა არის ინოვაცია და რა გავლენას ახდენს იგი ეკონომიკურ განვითარებაზე? რომელი დიდი ინოვაციები იყო კაცობრიობის ისტორიაში? დაახასიათეთ ინოვაციური ეკონომიკის თავისებურებები.

14. რა გავლენას ახდენს ტექნოლოგიური პროგრესი და ტექნოლოგიური ცოდნა ეკონომიკურ განვითარებაზე?

15. რას წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიები? რომელია თანამედროვე ეტაპზე მაღალი ტექნოლოგიების დარგები? რას ნიშნავს ხელოვნური ინტელექტი?

16. რა როლს თამაშობენ თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები?

17. გადმოეცით რა არის ძველური ეკონომიკა და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი?

18. რა ძირითადი ნიშნები შეიძლება ახასიათებდეს "მოაზროვნე ტექნოსფეროს ეკიპის" საზოგადოებას?

19 რა გავლენას ახდენს ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკურ განვითარებაზე? დაახასიათეთ ადამიანისეული კაპიტალის კლასიფიკატორი.

20. დაახასიათეთ ცოდნის როლი ეკონომიკურ განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

21. რა დანახარჯები შეიძლება განვიხილოთ როგორც ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში?

22. რა როლს თამაშობს ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაში ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა?

23. შეიძლება თუ არა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში იყოს ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ერთიდაიგივე დონე? რატომ?

24. რაზეა დამოკიდებული ეროვნული ადამიანისეული კაპიტალის სიდიდე?

25. რით ხასიათდება უარყოფითი ადამიანისეული კაპიტალი?

26. რა გავლენას ახდენს განათლება ეკონომიკურ განვითარებაზე?

27. რაში მდგომარეობს საბანაო განათლებლო დაწესებულების, როგორც განსაკუთრებული სახის საწარმოს თავისებურება?

28. არის თუ არა უშუალო კავშირი განათლებულ ადამიანთა რაოდენობასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის? რა მოთხოვნებს უნდა პასუხოგდეს ქვეყნის განათლების სისტემა?

29. რომელი უნდა იყოს განათლების სისტემის შეფასების კრიტერიუმები? რა უნდა იყოს განათლებაზე მოთხოვნის უმთავრესი ფაქტორი?

30. დაახასიათეთ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციები. რა გავლენას ახდენს ინსტიტუციების არასრულფასოვნება ეკონომიკურ განვითარებაზე?

31. მოიძიეთ ზოგიერთი ეკონომისტისა და მენეჯმენტს ცნობილი სპეციალისტის მოსაზრება მუშარმოებასთან დაკავშირებით და მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია

32. მოამზადეთ პრეზენტაცია საქართველოში განათლების და ჯანდაცვის სფეროს განვითარების შესახებ

33. მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია საქართველოში ინოვაციური კლიმატის და ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბების შესახებ.

თავი II

ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური ფაქტორი

ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური ფაქტორი გამოხატავს იმ გავლენას, რომელსაც ეკონომიკაზე რაციონალური ბუნებათსარგებლობის და გარემო ბუნების დაცვის მოთხოვნები ახდენს, ვინაიდან ამ მოთხოვნების გათვალისწინება და განხორციელება მასში მნიშვნელოვან თვისებრივ ცვლილებებს იწვევს. ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინების შედეგად ეკონომიკა გადადის სრულიად ახალ მდგომარეობაში, რომელსაც მოჰყვება თვისებრივი ცვლილებები მის თითქმის ყველა ელემენტში.

ეკოლოგიური ფაქტორი ეკონომიკური ზრდის ტემპებზე მოქმედებს როგორც შენელების, ისე დაჩქარების მიმართულებით. შენელების მიმართულებით იმიტომ, რომ იწვევს დამატებით დანახარჯებს ფირმების მხრიდან, რაც ამცირებს მათ რენტაბელობას და შესაბამისად ერთობლივი მიწოდების სიდიდეს. დაჩქარების მიმართულებით კი იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ეკოლოგიურ პროდუქტებზე სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა, და მეორეც, ბუნებისდაცვითი მოთხოვნების განხორციელების პროცესში წარმოიშობა და ყალიბდება შესაბამისი დარგები, რაც, რასაკვირველია, ასევე ეკონომიკური ზრდის ტემპებს აჩქარებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბუნებისდაცვით მოთხოვნილებათა განხორციელების

თავდაპირველ ეტაპზე ეკონომიკურ სრდაზე შემანელებელი ზემოქმედება გაცილებით მეტია, ვიდრე დამაჩქარებელი, თუმცა ეს სხვაობა თანდათან მცირდება და მაშინ, როდესაც მთელი ეკონომიკის ეკოლოგიზაცია დასრულდება, ეს სხვაობა საერთოდ აღარ იქნება.

ადამიანები თავიანთი სამეურნეო საქმიანობის დროს მავნე ზემოქმედების გამო ზიანს აყენებენ გარემო ბუნებას, რომლის აღდგენა ან თავიდან აშორება დამატებითი დანახარჯების გაწევას მოითხოვს. ჩნდება კონკრეტული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც არც თუ იოლია. მაგალითად, აუცილებელია გრემო ბუნებისადმი მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრა, რაც რთულ მეთოდოლოგიურ ამოცანას წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა აანაზღაუროს გარემო ბუნებაზე მიყენებული ზარალი. ეს უნდა იყოს მწარმოებელი, მომხმარებელი, ცალკეული პიროვნება თუ საზოგადოება მთლიანად. ამაზე პასუხი თითქმის ერთადერთი უნდა იყოს ˹ ზარალი უნდა აანაზღაუროს მან, ვინც გამოიწვია ის, ე.ი. მეწარმემ. მაშასადამე, ბუნების დაცვის მოთხოვნები შესრულებული უნდა იქნეს საწარმოების დონეზე, მაგრამ საწარმოები, როგორც წესი, არ არიან დაინტერესებულნი ნებაყოფლობით გასწიონ დამატებითი დანახარჯები გარემო ბუნების დაცვაზე.

საბაზრო მექანიზმს ყოველთვის არ შეუძლია გაითვალისწინოს ბუნების დაცვაზე გაწეული დანახარჯები იმიტომ, რომ ყველა ბუნების დაცვითი მო-

ობოვნა არ ძევს უშუალოდ ამ მექანიზმში. საბაზრო მექანიზმში ბუნებისდაცვითი მოთხოვნა აისახება მაშინ, როდესაც გამაჭუჭყიანებელი ობიექტი თვითონ განიცდის ეკონომიკურ (თუმცა არა მარტო ეკონომიკურ) ზარალს გარემო ბუნებისადმი მიყენებული მავნე ზეგავლენის გამო, რაც შეიძლება აისახოს ამ ობიექტზე დასაქმებულ მუშაკთა ავადმყოფობის ზრდაში, კადრების დენადობის მატებაში, წარმოების შემადგენელი კომპონენტების დაზიანებაში. ეს ზარალი აისახება საბოლოო ეკონომიკურ შედეგებში, რაც გაზრდის პროდუქციის თვითღირებულებას და შეამცირებს მოგებას. ამიტომ მეწარმე დაინტერესებულია მიიღოს ზომები აღნიშნული ზარალის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, რაც ასევე გარკვეულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. როდესაც გამაჭუჭყიანებელი ობიექტის საქმიანობის შედეგად გამოწვეული გარემო ბუნებისადმი მიყენებული ნეგატიური ზემოქმედება უშუალოდ არ აყენებს ზარალს მოცემული ობიექტის მესაკუთრეს, მაშინ ის არ არის დაინტერესებული, გაიღოს დამატებითი ხარჯები ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გასატარებლად. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ბუნების დაცვითი მოთხოვნა არ ძევს საბაზრო მექანიზმში. ამიტომ აუცილებელი ხდება მეწარმის იძულება, რათა მან აღკვეთოს სხვა ობიექტებისათვის ზარალის მიყენება. ეს კი შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ ეკოლოგიური რეგულირების განხორციელების მეშვეობით, რისთვისაც იგი იყენებს როგორც ადმინისტრაციულ, ისე ეკონომიკურ ბერკეტებს. გარემო ბუნების

გამაჭუჭყიანებელ ნებისმიერ ობიექტს და მის მესაკუთრეს მაშინ მიეცემათ განსაკუთრებული სტიმული გარემოს დაცვის მიმართ, როცა ისინი თვითონ გადაიქცევიან გაწეულ არასწორ საქმიანობასთან დაკავშირებული ზარალის უშუალოდ მიმღებ ობიექტად, რაც მოხდება ორ ძირითად შემთხვევაში: პირველი, როცა გამჭუჭყიანებელი ობიექტის მიერ გარემო ბუნებაში გამოშვებული მავნე ნივთიერებები ახიანებენ თვით ამ ობიექტის მესაკუთრის მატერიალურ ქონებას და მისი არასწორი საქმიანობა ისევ უშუალოდ მას აყენებს ზარალს და მეორე, როცა გამჭუჭყიანებელი ობიექტის მიერ გარემო ბუნებაში გამოშვებული მავნე ნივთიერებები, მართალია, უშუალოდ არ ახიანებენ ამ ობიექტის მესაკუთრის მატერიალურ ქონებას, მაგრამ ისინი ახიანებენ სხვა მესაკუთრეთა ქონებას, რისთვისაც გამჭუჭყიანებელი ობიექტის მესაკუთრე, საბოლოო ჯამში, ირიბი გზით ⌜ სახელმწიფოს მიერ ბუნებისდაცვითი ხასიათის ეკონომიკური, თუ სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით ⌝ ასევე ღებულობს ზარალს.

გასათვალისწინებელია ის, რომ ყველა დარგი და საწარმო არათანაბარ პირობებში დგანან გარემო ბუნების დამცავ ღონისძიებებზე საჭირო დანახარჯების მიხედვით. არსებობს ისეთი დარგები და საწარმოები [ელექტროტექნიკა, ელექტრონიკა და სხვ.], რომელთათვის გარემო ბუნების დაცვის პრობლემები ეკონომიკური თვალსაზრისით დიდ როლს არ თამაშობს, მაგრამ ისეთ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ქიმიური მრეწველობა, მეტალურგიის ზოგიე-

როი დარგი და სხვ., დანახარჯები გარემო ბუნების დაცვის ღონისძიებებზე მნიშვნელოვანია. ამიტომ გარემო ბუნების დაცვაზე გაწეულმა ხარჯებმა ასეთი საწარმოებისათვის მოსალოდნელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მათ მოგებასა და რენტაბელობაზე, რამაც კონკურენციის პირობებში შესაძლებელია წარმოების შემცირებასთან, ზოგიერთ შემთხვევაში კი მის გადატანასთან ან მოლიანად დახურვასთან მიგვიყვანოს.

გარემო ბუნებისადმი მიყენებული ზარალის ინტერნალიზაცია, ე.ი. ამ ზარალის ასახვა პროდუქციის საბოლოო ფასებში აუცილებელია. მაგრამ ყველა ზარალის თავიდან აცილება ცალკეულ საწარმოთა დონეზე მაინც შეუძლებელია. ამდენად, საბაზრო ეკონომიკის პირობებშიდაც კი საჭირო ხდება სახელმწიფოს მიერ ბუნების დაცვით ღონისძიებებზე სახსრების გაღება. არა თუ ცალკეულ საწარმოს, არამედ სახელმწიფოსაც კი არ ძალუძს ზოგიერთი ბუნებისდაცვითი პრობლემის გადაწყვეტა, ამიტომ თანამედროვე ეტაპზე ეს პრობლემა წყდება ორი ძირითადი მიმართულებით. პირველი მიმართულებაა ამ პრობლემის ზოგადი და კონკრეტული ასპექტების ცალკეულ ქვეყნებს შიგნით სამეურნეო მექანიზმის გამოყენებით გადაწყვეტა, ხოლო მეორე მიმართულება არის საერთაშორისო, მსოფლიო მასშტაბით ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე შეთანხმებით მოგვარება.

გარემო ბუნების დაცვის ღონისძიებებს მიეკუთვნება სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობა, რო-

მელიც მიმართულია გარემო ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისა და ლიკვიდაციისაკენ, ბუნებათსარგებლობის გაუმჯობესებისაკენ. ყოველივე ამისათვის საჭირო ხდება სხვადასხვა სამუშაოთა ჩატარება: გამწმენდი და გამაუვნებელი ნაგებობების და მოწყობილობების მშენებლობა ; ექსპლუატაცია, მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოებების განვითარება, საწარმოებისა და სატრანსპორტო სისტემების განლაგება ეკოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიწების რეკულტივაცია, ბრძოლა მიწის ეროზიის წინააღმდეგ, ფლორისა და ფაუნის დაცვა და კეთილგაუმჯობესება, წიაღის დაცვა და მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენება.

ბუნების დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო დამატებითი მატერიალური სახსრების გაღებას საბოლოოდ შესაძლებელია მოჰყვეს ეკონომიკური ეფექტი, ეკოლოგიურ და სოციალურ ეფექტთან ერთად. ეკონომიკური შედეგები ვლინდება ბუნებრივი რესურსების ეკონომიაში ან მათი დანაკარგების თავიდან აცილებაში, შრომითი რესურსების ეკონომიაში. ამასთან, ეკოლოგიურ ღონისძიებათა განხორციელების დროს უნდა გამოვდიოდეთ არა ვიწრო დარგობრივი ინტერესებიდან, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან. შესაძლებელია ეკოლოგიურ ღონისძიებათა განხორციელებამ მოცემულ დარგში ზარალი გამოიწვიოს, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით მას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი მოჰყვეს..

გარემო ბუნების დაცვაზე გაწეული დანახარჯების საერთო ეკონომიკური შედეგები მდგომარეობს იმაში, რომ მცირდება გარემო ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედება და უმჯობესდება მისი მდგომარეობა, რაც გამოვლინდება გარემოში გაჭუჭყიანების შემოვლის მოცულობის შემცირებაში, გამოსაყენებლად სასარგებლო მიწის, ტყის და წყლის რესურსების რაოდენობის ზრდაში და მათი ხარისხის გაუმჯობესებაში. სოციალური შედეგები კი მდგომარეობს მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, დაავადებათა შემცირებაში, შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაში, გენეტიკური ფონდის შენარჩუნებაში, ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების ესთეტიკური ღირებულებების და ბუნების ძეგლთა და ნაკრძალთა ზონების შენარჩუნებაში. ბუნების დაცვის ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდიკის შემუშავება რთული საკითხია, თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიკური მაჩვენებლებით გამოხატვა ყველა შედეგისა, შეუძლებელია, ზოგი მოვლენის გათვალისწინება კი პროცესების მრავალმხრივობის გამო ვერ ხერხდება. მიუხედავად ამისა, არსებობს დებულებები ბუნების დაცვის ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისა და ეკონომიკური ზარალის შეფასებისა, რომელიც მიადგა სახალხო მეურნეობას გარემო ბუნების გაჭუჭყიანების შედეგად. ამ მეთოდიკის მიხედვით შეიძლება გავიანგარიშოთ გარემო ბუნების დაცვის ღონისძიებებზე გაწეულ დანახარჯთა საერთო, ფარდობითი და წმინდა ეკონომიკური

ეფექტიანობა.

ზემოთ დასახელებული მეთოდიკების დაწვრილებით განხილვას აქ არ შევუდგებით, რადგანაც ეკონომიკურ ლიტერატურაში ის უკვე სათანადო დონეზეა გაანალიზებული*, მაგრამ დავძენთ, მათ მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ ბუნებისდაცვით ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობის განსაზღვრა და არა ახალი პროექტის განხორციელების დროს გარემოზე მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად გაწეული დანახარჯების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა ობიექტის სამეურნეო საქმიანობის დაწყებამდე, რასაც ჩვენ ახალი ობიექტის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას ვუწოდებთ.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ცნების ქვეშ იგულისხმება ახალი პროექტის განხორციელებისას ეკოლოგიური მდგომარეობის ცვლილებისაა და ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ ეკონომიკურ შედეგს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ღოდესაც ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის გაანგარიშება ხდება, წინასწარ, პროექტის განხორციელებამდე, არსებობს შესაძლებლობა თავიდანვე გავითვალისწინოთ გარემო ბუნებაზე ყველა შესაძლო მავნე ზემოქმედება და დავსახოთ მისი თავიდან აცილების ღონისძიებები. ამასთან, მიგვაჩნია,

---

* მაგალითად, წერეთელი გ. გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები. თბ., "მეცნიერება", 1987.

რომ ახალი ობიექტის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის მაჩვენებელში ასახვა უნდა ჰპოვოს არა მხოლოდ ბუნების დაცვაზე გაწეულმა ხარჯებმა, არამედ მოსალოდნელმა მთლიანმა ეკონომიკურმა ზარალმაც, როგორც დანახარჯმა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოცემული პროექტის განხორციელებას ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გარეშე, შესაძლებელია მოჰყვეს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება როგორც მიმდებარე გარემოში, ისე მთელს ქვეყანაში (იგულისხმება წარმოებული პროდუქციის მოხმარება). ასეთი შემთხვევა განსაკუთრებით მოსალოდნელია ენერგეტიკაში, რადგანაც ენერგეტიკულ საწარმოში წარმოებული პროდუქტი გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. მაგალითად, თბოელექტროსადგურების მშენებლობას შესაძლებელია მოჰყვეს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება მიმდებარე გარემოში და აქედან გამომდინარე, ადგილი ექნეს ეკონომიკურ ზარალს, მაგრამ მათი არ აშენების შემთხვევაში ელექტროენერგიის უკმარისობის გამო ადგილი ექნება ეკოლოგიური მდგომარეობის უფრო ფართომასშტაბიან გაუარესებას და აქედან გამომდინარე, უფრო დიდ ეკონომიკურ ზარალს, რომ არაფერი ვთქვათ პირდაპირ ეკონომიკურ ზარალზე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ახალი პროექტების აბსოლუტური ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$E_{ა} = (R + r_1 + r_2) - (ð_1 + S) \qquad (1)$$

სადაც, R ⌜ არის წლიური ეკონომიკური შედეგი ბუნების დაცვის ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯებისა; r_1 ⌜ პროექტის განხორციელების შედეგად მშენებლობის ზონაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი; r_2 ⌜ პროექტის განხორციელების შემდეგ მიღებული პროდუქტის გამოყენებით ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად მიღებული ეკონომიკური შედეგი; ∂_1 პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალი; S მოცემული პროექტის განხორციელებისას ბუნებისდაცვით ღონისძიებებზე გაწეული დაყვანილი დანახარჯები.

გარემო ბუნების დაცვის ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების შედეგად მიღებული ეკონომიკური შედეგი (R) განისაზღვრება გარემო ბუნების გაჭუჭყიანების გამო თავიდან აცილებული წლიური ეკონომიკური ზარალის (∂) და წლიური დამატებითი შემოსაყალის (Δv) ჯამით:

$$R = \partial + \Delta v \qquad (2)$$

გარემო ბუნების გაჭუჭყიანების შედეგად თავიდან აცილებული ზარალის სიდიდე კი ტოლია სხვაობისა ბუნებისდამცავ ღონისძიებათა გატარებამდე ზარალსა [∂_1] და ღონისძიებათა გატარების შემდეგ ნარჩენ ზარალს [∂_2] შორის:

$$\partial = \partial_1 - \partial_2 \qquad (3)$$

გარემო ბუნების გაჭუჭყიანების შედეგად თავიდან აცილებული ზარალის სიდიდეს ანგარიშობენ შემდეგნაირად:

$$\partial = \sum_{i=1}^{n} \sum_{j=1}^{k} \partial_{ij} \quad (4)$$

სადაც, ∂_{ij} არის i ური სახის სრული ეკონომიკური ეფექტი, რომელიც მიიღება j ურ ობიექტზე ზარალის თავიდან აცილების შედეგად; n ეკონომიკური შედეგის სახეობათა რაოდენობა; k ეკონომიკურ ობიექტთა რაოდენობა.

თუ გავითვალისწინებთ მეორე და მესამე ფორმულებს, პირველი ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$E_a = (\Delta V + r_1 + r_2) - (\partial_2 + S) \quad (5)$$

თუ $E_a>0$, მაშინ პროექტის ეკონომიურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა დადებითია და მაშასადამე, პროექტის განხორციელების ეკოლოგიურ შედეგებს ეკონომიკური თვალსაზრისით დადებითი შედეგი მოჰყვება, ე.ი. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკურ-ეკოლოგიური თვალსაზრისით, პროექტის განხორციელება შესაძლებელია. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ეს შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ბუნებისდაცვით ღონისძიებათა გატარების შედეგად. ბუნებისდაცვით ღონისძიებათა გატარებას, ეკონომიკური თვალსაზრისით, აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ $R>S$.

თუ $E_a<0$, მაშინ პროექტის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა უარყოფითია, ე.ი. ეკონომიკურ-ეკოლოგიური თვალსაზრისით პროექტის განხორციე-

ლება მისანშეუწონელია.

ახალი პროექტის განხორციელება ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მისაღებია მაშინ, როდესაც მცირე დანახარჯების პირობებში მიღებული იქნება მაქსიმალური ეკონომიკური შედეგი. ეკოლოგიური თვალსაზრისით, მაშინ, როდესაც მოხდება ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება, ან არსებული დონის შენარჩუნება. ვინაიდან საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა მატერიალური დოვლათის წარმოების და გარკვეული ეკოლოგიური პირობების გარეშე, აუცილებელი ხდება რაღაც შუალედური ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, როდესაც წარმოება, ეკონომიკური თვალსაზრისით, მომგებიანი იქნება, ხოლო ეკოლოგიური თვალსაზრისით, წონასწორობის დარღვევა განსაზღვრულ დასაშვებ ფარგლებში მოექცევა.

ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე ყოველთვის შეუძლებელია მთლიანად ავიცილოთ გარემო ბუნებაზე მავნე გავლენა, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება კაცობრიობამ შეწყვიტოს საწარმოო პროცესი. მაშასადამე, ახორციელებს რა საწარმოო პროცესს, საზოგადოება მიდის გარკვეულ ეკოლოგიურ დათმობაზე. წარმოების ეკოლოგიზაციის განვითარების კვალობაზე, აღნიშნული დათმობის სიდიდე თანდათან მცირდება.

რა ცვლილებებს იწვევს ეკოლოგიური ფაქტორი ეკონომიკურ სისტემაში? დაახასიათეთ მისი გავლენა ეკონომიკური სისტემას ელემენტებზე (საკუთრების ფორმებზე, ფიზიკურ კაპიტალზე, ინსტიტუ-

ციებზე, ტექნოლოგიაზე, ადამიანისეულ კაპიტალზე)

კითხვები და დავალებები

1. იწვევს თუ არა ეკონომიური ფაქტორი სტრუქტურულ ცვლილებებს, ცვლილებების საწარმოოთა განლაგებაში და წარმოებას თუ არა იგი ახალ ტექნოლოგიებისა და პროდუქციებს?
2. რა გავლენას ახდენს ეკონომიური ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაზე?
3. რაში ჭდეობაიერებს გულისხმობს ბუნებისდაცვითი ღონისძიებების არსი, საბაზრო მექანიზმს ყოველთვის შეუძლია გათვალისწინოს ბუნების დაცვაზე გაწეული დანახარჯები?
4. არის თუ არა აუცილებელი სახელმწიფოს ჩარევა ბუნებისდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად და თუ არის რა ინსტრუმენტებს იყენებს იგი ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გასატარებლად?
5. ცხელა დარში და საწარმო თანაბარ პირობებში დგას გარეშე ბუნების დაბინძურ ღონისძიებებზე საბირო დანახარჯების გაწევის მიხედვით?
6. შეუძლია თუ არა ეროვნული სახელმწიფოს ყოველთვის განახორციელოს საბირო ბუნებისდაცვითი ღონისძიებები?
7. რას ნიშნავს გარემოსადმი მიყენებული ზარალის ინტერნალიზაცია?
8. რომის არის საუკეთესო ახალი პროექტის განსახორციელებლად ბუნებისდაცვით ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების ეფექტი?
9. რაში ჭდეობაიერებს კონვერტაციისა და ნეიტრალიტეტის არსი?
10. მოიძიეთ მასალები საქართველოში ეკონომიური ჭდეობაიერების შესახებ და მოამზადეთ ეროკლე პეზანტაცია.

თავი III

მდგრადი განვითარება

ტერმინი "მდგრადი ეკონომიკური განვითარება" პირველად გამოყენებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი გ. ბრუნტლანდი. 1987 წელს გავრცელდა აღნიშნული კომისიის მოხსენება – "ჩვენი საერთო მომავალი", რომელშიც შემოთავაზებული იყო მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა გაგრძელებულიყო ეკონომიკის უწყვეტი განვითარება ახლანდელი თაობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გასაუმჯობესებლად, ოღონდ მომავალი თაობების არსებობისათვის ზიანის მიყენების გარეშე. მაშასადამე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია მოიცავს სამ ძირითად მომენტს:

1. მოსახლეობის, განსაკუთრებით მსოფლიოს უღარიბესი ნაწილის, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გაუმჯობესებას;

2. პროგრესული ტექნოლოგიების შექმნასა და რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რომელიც შესაძლებელს გახდის, არ დაირღვეს დედამიწაზე მიმდინარე ბუნებრივი პროცესები.

3. ყველა იმ პრობლემის გადაჭრას, რომელიც

დაკავშირებულია საერთოდ ეკონომიკურ განვითარებასთან, ანუ ეკონომიკის ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლასთან და არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდასთან.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გარემოსა და განვითარების საკითხებზე ჩატარდა მეორე მსოფლიო კონფერენცია, რომელზეც შემუშავებული და მიღებული იქნა პროგრამა „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“ „ სადაც ასევე გადმოცემულია მდგრადი განვითარების არსი და ამოცანები.

2000 წელს მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათასწლეულის დეკლარაცია, რომელშიც გადმოცემულია მდგრადი განვითარების 8 მიზანი:

1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;

2. დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში;

3. გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა;

4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;

5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;

6. აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა;

7. ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა;

8. მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განვითარებისთვის. ათასწლეულის მიღწევებიდან შეიძლება დასახელდეს ის, რომ შექმნა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე წარმატებული სიღარიბის საწი-

ნააღმდეგო მოძრაობა; ღატაკი ადამიანების რაოდენობა თითქმის განახევრდა, თუ 1990 წელს მათი რაოდნებობა 1.9 მილიარდს შეადგენდა, 2015 წელს 836 მილიონამდე შემცირდა; 1990 დან 2015 წლამდე ხუთ წლამდე ბავშვების გარდაცვალების მაჩვენებელი 1,000 ცოცხლად შობილზე 90 დან 43 მდე შემცირდა; დედათა სიკვდილიანობის შემცირება მთელ მსოფლიოში, ყველაზე მეტად 2000 წლიდან ვლინდება. 2000-დან 2013 წლამდე აივ ინფექციის ახალი შემთხვევების კოეფიციენტი 40%-ით შემცირდა; მსოფლიოში, 2.1 მილიარდ ადამიანს მიუწვდება ხელი გაუმჯობესებულ სანიტარიაზე და სხვ. თუმცა ხარვეზებიც მნიშვნელოვანია: დაახლოებით 800 მილიონი ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და 795 მილიონი - ისევ იტანჯება შიმშილით; 2000 - დან 2015 წლამდე დაახლოებით განახევრდა სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშების რაოდენობა. თუმცა 57 მილიონ ბავშვს მაინც შესწუდული აქვს დაწყებითი განათლების მიღების უფლება; ეკონომიკური უფსკრული ისევ არსებობს უღარიბეს და უმდიდრეს ოჯახებს და ქალაქის და სოფლის დასახლებებს შორის და სხვ. ამიტომ, 2012 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულ კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20) მიღეს გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ გაეროს წევრი ქვეყნების მიერ. 2015 წლის 25 სექტემბერს კი გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით „ჩვენი სამყა-

როს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის". ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. ეს მიზნებია:

1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

2. შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;

3. ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის;

4. ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის;

5. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება;

6. წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;

7. ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა;

8. სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის;

9. მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;

10. უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის;

11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება;

12. მდგრადი მოხმარება და წარმოება;

13. კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება;

14. ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის;

15. დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;

16. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე;

17. პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად*.

მდგრადი განვითარების მოთხოვნათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერგიის რაციონალური გაცვლის შედეგად. ეს კი მიიღწევა მაშინ, როდესაც ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დაემყარება ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებას. მაშასადამე,

* http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.V9JJ6-GKTIU

დღის წესრიგში დგას საზოგადოებისა და ბუნების განვითარების, ანუ კოევოლუციის ამოცანა. ჩვენი პლანეტის ბიოსფერო გადადის ახალ თვისებრიობაში ┌ ნოოსფეროში, მოაზროვნე გარსში, სადაც ადამიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს.

მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლა გულისხმობს ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია: მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობასთან; ეკონომიკურ ზრდასთან; არაგანახლებადი რესურსების ალტერნატიული რესურსებით ჩანაცვლებასთან; განახლებადი რესურსების კვლავწარმოების პირობების შენარჩუნებასთან; გარემოს დაბინძურების შემცირებასთან.

მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად საზოგადოებამ უნდა გადაჭრას არაერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ეს ამოცანები არის როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათის, თუმცა, დღევანდელი ეკონომიკა ისე პირდაპირ და სწრაფად რეაგირებს არაეკონომიკური ხასიათის ფაქტორებზე, რომ მათი უგულებელყოფა შეუძლებელია. 8

ეკონომიკური ხასიათის ამოცანებიდან ძირითადად შეიძლება დავასახელოთ ეკონომიკური ზრდის ტემპების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მოთხოვნებთან. ეკონომიკური ზრდის გამოდევნებამ შესაძლებელია აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს საზოგადოებას. ამიტომ, აუცილებელია მოხდეს შეფასება, თუ რა დაჯდა იგი, რა რაოდენობის არა-

აღდგენადი ან აღდგენადი რესურსები დაიხარჯა, რა ზარალი მიადგა ამის გამო გარემოს და შემდეგ მთელ საზოგადოებას.

რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას (ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფას), ის არავითარ წინააღმდეგობაში არ არის მდგრად განვითარებასთან, პირიქით, სწორედ ეკონომიკური განვითარების შედეგად არის შესაძლებელი მდგრადი განვითარების მიღწევა. მდგრადი განვითარება გულისხმობს არა ეკონომიკური განვითარების, არამედ ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდის შეზღუდვას. ამ შეზღუდვის კომპენსირება ხდება სწორედ ეკონომიკური განვითარების ხარჯზე, საზოგადოების კომფორტის ზრდის შედეგად. მაშასადამე მდგრადი განვითარება მოითხოვს ეკონომიკური ზრდის ტემპების თანდათან შენელებას, მაგრამ არა საზოგადოების სულ უფრო მზარდი დაკმაყოფილების შემცირების, არამედ თვისებრივ მაჩვენებელთა სრულყოფის საფუძველზე, რაც ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას განაპირობებს. საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია ჩაანაცვლოს ტერმინმა „ადამიანთა კეთილდღეობის ზრდა“, რომლის გაზომვის მაჩვენებლები ძირითადად იქნება თვისებრივი ცვლილების გამომსახველი მაჩვენებლები.

სოციალური მდგრადობა. სოციალური ფაქტორებიდან, უპირველეს ყოვლისა, სიღარიბე უმუშევრობაა კორუფციაა მდგრადი განვითარების ხელის შემშლელი ძლიერი ფაქტორი.

ემდგრადი განვითარების ერთ-ერთი პრობლემა

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. აუცილებელია, არაგანახლებადი რესურსების რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნება, სანამ მოხდება მათი ალტერნატიული რესურსებით ჩანაცვლება და არ დაირღვეს განახლებადი რესურსების კვლავწარმოების პირობები. ამავე დროს, უნდა მოხდეს განახლებადი რესურსების რაც შეიძლება მაქსიმალური გამოყენება.

გარემოსდაცვითი პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს როგორც ეკონომიკის განვითარების დონეს, ასევე სოციალურ მოთხოვნებს. არ უნდა დააწვეს ეკონომიკას დიდ ტვირთად და, ამასთან, არ უნდა გამოიწვიოს სოციალური მდგომარეობის გაუარესება.

დღეისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოსდაცვითი განათლების გაძლიერებას. თუ რამდენად შეესაბამება განათლების სისტემა გარემოსდაცვითი მოთხოვნების გადაჭრას. პირველად ამის შესახებ აღინიშნა ბელგრადის 1975 წლის ქარტიაში, ხოლო შემდეგ 1977 წელს გარემოსდაცვითი განათლების შესახებ თბილისში გამართულ სამთავრობოთაშორისო კონფერენციაზე, რომელზედაც მიღებულ იქნა თბილისის დეკლარაცია. ნათლად განისაზღვრა გარემოსდაცვითი განათლება, როგორც „სწავლის პროცესი, რომელიც მიმართულია როგორც გარემოსა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ცოდნისა და საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლებისკენ, ასევე ამ გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელი უნარებისა და ექსპერტული ცოდნის განვითარებისკენ და ხელს

უწყობს ხათანადო დამოკიდებულებების, მოტივაციის ჩამოყალიბებას, რომელიც საჭიროა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და პასუხისმგებლობით და გონივრულად მოქმედებისთვის".•

საინტერესოა თუ რა მდგომარეობაა საქართველოში მდგრადი განვითარების მიმართულებით. განვიხილოთ ზოგიერთი სფერო:

ადამიანთა ჯანმრთელობისათვის აუცილებელია სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა და ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენება. ამ მხრივ აღსანიშნავია: თამბაქოს ზემოქმედება ე.წ. „პასიურ მწეველებზე", განსაკუთრებით ბავშვებზე; ავტომობილების გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედება და საბანაო-სარეკრეაციო წყლების არასაკმარისი სანიტარულ-ჰიგიენური დაცულობა. საქართველოში ყველა ამ მიმართულებით დიდი ნაკლოვანებებია. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მოსახლეობის ქიმიკატებისაგან დაცულობის მიმართულებით. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მოგროვებისა და გაწმენდის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, ავტომობილების გამონაბოლქვის შემცირების ან თამბაქოს ბოლისგან ბავშვებისა და სხვა პასიური მწეველების დასაცავად არაფერი კეთდება. შიდა ბაზარზე გასაყიდი სურსათის მიკვლევადობისადმი დამოკიდებულება ზერელე და ზედაპირულია, ის, თუ რა საშიში ქიმიკატები ცირკულირებს ქვეყანაში, როგორ გამოიყენება ისინი და როგორ უნდა იყოს უზრუნველყო-

• გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის
http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/Education_GE_A5_PRINT.pdf

ფილი ადამიანთა უსაფრთხოება მათი გამოყენებისას არც ერთი სავარო ორგანოსთვის ცნობილი არ არის. მოსახლეობის დაცულობა ქიმიკატების მხრივ საქართველოში ნულოვან დონეზეა [74].

წყლის რესურსების დაცვის მიმართულებითაც ბევრი ნაკლოვანებაა. საქართველოს მდინარეები ძირითადად დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე ლითონებით (მდინარე მაშავერა, ბოლნისის რაიონი; მდინარე ყვირილა ჭიათურა-ზესტაფონის მონაკვეთზე), ხოლო შავი ზღვის აჭარის რეგიონის მდინარეები ნავთობპროდუქტებით. ზედაპირული წყლების ძირითადი დამაბინძურებელი არის კომუნალური სექტორი (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კანალიზაციის ჩამდინარე წყლები). დღევანდელი მდგომარეობით წყლის გამწმენდ არც ერთ ნაგებობას არ შეუძლია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა საპროექტო ხარისხის შესაბამისად. წყლის ბიოლოგიური გაწმენდა არ ხდება არც ერთ ქალაქში. პირველადი მექანიკური გაწმენდა ხორციელდება მხოლოდ ქ. თბილისრუსთავის რეგიონულ გამწმენდ ნაგებობაზე. შედეგად, ზედაპირული წყლის ობიექტებში აღინიშნება მნიშვნელოვანი დაბინძურება*

ატმოსფეროს დაცვის მიმართულებით. საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან

* მონაცემები აქ და სადაც მითითება არ იქნება, აღებულია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მასალებიდან

წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით ბინძურდება. მათგან ურბანიზებული გარემოს ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი და ენერგოსექტორი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ავტოტრანსპორტის და ენერგოსექტორის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობა და შესაბამისად იზრდება ამ სექტორებიდან მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევები. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საერთო გაფრქვევებში პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი, შემდეგ ნახშირწყალბადები, მეთანი, მყარი ნაწილაკები (არაორგანული მტვერი), აზოტის ოქსიდები და ამიაკი*. ატმოსფეროს დაცვის სფეროშიდაც ნაკლოვანებებია

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც უკავშირდება ისეთ ანთროპოგენურ და ბუნებრივ ფაქტორებს, როგორიცაა ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ. არც ერთ დაცულ ტერიტორიაზე არ არის შესწავლილი ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა და, შესაბამისად, არ არსებობს ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენის ან შენარჩუნების გეგმები. ფაქტობრივად, დაცული ტერიტორიები არა ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, არამედ ტურიზმის განვითარების რესურსად გამოი-

* http://moe.gov.ge/index.php?sec_id=50&lang_id=GEO

ყენება.

ნიადაგის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოსთვის. ეს არის სახელმწიფოებრივი პრობლემა, რადგან საქართველოში, სადაც ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები.

ცუდი მდგომარეობაა ტყის დაცვის მიმართულებითაც. საქართველოში უკვე 20 წელია მიმდინარეობს უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვება, რის შედეგადაც ტყეების დიდი ნაწილი გაჩანაგდა, ხოლო დანაკარგების ზუსტი აღრიცხვა-შეფასება დღემდე არ მომხდარა [74].

აღდგენადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების დონეც არასაკმარისია. აღნიშნული რესურსებიდან საქართველო მდიდარია: ჰიდროენერგორესურსებით, მზის, ქარისა და თერმული წყლების რესურსებით, მაგრამ ყველა ეს რესურსი დღეისათვის მცირედითაა ათვისებული.

მდგრადი განვითარების მისაღწევად ქვეყანაში უნდა არსებობდეს მდგრადი განვითარების მაკროეკონომიკური მექანიზმი.

მდგრადი განვითარების მაკროეკონომიკური მექანიზმის არსი გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფომ საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი უნდა შეუწყოს მდგრადი განვითარების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას ეკონომიკური განვითარე-

ბის მეშვეობით, რისი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო რეგულირების ძირითადი აქცენტი გადატანილია ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე. მდგრადი განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მთავარი მიზანი არის არა მხოლოდ ის, რომ ხელი შეუწყოთ საბაზრო ძალების მოქმედებას და დავაჩქაროთ ეკონომიკური განვითარების პროცესი, არამედ იმაშიც, რომ თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური საქმიანობისაგან ბუნებისადმი (და, რასაკვირველია, აქედან გამომდინარე, თვით ადამიანთა საზოგადოებისადმი) მიყენებული ნეგატიური შედეგები.

მდგრადი განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის სტრუქტურა და შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, არსებულ ეკონომიკურ მოდელზე, ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

მდგრადი განვითარების კონცეფცია არ ითვალისწინებს კონკრეტულ მაჩვენებლებს რომლის მიხედვითაც შეფასდებოდა მდგრადობა, ამიტომ ნიდერლანდელი ეკონომისტების მიერ ფონდ "მდგრადი საზოგადოების" ეგიდით 2006 წელს შემუშავებული იქნა "საზოგადოების მდგრადობის ინდექსი (The Sustainable Society Index)", რომელიც ზომავს 10 ბალიანი სკალით ქვეყნის მიღწევებს მდგრადი განვითარების მიხედვით. იგი ეფუძნება სამ ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროს 24 მაჩვენებლის

მიხედვით•

კითხვები და დავალებები

1. რაში მდგრადობას მდგრადი განვითარების კონცეფცია?
2. რა ღონისძიებები ტარდება მსოფლიოში მდგრადი განვითარების მიხედვით?
3. ათასწლეულის დეკლარაციის მიზნები და მიღწეული შედეგები.
4. „კვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის".
5. მოიკრიბეთ მასალები მსოფლიოში სასოგადოების მდგრადობის ინდექსის შესახებ და მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია.
6. მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია საქართველოში მდგრადი განვითარების შესახებ.

• http://gtmarket.ru/ratings/sustainable-society-index/info

თ ა ვ ი IV

გლობალიზაცია

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები უდიდეს გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, იწვევენ რა პროგრესულ ცვლილებებს ეკონომიკური რესურსების გამოყენებაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში, ხელს უწყობს ცოდნის, ტექნოლოგიების, ორგანიზაციისა და მართვის ახალი ფორმებისა და მეთოდების გავრცელებას მთელ მსოფლიოში და სხვა.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებამ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, მანქანური წარმოებისა და თანამედროვე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებამ. შაბოლოოდ ჩამოყალიბდა საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი (XIX საუკუნის ბოლოს). ამავდროულად იწყება წარმოების ფაქტორთა გატანა.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარებას აქვს თავისი მიზეზები, რომელთაგან თითოეული გამომდინარეობს მოცემული ქვეყნის განვითარების ინტერესებიდან, რომელიც შრომის საერთაშორისო დანაწილებას ემყარება.

მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ცხადია, ხელს უწყობენ ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკური რესურსების

უფრო რაციონალურად გამოყენების და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე. რაც შეეხება ცალკეულ ქვეყნებს, მათი გონივრული მოქმედების შემთხვევაში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პროცესი ერთ ქვეყანაზე ახდენს დადებით, ხოლო მეორეზე უარყოფით გავლენას. მაგალითად, საქონლის გატანის შემთხვევაში თუ საქონელი სათანადო ხარისხისაა, მაშინ იგი ორივე ქვეყნისათვის სასარგებლოა, ხოლო თუ საქონელი უხარისხო, მოძველებული, ან ეკოლოგიურად არასუფთაა, მაშინ ეს პროცესი უარყოფით გავლენას ახდენს იმპორტიორ ქვეყანაზე. კაპიტალის გატანის შემთხვევაში, თუ იგი ფიზიკურად და მორალურად მოძველებული არ არის, იგებს იმპორტიორი ქვეყანა, ხოლო ექსპორტიორი ქვეყანა, თუ ამ კაპიტალის მოცემულ ქვეყანაში გამოყენება შეიძლებოდა, აგებს. თუკი ადგილი აქვს ჭარბი კაპიტალის გატანას, მაშინ ექსპორტიორი ქვეყანაც იგებს. განსაკუთრებით ცუდია "კაპიტალის გადინების" პროცესი, როდესაც კაპიტალის გატანას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ არის შექმნილი შესაბამისი კლიმატი მოცემული კაპიტალის გამოსაყენებლად, ან იგი არაკანონიერი წარმოშობისაა.

სამუშაო ძალის მიგრაციის შემთხვევაში ეკონომიკურ განვითარებას შედარებით ხელს უწყობს მუშათა იმიგრაცია. ემიგრაცია განსაკუთრებით ცუდია მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მაღალკვალიფიციური

კადრების გასვლას. ყველაზე მეტი ზიანი მოაქვს ეგრეთწოდებულ "გონების გადინებას," ანუ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების – "ვარსკვლავების" გასვლას სხვა ქვეყნებში. რაც შეეხება ტექნოლოგიების (ცოდნის) გატანას, ერთმნიშვნელოვნად, იგი ხელს უწყობს უფრო დაბალგანვითარებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობები თანდათან ღებულობს გლობალურ ხასიათს. შეიძლება გამოიყოს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის სამი ეტაპი. პირველი ეს არის 1820 ⌜ 1914 წლები, როდესაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა საერთაშორისო ვაჭრობა, დაიწყო სამუშაო ძალისა და კაპიტალის გატანა. ყოველივე ამას ხელი შეუწყო სატელეფონო კაბელის გაყვანამ, რომლითაც დიდი ბრიტანეთი დაუკავშირდა ჩრდილო ამერიკას. თუ მანამდე ინფორმაციის გადაცემას ლონდონიდან ამერიკამდე სჭირდებოდა დაახლოებით სამი კვირა, 1914 წლისათვის ეს დრო შემცირდა ერთ წუთამდე. ამაში ასევე დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ ოქროს სტანდარტის სისტემის შემოღებამ, რითაც სასურველი გარემო შეიქმნა ინვესტიციების განხორციელებისათვის. მეორე პერიოდი მოიცავს 1914 ⌜ 1950 წლებს. მსოფლიო ომების და დიდი ეკონომიკური დეპრესიის გავლენის გამო, ამ პერიოდში სახელმწიფოებში თავი იჩინა ანტიგლობალურმა მისწრაფებებმა, უპირატესობა მიენიჭა ეროვნული ინტერესების დაცვას, მნიშვნელოვნად შეიზღუდა იმპორტი, ხოლო ზოგიერთმა ქვეყანამ მთლია-

ნად მოახდინა გარე სამყაროდან ბლოკირება. ³ლ ო-ბალიზაციის მესამე ეტაპი იწყება 1950 წლიდან და გრძელდება დღემდე. ეს ეტაპი არის გლობალიზაციის ყველაზე ინტენსიური განვითარების პერიოდი, როდესაც: იგი უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება რეგიონალიზაციის მეშვეობით, რის საფუძველზეც ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი; თავბრუდამხვევი ტემპებით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია. ტრანსეროვნული კორპორაციები წარმოადგენენ მთავარ ძალას მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების დასაჩქარებლად. სწორედ მათი საქმიანობა გარდაქმნის მსოფლიო მეურნეობას საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის და ცოდნის ერთიან ბაზრად; საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დომინირებს არა საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ წარმოების და გასაღების ორგანიზება უშუალოდ საზღვარგარეთ; ხორციელდება მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირება და მათი არნახული დივერსიფიკაცია. ძლიერდება უნიფიკაციის ტენდენცია ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში; ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული სისტემების დანერგვის მეშვეობით ხორციელდება მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელის დივერსიფიკაცია; ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთი-

ან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციურ გაფორმებას. მათი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად ხდება იურიდიულად აუცილებელი ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოებისათვის; გლობალიზაცია შეიჭრა შიგასახელმწიფოებრივ სფეროშიც და თანდათან ხდება შიგა ცხოვრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობებს; ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან; სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ებმება გლობალიზაციის პროცესებში, ყალიბდება გლობალური ცივილიზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ.

ტერმინი გლობალიზაცია დაკავშირებულია არა მხოლოდ ეკონომიკასთან, არამედ ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროსთან – მეცნიერებასთან, კულტურასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, სპორტთან, სოციალურ სფეროსთან, პოლიტიკასთან და ა.შ. იგი წარმოსდგება სიტყვისგან – "globe" (დედამიწა) და, მაშასადამე, წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების

პირობებში. ’გლობალიზაციას აქვს საერთოპლანეტარული ხასიათი. თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება (საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინტერნეტი, თანამგზავრული ტელევიზია, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები და ა. შ.) ბიძგს აძლევს დედამიწის ერთიან გლობალურ ორგანიზმად ჩამოყალიბებას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა გლობალიზაციის წარმომშობ მიზეზებთან დაკავშირებით. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ გლობლიზაცია არის ისტორიული განვითარების ობიექტური შედეგი. მას უპირისპირდება რადიკალური მოსაზრებები გლობალიზაციის ნეგატიური მხარეების შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ წამყვანი ქვეყნები განვითარებად ქვეყნებში ახდენენ ბუნებრივი რესურსების მტაცებლურ გამოყენებას, ეკოლოგიური სიტუაციის და შრომის პირობების გაუარესებას, სიღარიბის ზრდას, კონკურენტუნარიანობის შემცირებას, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული კულტურის დეგრადირებას, ტრადიციების მოშლას და, საერთოდ, ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვას.

ჩვენი აზრით, გლობალიზაცია ეროვნულ ეკონომიკათა განვითარების პროცესის რეალური შედეგია, რასაც შემდეგი ძირითადი მიზეზები განაპირობებს: 1. ეკონომიკური განვითარების შინაგანი მოთხოვნები, ამაღლდეს ‘ ადამიანთა ცხოვრების რეალური დონე, რითაც დაინტერესებულია მსოფლიოს

ყველა ქვეყანა. 2. ადამიანთა პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მოტივაცია, მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება. 3. მსოფლიოში გადაუჭრელი გლობალური პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტაც ცალკეულ ქვეყნებს არ შეუძლიათ.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესში ყველა ქვეყანა ღებულობს გარკვეულ სარგებელს, ამ სარგებლის ხარისხი და რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაა. პრიორიტეტული მდგომარეობა, ფაქტია, განვითარებულ ქვეყნებს აქვთ, ვინაიდან სწორედ ისინი ფლობენ ჭარბი რაოდენობის და შესაბამისი ხარისხის წარმოების ფაქტორებს, ისინი აწარმოებენ მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციას. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ განვითარებული ქვეყნები მსოფლიო მასშტაბით: 1. იყენებენ გაცილებით იაფ სამუშაო ძალას და იაფ რესურსებს; 2. იზიდავენ მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალას; 3. ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში გააქვთ დაბალი ხარისხისა და ნახმარი პროდუქცია; 4. აწარმოებენ ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკის გატანას; 5. ექმნებათ ხელსაყრელი პირობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ამისათვის მსოფლიო მასშტაბით საჭირო უზარმაზარი რესურსების მოზიდვის გამო.

სხვა ქვეყნები გლობალიზაციის პროცესში: 1. იყენებენ მსოფლიოში დაგროვილ დიდ გამოცდილებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს; 2. იღებენ დიდ ფინანსურ დახმარებებს; 3.

წყვეტენ მრავალ (სიღარიბის, ეკოლოგიურ, სამედიცინო) პრობლემებს.

არსებობს გლობალიზაციის საეროო დადებითი მხარეები, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს:

1. მან მნიშვნელოვნად განაპირობა საბაზრო მექანიზმზე დამყარებული ეკონომიკური და მეტნაკლებად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. იგი აიძულებს ცალკეული ქვეყნების მთავრობებს, აღმოფხვრან ეოლუნტარიზმი და კორუფცია, ჩამოაყალიბონ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა.

2. გლობალიზაციის პირობებში ახალი ტექნოლოგიები ერცელდება ისევე სწრაფად, როგორც კაპიტალი.

3. იგი განაპირობებს მსოფლიო რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას.

4. მსოფლიო არენაზე უმსხვილესი კორპორაციების ფუნქციონირება შესაძლებელს ხდის მასშტაბის ეფექტის მაქსიმალური ნიშნულის მიღწევას.

5. გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გაძლიერება და ერთობლივი ძალებით უმსხვილესი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხორციელება კიდევ უფრო აჩქარებს ტექნოლოგიის სრულყოფას და ინოვაციების გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით, რაც, უპირველეს ყოვლისა, სასარგებლოა მომხმარებლებისათვის.

6. იგი შესაძლებელს ხდის'გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები გადაჭრას მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევის

გაეროიანების შედეგად, რესურსების მობილიზაციისა და მოქმედებათა კოორდინაციის საფუძველზე და სხვა.

მაგრამ, გლობალიზაციას თან ახლავს ნაკლოვანებებიც, რომელთა გათვალისწინებასა და თავიდან აცილებაზე უნდა იზრუნოს მსოფლიოს როგორც წამყვანმა, ისე სხვა ქვეყნებმა. ეს პრობლემები ძირითადად შემდეგში მდგომარეობს: 1. გლობალიზაცია მოიცავს რა ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკათა თითქმის ყველა სფეროს, ზღუდავს სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობას. წარმოიშვება გარკვეული წინააღმდეგობები გლობალიზაციასა და ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტს შორის; 2. გლობალური მასშტაბით რაიმე ნეგატიური მოვლენის წარმოშობისას დიდია მისი მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე გავრცელების ალბათობა; 3. გლობალიზაციის პროცესში იმდენად დიდია ეკონომიკური ნაკადების მასშტაბები, რომ არ არის გამორიცხული, ზოგიერთ შემთხვევაში, იგი დამანგრეველი გამოდგეს ცალკეული, განსაკუთრებით კი სუსტი ქვეყნებისათვის; 4. იზრდება განვითარებადი ქვეყნებიდან სამუშაო ძალის, მათ შორის, მაღალკვალიფიციური კადრების ემიგრაციის მასშტაბები; 5. გლობალიზაციის დროს წარმოშობილი მიგრაციის დიდი მასშტაბები დემოგრაფიულ პრობლემებს წარმოშობს ბევრ ქვეყანაში; 6. გლობალიზაციას ხშირად არაერთგვაროვანი განსხვავებული მიმართებები აქვს სხვადასხვა ქვეყნებისა და დარგების მიმართ, რაც საგრძნობ დეფორ-

მაციებს იწვევს ცალკეული ქვეყნებისა და დარგების განვითარებაში; 7. გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია არასტაბილურობა საფინანსო ბაზარზე. "ცხელი ფულის" გაძლიერებულმა გადადინებებმა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ რყევები კაპიტალის ბაზარზე, არამედ საბანკო, სავალუტო და საერთო ფინანსური კრიზისი; 8. დღეისათვის გლობალიზაციის პირობებში თანდათან იზრდება განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის მიხედვით[246]; 9. გლობალიზაციამ შეასუსტა რა სახელმწიფო რეგულირების სფერო, ამასთანავე არ ჩამოყალიბებულა მისი შემცველი საერთაშორისო რეგულირების ქმედითი ორგანოები (მაგალითად სავალუტო კურსის მარეგულირებელი საერთაშორისო სტრუქტურა და სხვ.); გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება ნარკობიზნესის გავრცელება და იარაღით არალეგალური ვაჭრობა; 10. ხდება პლანეტის მთელი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალის თავმოყრა რამოდენიმე ქვეყანაში; 11. რეალური ხდება პროცესის არასწორად წარმართვის შემთხვევაში გლობალური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე, რაც საზოგადოებას კატასტროფით ემუქრება და სხვ.

გლობალიზაციის გავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე ძირითადად ვლინდება შემდეგში:

1. ეროვნული ეკონომიკები ხდებიან არა მხოლოდ გლობალიზაციის უბრალო მაყურებლები, არამედ მისი ორგანიზატორები და ცხოვრებაში გამტარებლები.

2. ხორციელდება სახელმწიფო სექტორის კიდევ უფრო შეკვეცა. პრივატიზება შეეხო ისეთ დარგებსაც კი, რომლებიც ადრე მკაცრი რეგულაციის დარგებად ითვლებოდა (ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სხვ.).

3. სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტი ხდება სოციალური პოლიტიკა. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შემცირების გამო გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსები სოციალურ სფეროში გამოიყენება.

4. ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების გალენა, რომელთა წესების შესაბამისად ფუნქციონირებს ეროვნული ეკონომიკის დიდი ნაწილი. ეს ორგანიზაციებია, უპირველეს ყოვლისა, გენერალური შეთანხმება ტარიფისა და ვაჭრობის შესახებ **(GATT)**, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია **(VTO)**, საერთაშორისო სავალუტო ფონდი **(IMF)**, მსოფლიო ბანკი **(WB)**.

5. მიმდინარეობს შრომის დანაწილების ახალი ეტაპი, რომლის დროსაც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ სხვა ქვეყნები.

6. ხდება ეროვნულ ეკონომიკაზე ეგზოგენური ფაქტორების გავლენის ზრდა.

7. მსოფლიო საფინანსო-საკრედიტო სისტემა, რომლის გლობალიზაციის დონემ წინ გაუსწრო რეალურ სექტორში გლობალიზაციას, დიდ გაელე-

ნას ახდენს ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირებაზე.

დღეისათვის ეკონომიკურ ინტეგრაციას მნიშვნელოვნად ჩამორჩება შესაბამისი საერთაშორისო რეგულირების სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რაც გარკვეულწილად განპირობებულია პოლიტიკური ინტეგრაციის ჩამორჩენით ეკონომიკურისაგან. ²ს წორედ არასაკმარისი შეთანაწყობა გლობალური და ეროვნული ინტერესებისა არის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისებისა. გლობალიზაციის პროცესის რეგულირება აუცილებელია, რისთვისაც ერთმანეთს უნდა შეერწყას რეგულირება მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკების მასშტაბით. მოფლიო მასშტაბით რეგულირებაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ყველა ქვეყანა თანაბარი უფლებებით. ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური გამოთანაბრებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ.

რასაკვირველია, გლობალიზაციის პირობებში ასეთი საფრთხე მართლაც არსებობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გლობალიზაცია მოიცავს როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების, ისე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. მას აქვს სუბიექტური ხასიათიც. ამისი წარმართვა შესაძლებელია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით. ამიტომ, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ სამართლიანი გლობალიზაციის განხორციელება.

ამაში უდიდესი წვლილი ეკუთვნით ლიდერ სახელმწიფოებს. სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გლობალიზაციის ბედი.

გლობალიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებზე, მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას, ვინაიდან მისი ფუნქციები დაიკარგება. მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება, მაგრამ იგი იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალებისაკენ, დახმარებების ეფექტიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ. გლობალიზაცია ამაღლებს ცხოვრების ხარისხს, მაგრამ ნაციონალური სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების გარეშე ეროვნული ეკონომიკა მუდამ იქნება წამყვანი ქვეყნის შედარებით მოძველებული ტექნოლოგიებისა და სამომხმარებლო პროდუქციის გამსაღებელი. გლობალიზაცია არის ობიექტური პროცესი, მაგრამ მისი რეგულირება აუცილებელია ეროვნული სახელმწიფოების თანასწორობის საფუძველზე შექმნილი ზეეროვნული ორგანოების მიერ.

ამა თუ იმ ქვეყნის გლობალიზაციაში ჩართულობის შესაფასებლად არსებობს სხვადასხვა მაჩვენებელი (მაგალითად, ერთ-ერთი არის გლობალიზაციის KOF ინდექსი (KOF Index of Globalization), რომელიც შემუშავდა შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტში (KOF Swiss Economic Institute), შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტის (Swiss Federal Institute of Technology) მონაწილეობით. იგი ითვალისწინებს ეკონომიკურ, სოციალურ დაპოლიტიკურ გლობალიზაციას). მაგრამ, ქვეყნების გლობალიზაციის ეს მაჩვენებლები წარმოდგენას იძლევიან ცალკეული ქვეყნის ინტეგრაციაზე მსოფლიო პროცესებში და არა მსოფლიოს გლობალიზაციის ხარისხზე. ამიტომ, უმჯობესია ამ მაჩვენებლებს ქვეყნის გლობალიზაციაში ინტეგრაციის ინდექსი ერქვას, ხოლო მსოფლიოს გლობალიზაციის დონის დასახასიათებლად შემოღებულ იქნეს მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსი. იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიცავდეს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობა, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, დანახარჯები სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროექტებზე, მსოფლიოში შემოსავლების უთანაბრობის (ქვეყნებს შორის), სიღარიბის, სამხედრო ხარჯების, სამხედრო კონფლიქტების, მიზნობრივი (სავალუტო, საკრედიტო და სხვ.) საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციონირების, საერთაშორისო ორგანოებში ცალ-

კეული ქვეყნების მონაწილეობის თანაბრობის მაჩვენებლებს.

კითხვები და დავალებები

1. რეგიონ ახდენენ საბარიერო-ეკონომიკური ფაქტორები გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე?
2. საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების რა ფორმებს გამოყოფენ?
3. რას ნიშნავს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია?
4. რა ეტაპები გაიარა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ?
5. საერთაშორისო ურთიერთობების რა სახეობა დომინირებს გლობალიზაციის პროცესში
6. გადმოცით რა ცვლილებები მიმდინარეობს გლობალიზაციის დროს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
7. რა ფაქტორები უწყობ ხელს გლობალიზაციის დაჩქარებას.
8. თქვენი აზრით გლობალიზაცია არის ისტორიული განვითარების ობიექტური შედეგი თუ იგი ორგანიზებულია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ.
9. რა სარგებლობას და ზარალს განიცდიან განვითარებადი და განვითარებული ქვეყნები გლობალიზაციის შედეგად.
10. ცადეთ ახალი გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და დაახასიათეთ ისინი.
11. რაში ვლინდება გლობალიზაციის გავლენა ორგანულ ეკონომიკებზე?
12. რა ნაკლოვანებებს ფლობს გლობალიზაციის ინდექსი.
13. თქვენი აზრით, უნდა შეიქმნას თუ არა საერთაშორისო ხარებული-რებელი ორგანოები და რატომ?
14. როგორ უნდა მიაღწიონ სახელმწიფოებმა წარმატებას გლობალიზაციის პირობებში?
15. თქვენი აზრით, რეგიონია გლობალიზაციის მომავალი?
16. მოიკვლიეთ ერთერთ ეკონომიკებზე გლობალიზაციის გავლენის მაგალითები ეკონომიკის ისტორიიდან და მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია.

თავი V

განვითარების თეორიები

ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ განვითარების თეორიები, რომელიც ეფუძნება ამა თუ იმ პროცესს და მოვლენას:

ტექნოლოგიური თეორიების მიხედვით, განვითარების ძირითადი მამოძრავებელია ტექნოლოგიები. ამ თეორიის პირველი წარმომადგენელია ლიუის გენრი მორგანი. იგი თავის წიგნში "უძველესი საზოგადოება" [284] განიხილავს განვითარების შვიდ სტადიას მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციების მიხედვით – ცეცხლის დაუფლება, მშვილდ-ისრის გამოგონება და ა. შ.

ენერგეტიკული თეორიების მიხედვით, განვითარებას განაპირობებს ენერგიის ახალი სახეობების (ცეცხლი, ორთქლი, ელექტროენერგია, თერმობირთვული ენერგია) აღმოჩენა და ათვისება. მაგალითად, ევოლუციონისტი ლ. უაიტი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათ მიერ მოხმარებული ენერგიის ოდენობით [321].

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის მიხედვით განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადამიანისეული კაპიტალი. ამ თეორიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან თეოდორ შულცი [212, 214] და გერი ბეკერი [163].

განვითარების ზოგ თეორიაში უპირატესობა ენიჭება აგრარულ ტექნოლოგიებსა და სასურსათო რესურსებს, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (გზები, რკინიგზა, თვითმფრინავი, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ტელეფაქსი, ელექტრონული ქსელები) და სხვ.ეშმაგალითად, ლ. მეჩნიკოვის [293] აზრით, განვითარების ძირითადი ფაქტორია წყლით მიმოსვლის გზები, რომელიც იყოფა: "სამდინარო" (ძველი მსოფლიო), "საზღვაოსნო" (შუა საუკუნეები) და "საოკეანო" (ახალი და უახლესი დრო) პერიოდებად.

ინფორმაციული ფაქტორის მიხედვით, განვითარება მოხდა ჩვეულებრივი სალაპარაკო ენიდან საბეჭდ მანქანამდე, კომპიუტერამდე და ინტერნეტამდე ინფორმაციის საშუალებათა განვითარების შედეგად [242].

მ. ვებერის ინსტიტუციური თეორიის მიხედვით კი პროგრესი უკავშირდება სარწმუნოებას, რომ კაპიტალიზმის აღმავლობა დაკავშირებულია პროტესტანტიზმთან [254; 255].

პირველი მეცნიერული გამოკვლევები ეკონომიკური განვითარების პრობლემებს მიუძღვნეს ნიკოლოს დიმიტრის ძე კონდრატიევმა და ჯოზეფ შუმპეტერმა [330], რომელიც ეკონომიკური განვითარების ფაქტორებად მეწარმეობასა და ინოვაციებს მიიჩნევდა. კონდრატიევის სახელთან დაკავშირებულია ცნობილი ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ტალღების თეორია [375].

ჯოზეფ შუმპეტერის მიხედვით, მეწარმე წარ-

მოადგენს ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალას. იგი იძულებულია, გადალახოს მრავალი წინააღმდეგობა, იყენებს სიახლეებს. სწორედ ინოვაციური* პროცესები განაპირობებს ეკონომიკური განვითარების ხარისხს. შუმპეტერის ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით იქნა მეწარმეობა აღიარებული წარმოების მეოთხე ფაქტორად, მოგება კი მეწარმისა და არა კაპიტალის შემოსავლად, როგორც ეს ითვლებოდა ჟ. ბ. სეის სამფაქტორიან მოდელში.

განსაკუთრებული ინტენსივობით მუშავდება ეკონომიკური განვითარების პრობლემები მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან. გამოვყოფთ ზოგიერთ მათგანს [297].

ეკონომიკური განვითარების სტადიების თეორია. ამერიკელი ეკონომისტი, სოციოლოგი და ისტორიკოსი უ. როსტოუ თავის წიგნში "ეკონომიკური ზრდის სტადიები" გამოყოფს განვითარების შემდეგ ხუთ სტადიას: 1. ტრადიციული საზოგადოება 2. აღმავლობისათვის წანამძღვრების შექმნა 3. აღმავლობა 4. მოძრაობა ტექნოლოგიური სიმწიფისაკენ. 5. მასობრივი მოხმარების საუკუნე.

ტრადიციულ საზოგადოებაში, რომელიც გრძელდება კაპიტალიზმამდე, ეკონომიკურ განვითარებას ადგილი თითქმის არ ჰქონია, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა დაკავებული იყო სოფლის მეურნეობით, ეროვნული შემოსავალი კი, ძირითადად,

---

* ტერმინი "ინოვაცია" პირველად სამეცნიერო ბრუნვაში სწორედ ჟოზეფ შუმპეტერმა შემოიტანა.

არამწარმოებლურად გამოიყენებოდა.

მეორე სტადიაზე ხდება მნიშვნელოვანი ძვრები როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ტრანსპორტსა და საგარეო ვაჭრობაში.

მესამე სტადია შეესაბამება სამრეწველო რევოლუციას, ინერგება თვისებრივად ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია.

მეოთხე სტადია შეესაბამება ინდუსტრიულ საზოგადოებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

მეხუთე სტადიაზე ხორციელდება წარმოებიდან მასობრივ მოხმარებაზე გადასვლა.

ეკონომიკური განვითარების ძირითად პირობად როსტოუს მიაჩნია შიგა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდებების განსახორციელებლად.

ახალი ინდუსტრიული საზოგადოების თეორია. იგი აღწერილია ამერიკელი ეკონომისტის ჯ. გელბრეიტის ნაშრომებში, რომლის მიხედვითაც, სულ უფრო სრულყოფილი ტექნიკის გამოყენება იწვევს კაპიტალიზმის შინაგან გარდაქმნას. ამავე მოსაზრებებს იზიარებენ ფრანგი სოციოლოგი რაიმონ არონი და ელიულია. მათი აზრით, ხდება კერძო საკუთრების წამყვანი როლის ლიკვიდაცია, ეკონომიკური ძალაუფლება გადადის მსხვილ კორპორაციათა ხელში, თანდათან ქრება უთანასწორობა მოსახლეობის ფენებს შორის და ა.შ.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია. ამ თეორიის პირველი წარმომადგენელია ამერიკელი სოციოლოგი დ. ბელი, რომლის მიხედვითაც პოსტ-

ინდუსტრიული საზოგადოება ხასიათდება შემდეგი ხუთი ნიშან-თვისებით: 1. ეკონომიკის გადასვლა უპირატესად საქონლის წარმოებიდან უპირატესად მომსახურების წარმოებაზე; 2. დასაქმებულთა შორის პროფესიონალი სპეციალისტებისა და ტექნიკოსების ხვედრითი წილის ზრდა; 3. თეორიული ცოდნის წამყვანი როლი; 4. ტექნიკურ-ეკონომიკური გარემოს ორიენტაცია ტექნოლოგიების კონტროლზე; 5.ჯგადაწყვეტილების მიღების პროცესთა უზრუნველყოფა ახალი, ინტელექტუალური ტექნოლოგიების მეშვეობით.

სუპერინდუსტრიალიზმის თეორია. ამერიკელი სოციოლოგი და ფუტოროლოგი ალვინ ტოფლერი გამოყოფს განვითარების სამ ტალღას. პირველი, ეს არის "ცივილიზაციის აგრარული ტალღა", რომელიც დაიწყო დაახლოებით ათი ათასი წლის წინ, მეორე "პლანეტარული ცივილიზაციის ტალღა", რომელიც იწყება XVII საუკუნეში სამრეწველო რევოლუციით და რომელმაც დაამკვიდრა ინდუსტრიული ცივილიზაცია, მესამე ტალღა დაიწყო XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რომელსაც მოჰყვა "წარმოებასა და მოხმარებაზე ორიენტირებული ინდუსტრიული ინდივიდის" გადასვლა "ახალ სულიერ, შემოქმედებით ფასეულობებზე ორიენტირებულ ინდივიდუუმზე".

აღსანიშნავია ასევე, ერთიანი ცივილიზაციის თეორია, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია იაპონური წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი ფ. ფუკუიამა, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო

გარდაიქმნება ერთიან საზოგადოებად. ამიტომ, თითქოსდა, დადგება "ისტორიის დასასრული."

ამ თეორიის საპირისპიროა ცივილიზაციათა შეჯახების თეორია, რომლის წარმომადგენლის, ამერიკელი პროფესორის ს. ჰანგტინგტონის აზრით, "ცივი ომის" შემდეგ მსოფლიო სულ უფრო მრავალპოლარული გახდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ს. ჰანგტინგტონის მიხედვით, თანამედროვე ეტაპზე არსებობს 8 ცივილიზაცია: დასავლეთის, ლათინოამერიკული, აფრიკული, ისლამური, ჩინეთის, ინდუისტური, მართლმადიდებლური და იაპონური.

ცხრილი 1

ცივილიზაციათა ხვედრითი წილი მსოფლიო მთლიან პროდუქტში (1950-1992)

ცივილიზაციები	ხვედრითი წილი მსოფლიო მთლიან პროდუქტში			
	1950	1970	1980	1992
დასავლეთის	64,1	53,4	48,6	48,8
მართლმადიდებლური	16,0	17,4	16,4	6,2
ჩინური	3,3	4,8	6,4	10,0
ისლამური	2,9	4,6	6,3	11,09
ინდუისტური	3,8	3,0	2,7	3,5
იაპონური	3,1	7,8	8,5	8,0
ლათინოამერიკული	5,6	6,2	7,7	8,3
აფრიკული		2,8	3,3	4,11

.....წყარო: Экономическая энциклопедия. М.: «Экономика», 1999.

ამ ცივილიზაციათა ხვედრითი წილი მსოფლიო

მთლიან პროდუქტში მნიშვნელოვნად იცვლება წლების განმავლობაში (ცხრილი 1). როგორც ჩანს, მსოფლიო მთლიან პროდუქტში მნიშვნელოვნად იზრდება ჩინური, ისლამური და იაპონური ცივილიზაციის ხვედრითი წილი და მცირდება დასავლეთისა და მართლმადიდებლური ცივილიზაციის ხვედრითი წილი.

ლიუისის განვითარების თეორია [319]. ეს თეორია მიეკუთვნება სტრუქტურული გარდაქმნების შესახებ არსებულ შეხედულებებს განვითარებად ქვეყნებში. მისი ფუძემდებელია ნობელის პრემიის ლაურეატი არტურ ლიუისი.

ამ თეორიის მიხედვით, დაბალგანვითარებული ეკონომიკა იყოფა ორ სექტორად – ტრადიციულ (ნატურალური სოფლის მეურნეობა) და თანამედროვე (ქალაქის მრეწველობა) სექტორად. ამასთან, პირველი სექტორი ფლობს ჭარბ სამუშაო ძალას და მათი გამოყენება მეორე სექტორში გაზრდის მის ეფექტიანობას ისე, რომ არ შემცირდება მოსავლიანობა პირველ სექტორში. ეს კი შეესაბამება ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს.

სტრუქტურული გარდაქმნების თეორიას მიეკუთვნება ასევე ხ. ჩერნის შეხედულებები განვითარების შესახებ*. იგი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე დაყრდნობით აკეთებს შემდეგ დასკვნებს: განვითარებად ქვეყნებში ადგილი აქვს ეკონომიკური აქტიურობის გადატანას აგრარული სექტორიდან მრეწვე-

*http://www.undp.uz/ru/download/index.php?type=publication&id=150&parent=2858&doc=99143.

ლობაში; ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის მუდმივ დაგროვებას; ქალაქების ზრდას; სამუშაო ძალის ხარისხობრივი მახასიათებლების (განათლება) წინა პლანზე წამოწევას და სხვ.

ყურადღებას იმსახურებს ასევე საგარეო დამოკიდებულების თეორია. არსებობს ამ თეორიის სამი მიმართულება*:

დამოკიდებულების ნეოკოლონიური მოდელი. ამ მოდელის მიხედვით, მდიდარი ქვეყნები აფერხებენ ან შეუძლებელს ხდიან ღარიბი ქვეყნების განვითარებას. მაშასადამე, ეკონომიკური ჩამორჩენილობა არის გარედან თავსმოხვეული და არ არის განპირობებული შიგა ფაქტორებით.

ზრდანვითარების ცრუ პარადიგმა. ამ მიმართულების მიხედვით, განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობა განპირობებულია განვითარებული ქვეყნებიდან კონსულტანტთა მცდარი რჩევებით, რომლებიც კარგად არ იცნობენ ამ ქვეყნების სპეციფიკას და მათი რჩევები მხოლოდ ელიტაგუფების ინტერესებს ემსახურება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

დუალური განვითარების თეორია. იგი გულისხმობს დუალური საზოგადოებების „მსოფლიო მასშტაბით მდიდარი და ღარიბი ერების, ასევე განვითარებად ქვეყნებში მცირერიცხოვანი მდიდარი ჯგუფის არსებობას მრავალრიცხოვან ღარიბ ნაწილთან ერ-

*http://www.undp.uz/ru/download/index.php?type=publication&id=150&parent=2858&doc=99143.

თად. დუალიზმი ასევე გულისხმობს ასეთი დამოკიდებულების კვლავწარმოებას და განსხვავების გაღრმავებას მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

განვითარების შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომელთაც ასახვა პოვეს ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების სხვა წარმომადგენელთა ნაშრომებსა და რომის კლუბის მოხსენებებში.

განხილული თეორიებიდან შესაძლებელია რაციონალური მარცვლის გამოყოფა, მაგრამ ვერც ერთი ვერ ასახავს ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებს მთლიანობაში. აუცილებელია საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა, რამდენადაც ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს არა ერთი, არამედ მრავალი ფაქტორი.

კითხვები და დავალებები

1. ვინ არის განვითარების ტექნოლოგიური თეორიის წუძემდებელი?
2. რას უკავშირებს განვითარების ტექნოლოგიური თეორია განვითარების სტადიებს?
3. განვითარების ენერგეტიკული თეორიის მიხედვით რა განაპირობებს განვითარებას?
4. ვინ არიან განვითარების ადამიანისეული კაპიტალის თეორიის წუძემდებლები და რაში მდგომარეობს ამ თეორიის არსი?
5. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა რას მიიჩნევენ ასევე განვითარების საწუძვლად?
6. გადმოეცით ეკონომიკური განვითარების სტადიების თეორია.
7. გადმოეცით ეკონომიკური განვითარების ლიუისის თეო-

რია.

8. ბაღმოვიცით ახალი ინდუსტრიული საზოგადოების თეორია.

9. გაღმოვიცით პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია.

10. რაში მდგომარეობს სუპერინდუსტრიალიზაციის თეორია?

11. რაში მდგომარეობს ერთიანი ცივილიზაციისა და ცივილიზაციათა შეჯახების თეორია?

12. რა ცივილიზაციები არსებობს დღეისათვის მსოფლიოში ს. ჰანგტინგტონის მიხედვით და რომელ ცივილიზაციათა ხვედრითი წილი იზრდება მსოფლიო მეთლიან პროდუქტში?

13. რაში მდგომარეობს ხ. ჩერნის შეხედულებები განვითარების შესახებ?

14. ჩამოაყალიბეთ დამოკიდებულების ნეოკოლონიური მოდელი, დუალური განვითარების თეორია და განვითარების ცრუ პარადიგმის არსი და დაასაბუთეთ ეთანხმებით თუ არა მათ.

15. ზემოთ ჩამოთვლილიდან განვითარების რომელი თეორიაა სრულყოფილი?

16. თქვენი აზრით რას უნდა ითვალისწინებდეს განვითარების სრულყოფილი თეორია?

თავი VI

ეკონომიკური განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები

6.1. უმუშევრობა

უმუშევრობა წარმოადგენს მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც მთელ ეკონომიკასა და საზოგადოებაზე, ასევე ცალკეულ სამეურნეო ობიექტებსა და თითოეულ ადამიანზე.ემას, გარდა ეკონომიკურისა, აქვს სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ. დატვირთვა. უმუშევრობის გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე, გამოიხატება შემდეგში: უმუშევრობა (განსაკუთრებით გრძელვადიანი) ამცირებს საზოგადოების ადამიანისეული კაპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება; უმუშევრობის დროს, ადგილი აქვს რა გამომუშაებული პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანაზოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც; უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბ-

რობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან.

მაგრამ უმუშევრობის მაღალი დონე ეკონომიკურ განვითარებაში არსებული როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ძვრების შედეგია.ტპირველი, უპირველესყოველისა, დაკავშირებულია ბაზრისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ნაკლოვანებებთან. უმუშევრობის დროს ეკონომიკა შეიძლება იმყოფებოდეს მაკროეკონომიკური წონასწორობის, მაგრამ არა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში. ეს ბაზრისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებაა და რისი გამოსწორებაც მხოლოდ სახელმწიფოს სწორი ჩარევის შედეგადაა შესაძლებელი. ამისათვის აუცილებელია, მთავრობას გააჩნდეს დასაქმების რეგულირების მექანიზმი და, შესაბამისად, განვითარებული ინფრასტრუქტურა. დასაქმების რეგულირების მექანიზმი უნდა მოიცავდეს სამართლებრივ საფუძვლებს, რეგულირების ინსტრუმენტებს, ინდიკატორთა სისტემას, რეგულირების ღონისძიებათა სისტემას, შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს.

ეკონომიკაში მიმდინარე დადებით ძვრებთან უმუშევრობა დაკავშირებულია ეკონომიკური წყობის შეცვლასთან ან ინოვაციების დანერგვასთან. ორივე შემთხვევაში აუცილებელი ხდება სახელმწიფოს ჩარევა უმუშევრობის დონის შესამცირებლად. მიგვაჩ-

ნია, რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გაატაროს არა ინფლაციური პროცესების მაპროვოცირებელი, არამედ იმ ინოვაციების მასტიმულირებელი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის წარმოების მოცულობას, ძველის გაფართოებისა და ახალი ეკონომიკური სფეროების ათვისების მეშვეობით.

უმუშევრობის პრობლემის განხილვა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია წლების განმავლობაში დამკვიდრებული, უმუშევრობასთან დაკავშირებული განსაზღვრებების ახლებურ გააზრებასა და მათში გარკვეული დაზუსტებების შეტანასთან. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ჩვენი აზრით, არასწორია, როდესაც "უმუშევარის" განმარტებებში* ძირითადი აქცენტი გადაიტანება ადამიანის გადაწყვეტილებაზე – სურს თუ არა მას მუშაობა. განმარტებაში ასეთი მოთხოვნის არსებობა განპირობებულია იმით, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ განისაზღვრება უმუშევრის სტატუსი და ამ სტატუსის მიღებისათვის აუცილებელია, ადამიანს მუშაობის სურვილი ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ მიიღებს ამ სტატუსს და, მაშასადამე, ვერ მიიღებს დახმარებასაც. სხვადასხვა ქვეყანაში უმუშევრის სტატუსის მიღების პროცედურა სხვადასხვა სირთულისაა.ეშაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ის გაცილებით იოლია, ვიდრე იაპონიაში და ა.შ. [332].

---

* სტატისტიკური წელიწდეული 2012. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2013.

თუ ვიმსჯელებთ საერთო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ, ბუნებრივია, ქვეყნის ყველაზე ძვირფასი რესურსის – **შრომითი რესურსის** გამოყენების ხარისხის დადგენისას მილიონობით შრომისუნარიან დაუსაქმებელ ადამიანთა არჩათვლა უმუშევართა რაოდენობაში და მათი ჩრდილში დატოვება საეჭვოთ გაუმართლებელია. იგი ხელოვნურად ამცირებს უმუშევართა რაოდენობას და ამცირებს უმუშევრობის მიმართულებით განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობას. მართალია, კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანს აქვს შრომის თავისუფლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი ადამიანი, რომელსაც მუშაობის სურვილი არ აქვს (გამოწვეულია იგი პიროვნების თუ სახელმწიფოს მიზეზით), არ აზარალებს საზოგადოებას.

ამ მოსაზრებას იზიარებს მეცნიერთა ნაწილი. მაგალითად, ედვინ დოლანს და დეივიდ ლინდსეის პარადოქსულად მიაჩნიათ, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობა "უმუშევრებისა" ვერ ხვდება უმუშევართა კატეგორიაში, რომ მილიონობით ადამიანი, რომლებიც არ ცდილობენ იპოვონ სამუშაო, არ გაითვალისწინება სამუშაო ძალის განსაზღვრის დროს [332].

განმარტებებიდან გამომდინარე, ასევე უმუშევრად ითვლება პირი, რომელსაც აქვს სურვილი იმუშაოს, მაგრამ არის საპენსიო ასაკის. ასეთი პირები უმუშევრად არ უნდა ითვლებოდნენ, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ისინი სამუშაოს ვერ შოულობენ სწო-

რედ იმიტომ, რომ არიან არაშრომისუნარიანნი. ასეთი პირების შეყვანა უმუშევართა რიგებში, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სურთ იმუშაონ, ხელოვნურად ზრდის უმუშევრობის დონეს.

ასევე საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ითვლებოდეს თუ არა უმუშევრად არასრულად დასაქმებული ადამიანები. ოფიციალური სტატისტიკა მათ თვლის დასაქმებულად, მეცნიერთა ნაწილს კი ამის საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნია [მაგ.: 190]. რასაკვირველია, მეცნიერთა ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია, მაგრამ, ალბათ, ამ დროს გასათვალისწინებელია შემოსავლის სიდიდე – პიროვნება უმუშევრად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც არასრული დასაქმების დროს შემოსავალი სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვემოთაა.

ჩვენი აზრით, უმუშევრად უნდა ითვლებოდეს პირი, რომელსაც შეუსრულდა სამუშაო ასაკი, არ ეწევა სასარგებლო საქმიანობას (არ მუშაობს, არ სწავლობს, არ იმყოფება სავალდებულო სამხედრო სამსახურში, არ არის დაკავებული საოჯახო მეურნეობით), არ იმყოფება სპეციალიზებულ დაწესებულებებში, არ არის ინვალიდი ან საპენსიო ასაკის. ეს განმარტება ეფუძნება სამართლებრივ, ეკონომიკურ და მორალურ ნორმებს და არა ცალკეული პიროვნების სურვილს, იმუშაოს თუ არა.

თუ ამ განმარტებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ, იმისდა მიხედვით, აქვს თუ არა სურვილი უმუშევარს იმუშაოს, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ აქტიური (რომელიც დაეძებს სამუშაოს) და

პასიური (რომელიც არ დაეძებს სამუშაოს) უმუშევარი. ინვალიდები და საპენსიო ასაკის პირები, ბუნებრივია, არც ერთ ამ კატეგორიას არ უნდა მიეკუთვნებოდნენ. თუ მათ იშოვეს სამუშაო, მაშინ ისინი დასაქმებულთა რიგებში აღმოჩნდებიან.

შემოთავაზებული განმარტების თანახმად, უმუშევრობის დონე განისაზღვრება უმუშევართა (აქტიურ და პასიურ) რიცხოვნობის ფარდობით მომუშავეთა და უმუშევართა (აქტიურ და პასიურ) საეროო რაოდენობასთან, გამოსახული პროცენტობით.

რაც შეეხება ტერმინს – "სამუშაო ძალა", იგი პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება, ხოლო ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი გაგება არაერთგვაროვანია. ზოგს მიაჩნია, რომ ის არის განსაკუთრებული საქონელი (მაგ., მარქსი და მისი მიმდევრები) ზოგის აზრით [252; 264; 283; 286 312, 332], იგი საზოგადოების ის ნაწილია, რომლებიც მუშაობენ ან ეძებენ სამუშაოს, ე.ი. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.

მიგვაჩნია, რომ სამუშაო ძალის (გაგებული, როგორც ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ უნართა ერთობლიობა) ჩათვლა საქონლად არასწორია, ვინაიდან საქონელი არის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია გასაყიდად და გაყიდვის შემდეგ იგი იცვლის მესაკუთრეს. წარმოების პროცესში ადგილი აქვს არა პიროვნების უნარის გაყიდვას, არამედ მის დაქირავებას, ვინაიდან უნარის მესაკუთრედ კვლავ ეს პიროვნება რჩება და მისი უნარი არათუ მცირდება, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, იზრდება კიდე-

ვაც. უნარი რომ გაიყიდოს, მაშინ მისი მესაკუთრე ადამიანიც უნდა გაიყიდოს. ასეთ ურთიერთობებს ადგილი ჰქონდა მონათმფლობელური წყობილების დროს. თანამედროვე პირობებში კი, ცხადია, ასეთი ურთიერთობების წარმოდგენაც კი მიუღებელია. მაშასადამე, მუშაკი კი არ ყიდის თავის უნარს, არამედ იყენებს მას წარმოების პროცესში (შრომობს) მესაკუთრის სასარგებლოდ, რისთვისაც იღებს გასამრჯელოს.

ვინაიდან ადამიანის უნარის გამოსახატავად თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ტერმინი – "ადამიანისეული კაპიტალი", ამდენად უფრო გამართლებულია სამუშაო ძალა ვიხმაროთ მხოლოდ მეორე გაგებით, ანუ, როგორც დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე ლიტერატურაში გაიგივებულია სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონესთან [252; 289; 312; \332]. ჩვენ ვთვლით, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე არის უმუშევრობის ის დონე, როდესაც ეკონომიკა იმყოფება ბუნებრივ მდგომარეობაში და, მისი სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების შემთხვევაშიც კი, უმუშევრობის დონის უფრო ნაკლები მნიშვნელობის მიღწევა შეუძლებელია. მართალია, ბუნებრივი უმუშევრობის მიზეზი სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობაა, მაგრამ ხშირად, შესაძლოა, სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონე არ ემთხვეოდეს უმუშევრობის ბუნებრივ დონეს (ანუ

უმუშევრობის მაქსიმალურად შესაძლო დაბალ დონეს), ანუ მეტი იყო მასზე.

ამ მოსაზრებას იზიარებენ ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით შვედეთში, სადაც მიაჩნიათ, რომ უმუშევრობის დონე მისი გარკვეული მცირე მნიშვნელობის ზემოთ არ უნდა ითვლებოდეს საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივ თავისებურებად [332]. მართალია, ბოლო დროს შვედეთშიც მოსაზრება ორადაა გაყოფილი, უმუშევრობის დაბალ დონეზე შენარჩუნების ძვირადღირებული ფისკალური პოლიტიკის გამო, ვინაიდან იქ სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად მსხვილი სახელმწიფო პროგრამები ხორციელდებოდა [264], მაგრამ, პრაქტიკულად, უმუშევრობის ბუნებრივი დონე მაინც დაბალი რჩება და იგი 6%-ს არ აღემატება (თუმცა ადრე, როდესაც ამ მიმართულებით უფრო მკაცრი პოლიტიკა ტარდებოდა, უმუშევრობის ბუნებრივი დონე 3%-მდე იყო), მაშინ, როდესაც ბევრ სხვა განვითარებულ ქვეყანაში იგი 5%-დან 10%-მდე მერყეობს [264]. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომ უმუშევრობის დონის შენარჩუნება დაბალ ნიშნულზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ტარდება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა [289]. მიგვაჩნია, რომ ძვირი პროგრამების განხორციელება ამ მიმართულებით გამართლებულია, ვინაიდან უმუშევრობა, გარდა წმინდა ეკონომიკური დანაკარგებისა, დაკავშირებულია ბევრ სხვა ნეგატიურ მოვლენასთან, მათ შორის, ყველაზე მწვავე – სოციალური და ფსიქოლოგიური დაძაბულობის პრობლემასთან, რაც, საბო-

ლოო ანგარიშით, ნეგატიურ გაელენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე.

მართალია, რიგ შემთხვევაში ინოვაციები იწვევს უმუშევრობას, მაგრამ ისტორიულ ჭრილში სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხდება უმუშევრობის დონის შემცირება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებშიც კი, ზრდის რა იგი შრომის ზღვრულ პროდუქტს [90]. ინოვაციას თან უნდა მოჰყვეს წარმოების გაფართოება, რაც ისევ ინოვაციების გზით მიიღწევა, იწვევს რა წარმოების ძველი სფეროების გაფართოებას და ახლის ათვისებას, მოთხოვნის გაზრდას და ა.შ.

დასაქმების რეგულირების უპირველეს ღონისძიებას წარმოადგენს შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა, რაც გულისხმობს შრომის ბირჟის, დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის, დასაქმების ფონდის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა (პასიურ და აქტიურ) აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეფასება (ეკონომიკური და არაეკონომიკური, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და ა.შ.); შრომით ემიგრანტთა

და იმიგრანტთა აღრიცხვა, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და სხვ.

გარდა ინსტიტუციური უზრუნველყოფისა, უმუშევრობის შემცირების მიზნით უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომელიც უმუშევრობის შემცირებას გამოიწვევს არა ინფლაციის ზრდის, არამედ ფასების სტაბილურობის პირობებში. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკას გადააადგილებს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ, რომელიც გამოიწვევს თვით ფილიპსის მრუდის გადაადგილებებს ისეთ წერტილებში, სადაც უმუშევრობის დონე კლებულობს, ხოლო ფასების საერთო დონე უცვლელია ან უმნიშვნელოდ მატულობს. ესმიიღწევა ისეთი ინოვაციური პროგრამების სტიმულირებით (უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული ინოვაციური პოლიტიკა), რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს, ხოლო ხელფასების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს, სანამ უმუშევრობის რეალური დონე არ გაუტოლდება მის ბუნებრივ დონეს. ეს მიიღწევა წარმოებისა და მომსახურების არსებული დარგების გაფართოებით და მაოი ახალი სფეროების ათვისებით.

უმუშევრობით გამოწვეული დანაკარგები. ლიტერატურაში ძირითადად საუბარია მხოლოდ ციკლური უმუშევრობის შედეგად გამოწვეულ დანაკარგებზე,

ვინაიდან ბუნებრივი უმუშევრობა გაიგივებულია სტრუქტურულ და ფრიქციულ უმუშევრობასთან. მიგვაჩნია, რომ ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს სტრუქტურული და ციკლური უმუშევრობით გამოწვეული დანაკარგები. ციკლური უმუშევრობის დროს საწარმოო სიმძლავრეები არსებობს, ოღონდ გამოუყენებელია, მაშასადამე, ციკლური უმუშევრობის შესამცირებლად ახალი დაბანდებები საჭირო არ არის, მაშინ, როდესაც სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად აუცილებელია ქვეყნაში ახალი ძირითადი კაპიტალის შექმნა.

უმუშევრობა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს სხვადასხვაგვარად აზარალებს. ზარალს განიცდიან უმუშევრები ხელფასის დაკარგვის გამო; სახელმწიფო ბიუჯეტი — შემოსავლების კლების და უმუშევრებზე დახმარებების გაცემის შედეგად; მეწარმეები კარგავენ მოგებას; მცირდება მთლიანი ეროვნული პროდუქტი და ა.შ. რასაკვირველია, აღნიშნული ზარალების შეკრების შედეგად საეროო ზარალის გამოთველა შეცდომაა და იგი გამოიწვევს ორმაგ აღრიცხვას, ვინაიდან მშპ წარმოადგენს სიდიდეს, რომელშიც თავს იყრის ყველა დანაკარგი.

ციკლური უმუშევრობის დანაკარგები განისაზღვრება ოუკენის ცნობილი კანონის მიხედვით. მაგრამ ეს კანონი გამოყვანილია ემპირიული დაკვირვების საფუძველზე, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, და ის შედარებით მართებული იყო ამ ქვეყნისათვის ან, უკეთეს შემთხვევაში, ანალოგიური ქვეყნებისათვის და არა განსხვავებული ემპირი-

ული მონაცემების მქონე ქვეყნებისთვის (მათ შორის იგულისხმება საქართველოც).

აღსანიშნავია, რომ ოუკუნის კანონი არ ითვალისწინებს უმუშევრობის ზოგიერთ დადებით ეფექტს (მაგალითად, თავისუფალი დროის არსებობა, რაციონალური გადაწყვეტილების მიღების მეტი შესაძლებლობა). იგი ასევე არ ითვალისწინებს უმუშევრობით გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესების, ადამიანისეული კაპიტალის შემცირების შედეგად გამოწვეულ მშპ-ს დანაკარგებს. ᲐᲠᲐᲓᲐ, ეს დანაკარგები, ძირითადად ინვესტიციების შემცირების გამო, საკმაოდ მნიშვნელოვანია. უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან.

კითხვები და დავალებები

1. რაში გამოიხატება უმუშევრობის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე?
2. არის თუ არა "უმუშევრობის" პრაქტიკაში არსებული განმარტება სრულყოფილი?
3. რომელია გაბმული ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი – "სამუსაო ძალა"?
4. უმუშევრობის ბუნებრივი დონე ემთხვევა თუ არა სტრუქტურული და ციკლური უმუშევრობის დონეს?
5. ითვალისწინებს თუ არა ოუკუნის კანონი უმუშევრობის ყველა მხარეს?
6. მოიპოვეთ მონაცემები საქართველოში უმუშევრობის დონის შესახებ და გააკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

6.2 მოსახლეობის ცხოვრების დონე

მოსახლეობის ცხოვრების დონე, ანუ ის, თუ როგორ ცხოვრობენ, როგორ იკმაყოფილებენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს, დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებული მდგომარეობა. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხარისხი, მით უფრო მაღალია ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და პირიქით, რაც უფრო მაღალია ცხოვრების დონე, მით უფრო მაღალია ეროვნული ადამიანისეული კაპიტალი, ეკონომიკური და სოციალური სტაბილიზაციის ხარისხი და, შესაბამისად, მით უფრო კარგი პირობები არსებობს ეკონომიკური განვითარებისათვის. მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ასევე დიდ გავლენას ახდენენ სხვა ფაქტორები ‒ ეროვნული თავისებურებები, ტრადიციები და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ცნებებს – "ცხოვრების დონე" და "ცხოვრების ხარისხი". მართალია, არსებობს გარკვეული ლოგიკა ამ ორ ცნებას შორის განსხვავების საპოვნელად, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს. ცხოვრების დონეც და ცხოვრების ხარისხიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მხარეებს, ვინაიდან, თუ ხარისხობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, როგორ შეიძლება ვი-

საუბროთ ცხოვრების მაღალ დონეზე და პირიქით, თუ რაოდენობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, როგორ შეიძლება ვისაუბროთ ცხოვრების მაღალ ხარისხზე. საერთოდ, ცხოვრების პირობების შესაფასებლად უფრო მისაღებია ვიხმაროთ ტერმინი "ცხოვრების დონე". ამასთან, მისაღებია განვიხილოთ ცხოვრების დონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ცხოვრების დონის მიხედვით ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვაოთ ეპოქები, ქვეყნები, ადამიანები. ცხოვრების დონე უდიდეს გავლენას ახდენს ცხოვრების წესზე. საკმარისია, წარმოვიდგინოთ ცხოვრების დონით განსხვავებული ეპოქები, ქვეყნები და ადამიანები და დავინახავთ, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისაგან ერთი და იმავე ერის ცხოვრების წესი ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, თუ როგორ განსხვავდება სხვადასხვა ცხოვრების დონის მქონე ქვეყნების ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან, თუ როგორ განსხვავდება ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთმანეთისაგან მდიდარ და ღარიბ ადამიანთა ცხოვრების წესი. მართალია, ცხოვრების წესზე დიდ გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც (კულტურა, ტრადიციები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის წესი, პროფესია და სხვ.), მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ცხოვრების დონეს ენიჭება.

ლიტერატურაში ასევე არსებობს ცხოვრების დონის სხვადასხვაგვარი ფორმულირება. ჩვენი აზრით, ეს ცნება არ მოითხოვს რიცულ და ერთმა-

ნეოისაგან განსხვავებულ განმარტებებს. ცხოვრების დონე, ეს არის ცალკეულ ადამიანთა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა. რაც უფრო მაღალია ცალკეული ადამიანის და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მით უფრო დიდია ცხოვრების დონე. მოთხოვნილებები კი, როგორც ვიცით, უსაზღვროა, თუმცა ცვალებადი და იზრდება ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად (წარმოება წარმოშობს ახალ მოთხოვნილებებს). ცხოვრების დონე უფრო პირდაპირ კავშირშია მოთხოვნასთან, ვინაიდან მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული მოთხოვნილება. ცხოვრების დონე კი, სწორედ, დაკმაყოფილებული მოთხოვნილებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, მთელი საზოგადოების ცხოვრების დონე დამოკიდებულია ერთობლივ მოთხოვნაზე, ხოლო ცალკეული ადამიანის ცხოვრების დონე – ინდივიდუალურ მოთხოვნაზე. მოთხოვნა კი თავისთავად დამოკიდებულია შემოსავლებსა და დანაზოგებზე. მართალია, დანაზოგები ამცირებს მიმდინარე მოხმარებას და, მაშასადამე, ცხოვრების დონესაც, მაგრამ, სამაგიეროდ იგი ზრდის მოხმარებას მომავალში და შესაბამისად, ცხოვრების დონესაც.

ბუნებრივია, პირდაპირი კავშირი არსებობს მოთხოვნილებასა და ცხოვრების დონეს შორის, რაც უფრო დიდია მოთხოვნილების განვითარების ხარისხი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე. მოთხოვნილების განვითარების ხარისხი კი თავისთავად დამოკიდებულია თვისებრივ ცვლილებებთან წარმო-

ებაში — საქონლისა და მომსახურების ახალი სახეობების წარმოშობასთან, რაც თავისთავად პირდაპირ კავშირშია ინოვაციებთან ეკონომიკაში. მაგრამ თანამედროვე პირობებში, ინფორმაციის საშუალებები იმდენად განვითარებულია, რომ ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობს არა მხოლოდ მდიდარ, არამედ ღარიბ ფენებში, ანუ მოთხოვნილებები მოსახლეობისა როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ნაწილს ერთნაირი აქვს, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა კი მნიშვნელოვნად განსხვავებული. სწორედ ეს განაპირობებს ცხოვრების დონის განსხვავებულობას და გარკვეულ დაპირისპირებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. ამ მხრივ ყველაზე ნეიტრალურია საშუალო ფენა.

როგორ ნაწილდება შემოსავალი მოთხოვნილებების მიხედვით? უპირველეს ყოვლისა, ადამიანი იკმაყოფილებს პირველად მოთხოვნილებებს (კვება, ტანსაცმელი, ბინა), ხოლო შემდეგ სხვა მოთხოვნილებებს (განათლება, კულტურა, დასვენება, ფუფუნება).

ცხოვრების დონის შესაფასებლად არსებობს მაჩვენებელთა მთელი სისტემა. უნდა ითქვას, რომ ყველა არსებული მაჩვენებელი სასარგებლოა და მაოი გამოყენება საშუალებას იძლევა, დავახასიათოთ ცხოვრების პირობების ესა თუ ის მხარე. მაგრამ, ჩვენი აზრით, ცხოვრების დონის ძირითადი მაჩვენებელი არის შემოსავალი და საქონლისა და მომსახურების ხარისხი როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი საზოგადოებისათვის. სწორედ მათზეა დამოკიდებული როგორც ფიზიკური, ისე სულიერი

მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ასევე ცხოვრებისა და შრომის კომფორტის ხარისხი (რომელიც შეიძლება განისაზღვროს უახლესი სახეობის პროდუქციის გამოყენების მასშტაბებით). მაშასადამე, ცხოვრების დონე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი განვითარების დონეზე, მათ შორის, შემოსავლების განაწილების სამართლიანობაზე.

ადამიანთა პირველყოფილი საზოგადოების პირობებში მდიდრებისა და ღარიბების ერთმანეთისაგან განსხვავება არ იარსებებდა (არ იარსებებდა შესაბამისი სიტყვებიც კი), ვინაიდან არ არსებობდა ღარიბებად და მდიდრებად დაყოფა, რადგანაც, რასაც მოიპოვებდნენ, თანაბრად მოიხმარდნენ (განაწილება ხდებოდა თანაბრად). თუმცა, განსხვავება ამ ნიშნის მიხედვით ცალკეულ თემებსა (ტომებს) და რეგიონებს შორის მაინც იქნებოდა (ბუნებრივი რესურსების, უნარის, შრომის იარაღების და სხვა განსხვავებათა გამო). მდიდრებად და ღარიბებად დაყოფა იწყება მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა ფაქტორთა გამო (რომელიც კარგადაა ცნობილი) განაწილების სამართლიანობა ირღვევა, საზოგადოების გარკვეული ფენა უმრავლესობასთან შედარებით შემოსავლების მეტ ნაწილს ითვისებს და სხვებზე მდიდარი ხდება. მაგალითად, მონათმფლობელები ⌜ მონებზე, თავადაზნაურები ⌜ გლეხებზე, კაპიტალისტები ⌜ მუშებზე (სიღარიბეში იგულისხმება განსხვავება არა მხოლოდ მატერიალური ქონების, არამედ სხვა ფასეულობათა მიხედ-

ვითაც ⌜ განათლება, კულტურა, თავისუფლების ხარისხი და ა.შ.). შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად თითქმის ყველა მონა და ყმა-გლეხი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) შეიძლება ჩაითვალოს მუდმივ ღარიბებად. კაპიტალიზმის პირობებში კი მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, ვინაიდან იურიდიულად მუშა (და გლეხიც) თავისუფალია და მათი იძულებით ⁻მუშაობა შეუძლებელია. ამდენად, კაპიტალისტი იძულებულია შემოსავლებიდან მეტი დაუთმოს მას, ვიდრე ამას მონათმფლობელები და თავადაზნაურები აკეთებდნენ. ბატონყმობის წიაღში წარმოიშობა საშუალო ფენა (ძირითადად ხელოსნები), რომელიც კაპიტალიზმის დროს საზოგადოების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს.

პოლიტეკონომიკურ ლიტერატურაში საშუალო ფენის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გავრცელებული. ზოგი მას განიხილავს საზოგადოების დაყოფის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად და საშუალო კლასსაც კი უწოდებს. მაგალითად, სოციოლოგები ⌜ უილიამ ტომპსონი და ჟოზეფ ჰიკი [288] საზოგადოებას შემოსავლების მიხედვით ყოფენ უმაღლეს, უმაღლეს საშუალო, უდაბლეს საშუალო, მუშათა და უდაბლეს კლასებად.

მიგვაჩნია, რომ საშუალო ფენას არ შეიძლება ეწოდოს კლასი, ვინაიდან კლასის ცნება დაკავშირებულია მასში შემავალ წევრთა გარკვეულ სოციალურ სტატუსთან (რომელსაც ძირითადად სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვა აქვს. მაგალითად, მონა, მონათმფლობელი, ყმა-გლეხი, თავადი, მუშა,

კაპიტალისტი, და მათ შორის არსებობს დაპირისპირებულობა, რომელიც ხშირად გადაიზრდება კლასობრივ ბრძოლაში). საშუალო ფენა კი უმეტესწილად დაკავშირებულია მის ეკონომიკურ მდგომარეობასთან (იგულისხმება არა მხოლოდ შემოსავლის დონე, არამედ განათლება, ინტელექტუალური საკუთრება, კვალიფიციური შრომის უნარი და სხვ.) და ის საზოგადოების მრავალფეროვანი ნაწილია, რომლის წევრების შემოსავალი მერყეობს საზოგადოების (ქვეყნის) წევრთა შემოსავლების საშუალო დონის მახლობლად. ე.ი. ამ ფენის წარმომადგენლები არც ღარიბები არიან და არც მდიდრები. მისი შემადგენლობა მრავალფეროვანია და ასევე მობილური. ᲖᲛის რიგებში შეიძლება იყოს თანამედროვე საზოგადოების სრულიად სხვადასხვა წრის წარმომადგენელი (მუშა, გლეხი, მეწარმე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, სპორტსმენი და ა.შ.). საშუალო ფენის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მაკროეკონომიკურ და საერთოდ ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. სწორედ ამიტომაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ეს ფენა საზოგადოების ყველაზე დიდი ნაწილია.

ცნება "საშუალო ფენა" (და არა კლასი) პირველად გამოიყენა არისტოტელემ, ალბათ ძირითადად ხელოსანთა, ვაჭართა, მევახშეთა და მონათა იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელთა მდგომარეობა მონათა ძირითად ნაწილზე უკეთესი იყო, ხოლო მო-

ნათმფლობელზე ˹ უარესი. საზოგადოების ეს ნაწილი, ბუნებრივია, მონაწილეობას არ მიიღებდა მონათა გამოსვლებში.

განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის საშუალო ფენის ხვედრითი წილი იმდენად დიდია და ცხოვრების საერთო დონე იმდენად მაღალი, საზოგადოების დაყოფა კლასებად საერთოდ კარგავს აზრს, ამიტომ საზოგადოების დაყოფა ხდება მხოლოდ "სტრატებად" ანუ "ფენებად", რომელთა შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა არ არსებობს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე წინა საუკუნეებში. ე. ი. ადგილი აქვს სიმდიდრის ზრდის ტენდენციას. ამიტომ დღევანდელი ღარიბი წინა პერიოდის მდიდრებზე გაცილებით მდიდარი შეიძლება აღმოჩდეს არა შემოსავლების, არამედ, უმთავრესად, ცხოვრების კომფორტის მიხედვით, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები განაპირობებს. მაგალითად, დღევანდელი განვითარებული ქვეყნის საშუალო ფენის წარმომადგენელი გაცილებით მდიდარია, ვიდრე ეგვიპტის ნებისმიერი ფარაონი ან რომის ნებისმიერი იმპერატორი, ვინაიდან (მიუხედავად მათი გაცილებით დიდი შემოსავლებისა) მათი ცხოვრების პირობები ნაკლებ კომფორტული იყო – ვერ სარგებლობდნენ დღევანდელი დონის სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით, ტელევიზიით, ვიდეო და აუდიო ტექნიკით, კინემატოგრაფიით, ინტერნეტით და ა. შ. და ა.შ.

კითხვები და დავალებები

1. რა გავლენას ახდენს ცხოვრების დონე ეკონომიკურ განვითარებაზე?
2. რა მიზანია ცხოვრების დონის ყველაზე სრულყოფილ მაჩვენებლად?
3. ახსენით საშუალო შენის არსი და მისი დანიშნულება ეკონომიკური განვითარებისათვის.
4. რას გულისხმობს საზოგადოების მოთხოვნილების განვითარების ხარისხი?
5. როგორაა დამოკიდებული ცხოვრების დონე მოთხოვნაზე?
6. როგორ განასხვავდება ცხოვრების დონე ეკოძების მიხედვით?
7. მოვიკოვოთ საქართველოში ცხოვრების დონის ამსახველი ცნობაცემები და შევადაროთ იგი რომელიმე განვითარებული ქვეყნის მაჩვენებლებს.

6.3. სიღარიბე

სიღარიბე არის სუბიექტის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო ფიზიკურ და სულიერ სიკეთეთა უკიდურესი უკმარისობა. სუბიექტი შეიძლება იყოს ცალკეული ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ქვეყანა.

სიღარიბის მიზეზი, გარდა სოციალური უთანასწორობისა, იყო მასობრივი უბედურება – მოუსავლიანობა, ეპიდემიები, წყალდიდობა, ხანძარი, ომები და სხვ. [311]. ისტორიიდან მრავალი ასეთი ფაქტის დასახელება შეიძლება.

სიღარიბის არსებობას განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძირითადად განაპირობებს ტექნოლოგიების დაბალი დონე, მწირი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ეკონომიკის არასწორი რეგულირება და სხვ. ³მაგრამ გარკვეული კავშირია ასევე

სიღარიბესა და ადამიანისეულ კაპიტალს შორის – სიღარიბე აუარესებს ადამიანისეულ კაპიტალს და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება აძლიერებს სიღარიბეს. სიღარიბე, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აუარესებს მის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ მდგომარეობას. არასრულყოფილი კვება, მძიმე სანიტარული პირობები, ჯანდაცვის სფეროს, წყლის მომარაგების სისტემისა და გზების განუვითარებლობა, განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, ქანცგამომცლელი შრომა, განუწყვეტელი დარდი თანდათან ცვეთს ადამიანს როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, რაც კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აგდებს მას.

უიმედობა ადამიანს აკარგვინებს რწმენას, რომ იგი როდესმე თავს დააღწევს სიღარიბეს. რწმენის დაკარგვა იწვევს უმოქმედობას, რაც აძლიერებს სიღარიბეს ქვეყანაში.

ბუნებრივია, ადამიანის მდგომარეობა საზოგადოებაში, მისი შემოსავალი, დამოკიდებულია ადამიანისეულ კაპიტალზე, ანუ მის პროფესიულ, მეწარმეობრივ უნარზე, ნებისყოფაზე, მისწრაფებაზე და ა.შ.

სიღარიბის მიზეზია ასევე ინვალიდობა, როდესაც ადამიანს არ შეუძლია ან სრულად არ შეუძლია შეასრულოს სასარგებლო სამუშაო.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ადამიანს არ აქვს სურვილი, იმუშაოს, ხელი მოჰკიდოს სასარგებლო საქმიანობას.

სიღარიბის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია უმუშევრობა.

სიღარიბე უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, ვინაიდან იგი ფიტავს სამუშაო ძალას და ამით ამცირებს ქვეყნის ადამიანისეულ კაპიტალს და შესაბამისად მწარმოებლურ შესაძლებლობებს.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი კრიტერიუმი ხდება სიღარიბე. თუ განვითარების ნაყოფით ვერ სარგებლობს მოსახლეობის ღარიბი ფენები, თუ განსხვავება (ანუ უთანაბრობა) მდიდარ და ღარიბ ნაწილს შორის იზრდება, მაშინ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკურ განვითარებას ადგილი არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესული ცვლილებები ეკონომიკური სისტემის ელემენტებში შეიძლება ხორციელდებოდეს.

მაშასადამე, წარმოებული სიმდიდრის განაწილების პრობლემა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი ხდება.

გლობალური მასშტაბითაც ეკონომიკურ განვითარებას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის თანდათან შემცირდება.

ერთმანეთისგან განასხვავებენ აბსოლუტურ და ფარდობით სიღარიბეს.

აბსოლუტური სიღარიბის დონის დასადგენად აწესებენ სიღარიბის ზღვარს, რომელიც შემოსავლების დადგენილ დონეს წარმოადგენს და რომელიც განისაზღვრება ფიზიკური საარსებო მინიმუმით. ამ-

უამად, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, უღარიბესი ქვეყნებისათვის ეს დონე (რომელსაც სიღარიბის ზღვარის საერთაშორისო დონეს უწოდებენ) შეადგენს არანაკლებ 1,25 აშშ დოლარს, ხოლო შემოსავლების საშუალო დონის მქონე ქვეყნებისათვის – 2 აშშ დოლარს (რომელსაც სიღარიბის ზღვარის საერთაშორისო საშუალო დონეს უწოდებენ). ასევე დიდია იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს.

აღნიშნული ნიშნის მიხედვით ქვეყნები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. რეგიონების მიხედვით, იმ მოსახლეობის რიცხოვნობა და ხვედრითი წილი (ცხრილი 1), რომლებიც ცხოვრობდნენ სიღარიბის ზღვარს მიღმა, შემდეგნაირად გამოიყურება: 2005 წლისათვის დედამიწის მოსახლეობის თითქმის 53.6%-ის შემოსავალი დღეში შეადგენდა – 2, 31.1%-ისა – 1.25, ხოლო 16.1%-ისა – 1 აშშ დოლარზე ნაკლებს.

ყველაზე დიდი რაოდენობით ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობს სამხრეთ აზიასა და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში, ყველაზე ნაკლები – ევროპისა და ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონებში.

ცხრილი 1

სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით (2005)*

მოსახლეობის რაოდენობა, რომელთა შემოსავალი შეადგენს 1 და 2 ამერიკულ დოლარზე ნაკლებს დღეში		მლნ კაცი	%
აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი	1 $	179.8	9.5
	1.25 $	336.9	17.9
	2 $	748.3	39.7
ჩინეთი ცალკე	1 $	106.1	8.1
	1.25 $	207.7	15.9
	2 $	473.7	36.3
ევროპა და ცენტრალური აზია	1 $	16.0	3.4
	1.25 $	23.9	5.0
	2 $	50.1	10.6
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზის ქვეყნები	1 $	27.6	5.0
	1.25 $	45.1	8.2
	2 $	98.7	17.9
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა	1 $	6.2	2.0
	1.25 $	14.0	4.6
	2 $	58.0	19.0
სამხრეთ აზია	1 $	350.3	23.7
	1.25 $	595.8	40.4
	2 $	1091.9	74.0
ინდოეთი ცალკე	1 $	266.5	24.3
	1.25 $	455.8	41.6
	2 $	827.7	75.6
აფრიკა საჰარის სამხრეთით	1 $	299.1	39.2
	1.25 $	384.2	50.4
	2 $	551.0	72.2
სულ	1 $	985.1	16.1
	1.25 $	1399.8	25.7
	2 $	2598.1	47.6

ღარიბი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვ-

* http://www.worldbank.org/eca/russian/

რობს განვითარებად ქვეყნებსა და შემდეგ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. თუმცა ეს ქვეყნები განვითარების მეტად არათანაბარი დონით ხასიათდებიან.

ფარდობითი სიღარიბე კონკრეტულ ქვეყანაში დაკავშირებულია ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც ამ ქვეყანაში, ეკონომიკური რესურსების უკმარისობის გამო, შეუძლებელია ისე ცხოვრება, როგორც ცხოვრობს ამ საზოგადოების წევრთა უმეტესი ნაწილი. ამ დროს სიღარიბის ზღვარი შეიძლება განისაზღვროს არსებობისათვის აუცილებელი საშუალებების (საკვები, ტანსაცმელი, ბინა და ა.შ.) ან იმ საშუალებების მიხედვით, რომელიც სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას იძლევა საზოგადოების ცხოვრებაში (არსებობისათვის აუცილებელ საშუალებებთან ერთად, შრომის ხასიათი, დასვენება, განათლება და სხვა).

ცხადია, აბსოლუტურ და ფარდობით სიღარიბეს შორის განსხვავება დიდია: აბსოლუტური სიღარიბე შესაძლებელია მოისპოს, ფარდობითი კი ყოველთვის იარსებებს, ვინაიდან შემოსავლების სრული გათანაბრება შეუძლებელია; აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი საერთოა ყველა ქვეყნისათვის, ფარდობითი სიღარიბის დადგენა კი მხოლოდ ცალკეული ქვეყნების მიხედვით ხდება; ერთ ქვეყანაში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი ხშირად შეიძლება ბევრად ნაკლები აღმოჩნდეს, ვიდრე ფარდობითი სიღარიბისა სხვა ქვეყანაში; ზოგიერთ ქვეყანაში სიღარიბის ფარდობითი ზღვარი შესაძლებელია ბევრად მეტი

იყოს, ვიდრე სიმდიდრის საერთო დონე სხვა რომელიმე ქვეყანაში.

საერთოდ, სიღარიბის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი დონე ბევრადაა დამოკიდებული შემოსავლების სამაროლიან განაწილებაზე ქვეყანაში. შემოსავლების განაწილების ყველაზე მიღებულ მაჩვენებლად ითვლება მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების (კვანტილიების) ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში. ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ლორენცის მრუდი და მასთან დაკავშირებული ჯინის კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი იცვლება 0-დან 1-მდე და რაც უფრო ახლოსაა იგი 0-თან, მით უფრო თანაბარი და სამართლიანია შემოსავლების განაწილება. თუმცა შემოსავლების ზუსტად თანაბარი განაწილება შეუძლებელია, რომელ ეკონომიკურ წყობილებასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე.

შემოსავლების განაწილების ხელთ არსებული მონაცემებიდან* ირკვევა, რომ მსოფლიოში ჯინის კოეფიციენტის ყველაზე კარგი მაჩვენებელი 24,7% XX საუკუნის ბოლოს ჰქონდა დანიას, ყველაზე ცუდი – ნამიბიას – 70,7%. ქვეყნების მიხედვით ჯინის კოეფიციენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. ჯინის კოეფიციენტის მაღალი დონე ძირითადად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში არსებობს, თუმცა, არსებობს გამონაკლისები (ეთიოპია, ბანგლადეში და სხვ.), რაც იმაზე მეტყველებს, რომ:

* http://www.worldbank.org/eca/russian/

2. შემოსავლების არასამართლიანი განაწილება ეკონომიკური განვითარების დონესთან ყოველთვის არ არის დაკავშირებული. იგი უფრო ჩამოყალიბებული ტრადიციებითა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილებით განისაზღვრება.

იკვლევდა რა ისტორიულ ჭრილში ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებებს განვითარებად ქვეყნებში, სეიმონ კუზნეცი მივიდა დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს განაწილების გაუარესების პირობებში, ხოლო შემდეგ, გარკვეულ დონეზე, იწყება შემოსავლების გათანაბრება. ეს გრაფიკულად გამოისახება მრუდით, რომელმაც კუზნეცის მრუდის სახელწოდება მიიღო (ნახ.1).



ნახ. 1. დამოკიდებულება ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების განაწილებას შორის

ამ მრუდის თეორიული ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები უნდა გადანაწილდეს ბიზნესმენთა სასარგებლოდ, ეს თანხები წარმოებაში რომ დააბანდონ, მიიღწევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ეკონომისტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს

დებულება არასწორია, იგი ემსახურება იმათ ინტერესებს, რომლებიც სარგებლობენ განაწილების უსამართლობით. კუზნეცის მოსაზრების საწინააღმდეგოდ გამოითქმება შემდეგი მოსაზრებები:

1. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მდიდარი ნაწილი არ არის მიდრეკილი საინვესტიციო დაგროვებისადმი. ისინი ამჯობინებენ შემოსავლები გამოიყენონ პირადი დაგროვების მიზნით: შეიძინონ ძვირფასეულობა, უძრავი ქონება, გახსნან ანაბრები საზღვარგარეთ და ა.შ.

2. მცირე შემოსავლების დროს დაბალია სამუშაო ძალის უნარი: ჯანმრთელობა, განათლება, კვალიფიკაცია და ა.შ.

3. გადანაწილება ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ, გაზრდის მოთხოვნას სამამულო წარმოების საქონელზე, რაც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება.

4. სამართლიანი განაწილების შემთხვევაში გაცილებით დიდია ქვეყნის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სტაბილურობა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთერთი სერიოზული ფაქტორია. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ არ არის შეუძლებელი ერთდროულად ჰქონდეს ადგილი როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე განაწილების გაუმჯობესებას [311].

ვეთანხმებით რა ამ მოსაზრებებს, მიგვაჩნია, რომ, არათუ შესაძლებელია ეკონომიკური ზრდისა და განაწილების გაუმჯობესების ერთდროული განხორციელება, არამედ, შემოსავლების ოპტიმალური განაწილება ეკონომიკური განვითარებისა და, აქედან

გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

წარმოადგენს რა ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს, განაწილებითი ურთიერთობები, მათი გაუმჯობესება იწვევს ეკონომიკური სისტემის თითქმის ყველა ელემენტის გარკვეულ სრულყოფას, რასაც ეკონომიკა გადაჰყავს თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ მდგომარეობაში, რაც ქმნის პირობებს ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარებისათვის:

უმჯობესდება ფიზიკური კაპიტალი და ტექნოლოგია, ვინაიდან მეწარმე უკვე ცდილობს მოგება გაზარდოს არა განაწილების გაუარესების ხარჯზე, არამედ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის საფუძველზე. განსაკუთრებით უმჯობესდება ადამიანისეული კაპიტალი, მისი ყველა ელემენტი: ფიზიკური სიჯანსაღე, გონებრივი უნარი, ცოდნა, კვალიფიკაცია. უმჯობესდება საკუთრებითი ურთიერთობები, ვინაიდან მოსახლეობის მეტი ნაწილი ებმება ბიზნესში, ხდება საწარმოს მესაკუთრე. უმჯობესდება ინსტიტუციები და ა.შ. მაგრამ ეს გრძელდება მანამ, სანამ შემოსავლების გათანაბრება არ მიაღწევს ოპტიმალურ მნიშვნელობას, რის შემდეგაც იწყება მეწარმეთა ეკონომიკური ინტერესების დაქვეითება, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკური ზრდის ტემპებზე – იწყება დაქვეითება.

გრაფიკულად ეს დამოკიდებულება შემდეგნაირად გამოისახება (ნახ. 2). კოუზისა და ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მრუდებს ერთნაირი ფორმა აქვთ, მაგრამ არსით ურთიერთსაწინააღმდეგოა. კოუზის

მრუდი ემპირიული მონაცემების საფუძველზეა აგებული და იგი გვიჩვენებს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკონომიკურ ზრდას მოსდევს განაწილების გაუარესება, ხოლო შემდეგ გაუმჯობესება. ჩვენ შემოთავაზებულ მრუდზე კი განაწილების გაუმჯობესებას მოსდევს ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, სანამ განაწილების სრულყოფა ოპტიმალურ ზღვარს არ მიაღწევს. ჯინის კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა, არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, უნდა მერყეობდეს 0,2-0,25-ს; ანუ 20-25%-ს შორის.

იბადება კითხვა, მცდარია თუ არა კოუზის შეხედულებები? რასაკვირველია, არა, ვინაიდან მან დასკვნა გააკეთა განვითარებადი ქვეყნების სინამდვილეში არსებულ მონაცემთა საფუძველზე. კოუზის დასკვნებში ვლინდება სწორედ ბაზრის ერთერთი დიდი ნაკლოვანება – უზრუნველყოს სოციალლური თანასწორობა, რაც გარკვეული დოზით მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის გატარების შედეგადაა შესაძლებელი, რომელიც ძირითადად შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს: მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობის გაფართოებას, შემოსაველებსა და ქონებაზე პროგრესული გადასახადების შემოღებას; ხელფასის მინიმალური ზღვრის დადგენას; პირდაპირი ტრანსფერტული გადასახდელების დაწესებას მოსახლეობის ღარიბი ნაწილისათვის და ა.შ.

ნახ. 2. დამოკიდებულება შემოსავლების განაწილებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის

კითხვები და დავალებები

1. რა გავლენას ახდენს სიღარიბე ეკონომიკურ განვითარებაზე?
2. რა არის სიღარიბის მიზეზები?
3. განმარტეთ აბსოლუტირი და შარდობითი სიღარიბე.
4. სქემონ კუზნეცის დასკვნა განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდასა და ჯინის კოეფიციენტს შორის დამოკიდებულების შესახებ.
5. რობორია დამოკიდებულება ჯინის კოეფიციენტსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის?
6. მოიპოვეთ საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები და აუხსნათ მისი მაღალი დონის მიზეზები.

6.4. კორუფცია

კორუფცია ლათინური სიტყვაა (corrumpere), რაც ფუჭებას ნიშნავს. ყველაზე მეტად ეს ტერმინი გამოიყენება ბიუროკრატიული აპარატისა და პოლიტიკური ელიტის მიმართ. იგი ნიშნავს თანამდებობის

პირთა მიერ უფლებამოსილებათა გამოყენებას პირადი სარგებლობის მიზნით, დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ.

კორუფცია მაკროეკონომიკურ კვლევებში აღიარებულია, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძლიერი შემაფერხებელი ფაქტორი.

კორუფცია ახალი მოვლენა არაა, იგი საუკუნეს შორეულ წარსულში იღებს. ისტორიამ შემოინახა ხსენება ქალაქ-სახელმწიფო ლაგაშის შუმერი მეფის – ურუკაგინას შესახებ (XXIV ს. ჩ.წ.ა.), როგორც კორუფციის წინააღმდეგ მკაცრად მებრძოლი მეფისა და ა.შ.

დღეისათვის კორუფცია საერთაშორისო პრობლემას წარმოადგენს [226]. გლობალიზაციის პირობებში კორპორაციათა მიერ უცხო სახელმწიფოს მოხელეთა მოსყიდვის ფაქტები სულ უფრო გახშირდა და მასობრივ ხასიათს იღებს. კორუფციის მომძლავრება მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში შესაძლებელია ნეგატიურად აისახოს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე და სხვ.

შეიძლება გამოიყოს კორუფციის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი. ყველაზე დიდი მიზეზი კორუფციის არსებობისა თვით სახელმწიფოს არსებობაა, მაგრამ სახელმწიფოს არარსებობა გაცილებით მეტ პრობლემებს წარმოშობდა, ვიდრე კორუფციაა. ერთმანეთისგან შეიძლება განვასხვაოთ კორუფციის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მიზეზები ძირითადად სუბიექტური ხასიათისაა და მათგან უმ-

თავრესია არასრულყოფილი ინსტიტუციების (უმთავრესად ფორმალურის, მაგრამ ასევე არაფორმალურისაც), უპირველეს ყოვლისა, სახელნწიფო მართვის არასრულყოფილი სისტემის არსებობა.

არასრულყოფილ ინსტიტუციებში იგულისხმება:

1. განუვითარებელი სახელმწიფო დაწესებულებები. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) გაჭიანურებული პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი, როდესაც ძველი სახელმწიფო ინსტიტუტები ინგრევა და მათ ადგილს არცთუ ძლიერი და სრულყოფილი ინსტიტუტები იკავებენ. ასეთ პირობებში კორუფციისათვის კარგი სასათბურე პირობები იქმნება;

2. არასრულყოფილი საბაზრო ინფრასტრუქტურა. ამის თვალსაჩინო მაგალითიც პოსტკომუნისტური ქვეყნებია. მაგალითად, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური რეფორმები 15 წლის წინ დაიწყო, სრულყოფილი საბაზრო ინფრასტრუქტურა დღესაც არ არის ჩამოყალიბებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთ ქვეყნებში საბაზრო ძალები სუსტია და ბიუროკრატია ზომაზე მეტად იჭრება ეკონომიკის ფუნქციონირებაში;

3. კონსერვატული საკანონმდებლო ნორმების არსებობა. მეტად თუ ნაკლებად, ასეთი რამ ყველა ქვეყნის საკანონმდებლო აქტებში შეიძლება აღმოვაჩინოთ, ვინაიდან ნებისმიერი კანონი დროთა განმავლობაში ძველდება და განახლებას საჭიროებს, რა-

საც მაღალი კორუფციის მქონე ქვეყნებში ბიუროკრატია სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს;

4. ახლადმიღებული კანონების არასრულყოფილება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საგადასახადო კანონმდებლობა. თუ გადასახადების სიდიდე ოპტიმალურზე მაღალია, მაშინ გადამხდელი ცდილობს დამალოს გადასახადი, რასაც აღწევს შესაბამის ორგანოებთან გარიგების გზით და რის გამოც იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდე. საწარმოთა ნაწილი კი საეროდ გადის ბაზრიდან. მაღალი გადასახადები ასევე ხელს უშლის ახალ საწარმოთა ბაზარზე შემოსვლას.ბუნებრივია, ყველა ამ შემთხვევაში მცირდება როგორც საგადამხდელო ბაზა, ისე შემოსავლები ბიუჯეტში. და, რაც ყველაზე მთავარია, ფერხდება ეკონომიკის განვითარება. როდესაც საქმე გვაქვს ოპტიმალური სიდიდის გადასახადებთან, მაშინ სახეზეა სრულიად საპირისპირო სურათი. რასაკვირველია, კორუფციის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში ბიუროკრატიას გადასახადების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრის სურვილიც არ აქვს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი ზუსტი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია.

საქართველოში გადასახადების სიდიდე წლების განმავლობაში არ იყო ოპტიმალური, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის ზრდა. ამჟამად საგადასახადო კოდექსი უფრო ლიბერალურია, თუმცა, სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, იგი ჯერ კიდევ შორსაა ოპტიმალურისაგან. ჩვენი აზრით, გადასახადების სი-

დიდის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს არა სუბიექტურად, არამედ შედეგებიდან გამომდინარე. თუ აღმოჩნდება, რომ არსებული განაკვეთები აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, უნდა მოხდეს მათი სწრაფი შეცვლა მანამ, სანამ არ მივაღწევთ პრაქტიკულად ოპტიმალურ მნიშვნელობას. საეროდ, ალბათ, საჭიროა ჩვენც დავნერგოთ იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც გამოიყენება "ავტომატური სტაბილიზატორები", ანუ "ჩაშენებული სტაბილიზატორები", რათა საგადასახადო განაკვეთების ცვლილება ხდებოდეს ავტომატურად და არ იკარგებოდეს დრო და, რაც მთავარია, პროდუქციის გამომუშავების მოცულობა, ეკონომიკის განვითარების ტემპების შეფერხების გამო;

5. კანონების, ნორმატიული აქტების, დადგენილებებისა და ა.შ. შესრულების დაბალი ხარისხი. ეს ნაკლოვანებებიც, ძირითადად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, ვინაიდან იქ მიმდინარე გარდაქმნებს მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება, ახალი გზის გაკვლევა კი შეცდომების გარეშე შეუძლებელია.

6. საზოგადოებაში ისეთი ჩვევებისა და ტრადიციების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციის გაძლიერებას;

7. სახელმწიფო სექტორში ხელფასების დაბალი დონე კერძო სექტორთან შედარებით;

8. ბიუროკრატიული ელიტის მოწყვეტა ხალხისაგან;

9. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და სხვა.

არსებობს კორუფციის ობიექტური მიზეზებიც. მათგან შეიძლება აღინიშნოს:

1. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა.

2. მართვის სისტემის დანაწევრებულობა. მართვის ყველა სადავე რომ ერთი პირის ხელში იყოს (მაგ., აბსოლუტური მონარქიის დროს), მაშინ კორუფცია აღარ იარსებებდა, ვინაიდან ასეთი მმართველისათვის კორუფცია აზრს კარგავს, მას ისედაც შეუძლია სიმდიდრის მითვისება;

3. ყოვლისმომცველი კონტროლის განხორციელების შეუძლებელობა.

4. კანონთა ორაზრობრივი ხასიათი;

5. მოსახლეობის განათლების დაბალი დონე;

6. ბიუროკრატიის არაკომპეტენტურობა;

7. მოქალაქეთა მიერ სახელმწიფოს კონტროლის დაბალი დონე;

8. სახელმწიფოს მონოპოლია გარკვეული მომსახურების წარმოებაზე.

შეიძლება გამოიყოს კორუფციის ძირითადი წყაროები:

1. სახელმწიფო ბიუჯეტი, საიდანაც ხორციელდება სახელმწიფო ხარჯები (ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვ.).

2. არასაბიუჯეტო ფონდები.

3. პრივატიზაცია.

4. საგადასახადო შეღავათები.

5. საგადასახადო დანაშაული.

6. საბაზროზე დაბალ ფასებში ნედლეულისა და მასალების გაყიდვა.

7. ბუნებრივი რესურსების მოპოვება.

8. სახელმწიფო აქტივების გაყიდვა.

9. ჩრდილოვანი ეკონომიკა.

10. კომერციული საქმიანობის გადაცემა კერძო პირებისადმი

11. თანამდებობებზე დანიშვნა.

12. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება.

13. საზღვარგარეთული დახმარებები და სხვა.

კორუფცია დაკავშირებულია მრავალ ნეგატიურ მოვლენასთან. მაგალითად ისეთებთან, როგორიცაა: ეკონომიკური რესურსების არაეფექტიანი გამოყენება; კორუფციული ნაკადების უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე; შემოსავლების დანაკარგები ბიუჯეტში; დროის დანაკარგები; სახელმწიფო აპარატის ეფექტიანობის დაქვეითება; მეწარმეთა განადგურება; ეკონომიკური ზრდის შეფერხება ინვესტიციების შეკვეცის გამო; ეკონომიკური განვითარების შეფერხება ინოვაციების შემცირების გამო; უცხოური დახმარებების არარაციონალური ათვისება; ინდივიდთა უნარის არამიზნობრივი გამოყენება; სოციალური უთანასწორობის ზრდა; კულტურული და ინტელექტუალური დაქვეითება; ხელისუფლების ავტორიტეტის ვდაკარგვა; საერთაშორისო ურთიერთობების დამახინჯება და სხვა.

კორუფციული მმართველობის დროს სახელმწიფო რესურსები მიედინება არა ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნილებების შესაბამისად, არამედ იქ, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნება მისი მოპარვა.

ისმის კითხვა, ეკონომიკურად არის თუ არა მომგებიანი ბრძოლა კორუფციის მთლიანად აღმოფხვრისათვის? ბუნებრივია, თუ კორუფციის მთლიანად აღმოფხვრა შესაძლებელი იქნება დანახარჯების გარეშე, მაშინ იგი სასურველი და მომგებიანი იქნება, მაგრამ ეს მიღწევადია მხოლოდ მაშინ, როდესაც აღარ იარსებებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კორუფციულ გარიგებებში. რეალურ სინამდვილეში ასეთი რამ არ არსებობს და არც მომავალში იარსებებს. ამდენად, აუცილებელი ხდება ერთმანეთს შევადაროთ კორუფციის შედეგად მიღებული დანაკარგები (კორუფციული დანაკარგები) და დანახარჯები, გაწეული მისი აღმოფხვრისათვის.

საერთოდ, დანახარჯები კორუფციის მთლიანად აღმოფხვრისათვის ძალიან მნიშვნელოვანია და იგი მოიცავს არა მხოლოდ შესაბამის ღონისძიებებზე გაწეულ მატერიალურ დანახარჯებს, არამედ საზოგადოების თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეულ დანახარჯებსაც. ამასთან, რაც უფრო ძლიერდება სახელმწიფოს მხრიდან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მით უფრო იზრდება კორუფციული შესაძლებლობების პოტენციალი. ე.ი. კორუფციის აღმოფხვრის გზაზე დანახარჯების სიდიდე თანდათან იზრდება და არ მცირდება. მიუხედავად ამისა, კორუფც-

იის წინააღმდეგ ბრძოლას შესაძლებელია მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს (ამაზე მეტყველებს პორტუგალიის, შეეციის, სინგაპურის და სხვაოა შედეგები).

ეკონომიკური თვალსაზრისით კორუფციის აღმოსაფხვრელად დანახარჯების გაღება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ კორუფციის აღმოფხვრის ეკონომიკური შედეგები მეტი იქნება დანახარჯებზე. ე.ი. კორუფციის ოპტიმალური დონე მიიღება მაშინ, როდესაც დანახარჯები, გაწეული მისი აღმოფხვრისათვის, გაუტოლდება მიღებულ შედეგს, ვინაიდან ამის შემდეგ დანახარჯები გადააჭარბებს შედეგს.

კორუფციის შემცირების მაკროეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებიდან უმთავრესია ისეთი მაკრო- და მიკროეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომელიც აღმოფხვრის კორუფციის წარმომშობ მიზეზებს, უპირველეს ყოვლისა, გააუმჯობესებს არსებულ ინსტიტუციებს. გარდა ამისა, შეიძლება გამოვყოთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი ძირითადი მეთოდები [273]:

1. კანონებისა და მათი შესრულების გამკაცრება, რასაც შედეგად მოჰყვება კორუფციაზე წასვლის რისკის ამაღლება. კორუფციულ გარიგებებზე მიდიან მაშინ, როდესაც ბიუროკრატიული რენტა ბევრად აღემატება კორუფციაში მონაწილეობის რისკს. კანონებისა და მათი შესრულების გამკაცრებას, ბუნებრივია, მოჰყვება აღნიშნული რისკის ამაღლება, რაც, ცხადია, იმოქმედებს კორუფციის შემცირების მიმართულებით.

2. საბაზრო ძალების გაძლიერება. სრულყოფილი საბაზრო მექანიზმის არსებობის პირობებში ნაკლებია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა და ამიტომ მცირდება კორუფციული გარიგებების რაოდენობა;

3. ჩინოვნიკთა ხელფასების გაზრდა. მართალია, სახელმწიფო მოხელეთა ხელფასის ზრდამ შეიძლება ვერ გამოიწვიოს კორუფციის დონის პირდაპირპროპორციული შემცირება, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ მატერიალურად უფრო მეტად უსრუნველყოფილი ადამიანი ნაკლებად წავა რისკზე. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ყველაზე დაბალი კორუფციის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო მოხელეთა ხელფასი 2-3-ჯერ მეტია კერძო სექტორში არსებულ ხელფასზე.

4. ფინანსური კონტროლი (აუდიტი).

5. დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება და სხვ.

მაგრამ ყველა ეს ღონისძიება ეფექტიანი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით დაინტერესებულია ქვეყნის უმაღლესი დონის ხელისუფლება. თუკი საპირისპირო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, მაშინ პრობლემა უნდა გადაწყდეს ხალხის ძალაუფლების გამოყენებით, ანუ არჩევნების გზით სათავეში უნდა მოვიდეს შესაბამისი მთავრობა.

ანტიკორუფციული ღონისძიებების გასატარებლად სასურველია, ქვეყანაში არსებობდეს ანტიკორუფციული მაკროეკონომიკური მექანიზმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ხელისუფლების სამივე

შტო – მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება – და თავისუფალი მასმედია.

კითხვები და დავალებები:

1. დაასახელეთ კორუფციის წარმოშობის მიზეზები.
2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მეთოდებია.
3. ეკონომიკური თვალსაზრისით რომელმდე უნდა გაბრძოლდეს კორუფციის აღმოსაფხვრელად დანახარჯების გაღება?
4. რა ნებატიურ მოვლენებთან არის დაკავშირებული კორუფცია?
5. კორუფციის ძირითადი წყაროებია.
6. რაში მდგომარეობს კორუფციის ობიექტური მიზეზები?
7. მოიკითხეთ მაგალითები სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციის დონის შესახებ.

6.5. მოსახლეობის ზრდა

ეკონომიკური განვითარება და მსოფლიო მოსახლეობის ზრდის პრობლემა მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მწვავედ დადგა. მეცნიერთა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი თელის, რომ მოსახლეობამ მსოფლიოში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და საჭიროა მისი შეჩერების გზების გამონახვა.

მოსახლეობის ზრდა ეკონომიკურ განვითარებაზე ორმხრივ გავლენას ახდენს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს. დადებითი მომენტებიდან შეიძლება გამოიყოს:

1. მოსახლეობის ზრდა ადიდებს ქვეყნის სამუშაო ძალის (შრომითი რესურსების) რაოდენობას, რაც აუცილებელია წარმოების გაფართოებისათვის, სახელმწიფოს სიძლიერის მატებისათვის.

2. ქვეყანაში, რომელშიც მოსახლეობის რიცხოვნობა დიდია, დიდია იმის ალბათობა, რომ მეტი რაოდენობის გამორჩეული ნიჭის მქონე (მეცნიერი, მეწარმე, ხელოვანი და ა.შ.) ადამიანი დაიბადოს, ვიდრე იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის რიცხოვნობა მცირეა.

უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია:

1. მოსახლეობის ზრდა მოითხოვს ეკონომიკის შესაბამის ზრდას, რაც უარყოფით გაელენას ახდენს გარემოზე.

2. რადგანაც ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია, მოსახლეობის დაუსრულებელი ზრდის პირობებში, იგი შესაძლებელია საკმარისი არ აღმოჩნდეს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეების ბრიტანელი ეკონომისტი და დემოგრაფი ტომას რობერტ მალთუსი [194] ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის ზრდა გადააჭარბებდა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს, რასაც კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა. მაგალითად, დღეისათვის უკვე დგას არაერთი გლობალური პრობლემა რესურსების ამოწურვასთან დაკავშირებით.

მოსახლეობის ზრდის მომხრეთა რაოდენობაც არ არის მცირე. მერკანტილიზმის ევროპული სკოლის წარმომადგენლები XVII-XVIII საუკუნეებში თვლიდნენ, რომ მოსახლეობის ზრდა იყო დადებითი მოვლენა. დღესაც კი მეცნიერთა ნაწილს მოსახლეობის ზრდა პოზიტიურ მოვლენად მიაჩნია [219].

მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაეთმო, რადგან ზრდის ტემპები არნახულ სიდიდეს აღწევს. 1972 წელს გარემოს დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში გამოთქმულია შეშფოთება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ზრდა წარმოშობს პრობლემებს გარემოს დაცვის უზრუნველყოფის სფეროში და რომ აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. მოსახლეობის ზრდის პრობლემებს მიეძღვნა აგრეთვე ბუქარესტისა (1974) და მეხიკოს (1984) საერთაშორისო კონფერენციები, საიდანაც გაისმა მოწოდება იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნებმა, სადაც უკვე იგრძნობა უთანაბრობა მოსახლეობის რიცხოვნობასა და ბუნებრივ რესურსებს შორის, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. იმავე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული რიო-დე-ჟანეიროს 1992 და კაიროს 1994 წლების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციებიც. შემდგომაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ფორუმებზე, არაერთხელ მიეთითა მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაციის დიდ მნიშვნელობაზე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად.

კაცობრიობის ორმილიონიანი წლის არსებობის მანძილზე დიდი ხნის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა ძლიერ მცირე იყო. 12 000 წლის წინ იგი

მხოლოდ 5 მილიონ კაცს შეადგენდა, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კი მხოლოდ 250 მილიონს [319].

XX საუკუნე დედამიწაზე მოსახლეობის უპრეცედენტო ზრდის საუკუნე იყო, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა 1,6 მილიარდიდან 6,1 მილიარდამდე გაიზარდა. ამასთან, თუ პირველი მილიარდით მატებას (1 მილიარდიდან 2 მილიარდამდე) 123 წელი (1804-1927) დასჭირდა, ბოლო მილიარდით მატება მხოლოდ 12 წელიწადში (2000-2012) მოხდა და 7 057 608 ათასი კაცი შეადგინა*.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად პრობლემებს წარმოშობს ასევე დედამიწაზე მისი მეტად არათანაბარი განაწილება ტერიტორიების მიხედვით (70 პროცენტზე მეტი მხოლოდ 15 სახელმწიფოზე მოდის), აგრეთვე დიდია განსხვავება მოსახლეობის ზრდის ტემპებს შორის განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. თუ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის კლება შეინიშნება, განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები ჯერ კიდევ მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ქვეყანაში (ჩინეთი, ინდოეთი, სინგაპური, ტაივანი და ა.შ.) გატარდა ზომები შობადობის შესამცირებლად. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რიცხოვნობასა და მისგან გამოწვეულ წარმოების მოცულობის ზრდასთან შედარებით გარემოზე უფრო დიდ ნეგატიურ სემოქმედებას ახდენს ახალი ტექ-

* http://news.day.az/world/343414.html

ნოლოგიების ათვისება. მათი გამოყენების შედეგად მიიღება ბუნებაში არარსებული ნივთიერებები და მათი დაგროვება მავნე გავლენას ახდენს როგორც ლითო-, ისე ჰიდრო- და ატმოსფეროზე, ისინი არღვევენ დედამიწის ოზონურ შრეს და ა.შ.

დედამიწის საერთო ფართობი არის 51 მლრდ ჰა, აქედან, ხმელეთზე მოდის 13,4 ჰა (ანტარქტიდის გარდა - 1,5 ჰა), ანუ პლანეტის მოსახლეობის ერთ სულზე ⌜ 1,9 ჰა. მაგრამ, ხმელეთის ყველაზე დიდი ნაწილი (66%) უჭირავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოუყენებელ ადგილებს (მთები, უდაბნოები, ნახევრუდაბნოები, დასახლებები, ტყე და სხვ.). მიწის იმ ნაწილს, რომელზეც არის დამოკიდებული დედამიწის მოსახლეობის გამოკვება (სახნავი, ბაღები, საძოვარი და სათიბი), ხმელეთის მხოლოდ 34% უკავია (ანუ მოსახლეობის ერთ სულზე 0,7 ჰა), აქედან სახნავს და ბაღებს კი მხოლოდ ⌜ 11% (ანუ მოსახლეობის ერთ სულზე 0,2 ჰა). ეს მონაცემები ნათლად მეტყველებენ, თუ რაოდენ შეზღუდულია მიწის რესურსები დედამიწაზე. იგი ასევე ძალიან არათანაბრადაა განაწილებული რეგიონების და ქვეყნების მიხედვით.

მსოფლიოში მიწის ყველაზე დიდ რესურსებს ფლობს რუსეთი, აშშ, ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია და კანადა. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. აქ ერთ სულ მოსახლეზე 2009 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ 0.68 ჰა და სახნავ-სათესი მიწების 0.17 ჰა მოდიოდა, რაც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებზე საკმაოდ ნაკლებია.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საუბრობს სასმელი წყლის მომარაგებაში არსებულ კატასტროფულ მდგომარეობაზე, რაც, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, განპირობებულია კლიმატის გლობალური ცვლილებით, სურსათისა და ჰიგიენის საშუალებათა მოხმარების ზრდით და სხვ. იუნესკოს მონაცემებით, სუფთა სასმელ წყალზე ხელი მიუწვდება დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 89%-ს. ზოგიერთი მონაცემით სასმელ წყალზე ხელი არ მიუწვდება პლანეტის ყოველ მეოთხე მცხოვრებს.

ცალკე უნდა გამოიყოს ენერგეტიკული პრობლემა. გაანგარიშებები უჩვენებს, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად მსოფლიოში ენერგიის მოხმარება მის კვადრატჯერ იზრდება. ენერგეტიკული პრობლემა, როგორც გლობალური პრობლემა, წარმოიშვა XX საუკუნის 70-იან წლებში ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდის გამო. მართალია, მას შემდეგ ბევრი წინააღმდეგობა იქნა დაძლეული, მაგრამ ენერგეტიკული პრობლემა მაინც ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად რჩება, ვინაიდან სათბობ-ენერგეტიკული რესურსები საბოლოოდ ამოწურვადია და ენერგიის გამოყენების მასშტაბების ზრდას შესაძლებელია, კატასტროფული ნეგატიური შედეგები მოჰყვეს (გლობალური დათბობა, კლიმატის ცვლილება, ოზონური ხვრელების წარმოქმნა, მჟავას წვიმები და სხვ.).

ბუნებრივია, მოსახლეობის ზრდა წარმოშობს მრავალ პრობლემას, მაგრამ ეკონომიკური განვითა-

რება ამ პრობლემის გადაჭრის ბევრ შესაძლებლობას იძლევა. ეს უკავშირდება:

1. თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკაში, რის შედეგადაც მცირდება პროდუქციის მასალა- და ენერგოტევადობა; უნარჩენო და ეკოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვა ამცირებს მავნე ნივთიერებების გამოტყორცნას გარემოში; იზრდება მომსახურების სფერო, რომელიც ნაკლებ მატერიალურ სახსრებს მოიხმარს; ცხოვრების კომფორტის ზრდა უმეტესად ხდება პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესების ხარჯზე და არა ეკონომიკური ზრდის ხარჯზე, რის გამოც ეკონომიკური განვითარება თავად ხდება ეკონომიკური ზრდის შემაკავებელი ფაქტორი.

2. ცვლილებებს დემოგრაფიულ სტრუქტურაში. თუ დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში ადგილი აქვს დემოგრაფიულ აფეთქებას, მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში იწყება დემოგრაფიული გადასვლა (პოპულაციის სიჩქარის მკვეთრი ზრდის შეცვლა მისი ასევე მკვეთრი შემცირებით), რის შედეგადაც ხდება მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაცია. ეს გადასვლა დღეისათვის უკვე დამთავრებულია განვითარებულ ქვეყნებში და იწყება განვითარებად ქვეყნებში.

საერთოდ, მოსახლეობის ზრდის პრობლემა საყოველთაო მსოფლიო პრობლემაა, მაგრამ მისი გადაჭრა თითოეულმა ქვეყანამ ცალკე უნდა მოახერხოს, ვინაიდან ისინი სრულიად განსხვავებული პრობლემების წინაშე დგანან. მაგალითად, თუ ჩინეთს

მოსახლეობის სწრაფი მატების პრობლემა აწუხებს, საქართველოში საწინააღმდეგო ვითარებაა. დემოგრაფთა შეფასებით, 1990 წლიდან მოყოლებული, გარკვეული გამონაკლისების გარდა, მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში კლებულობს. ამდენად, აუცილებელი ხდება ამ ტენდენციის დაძლევა, თუმცა ეკონომიკური განვითარების შედეგად მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა შეუძლებელი იქნება.

ეკონომიკური განვითარება ამცირებს მოსახლეობის ზრდის ტემპებს.

კითხვები და დავალებები:

1. რა დადებით და უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ზრდა ეკონომიკურ განვითარებაზე?
2. როგორაა განაწილებული მოსახლეობა დედამიწაზე ტერიტორიების მიხედვით?
3. რა პრობლემებს წარმოშობს მოსახლეობის ზრდა და როგორია მათი გადაჭრის გზები?
4. შეისწავლეთ მოსახლეობის ზრდის თავისებურებები საქართველოში და გააკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

თ ა ვ ი VII

ეკონომიკური განვითარება და სოფლის პრობლემები

სასოფლო ადგილი (countryside, сельская местность) ანუ მოკლედ სოფელი წარმოადგენს დასახლებულ ტერიტორიას ქალაქების გარეშე. ეკონომიკის თვალსაზრისით იგი მოიცავს ბუნებრივ და ანტროპოგენურ ლანდშაფტებს და აქ სასოფლო წარმოების გარდა შეიძლება ფუნქციონირებდეს: სატყეო მეურნეობა; მონადირეობა; მეთევზეობა; სასოფლო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება; მომპოვებელი და გადამამუშავებელი (არა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის) მრეწველობა (როგორც წესი შედარებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებიო); სოფლის ინფრასტრუქტურა; კულტურული (კინოთეატრები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები), რეკრიაციული (ტურიზმი და ექსკურსია, დასასვენებელი სახლები, პლაჟები, პარკები და სხვ), სავაჭრო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და მომსახურების სხვა დარგები. ასევე შეიძლება ხორციელდებოდეს ბუნებისდაცვითი და საკომუნიკაციო საქმიანობა და სხვ. მაშასადამე, როგორც ვხედავთ საქმე გვაქვს სოფლის ეკონომიკათან და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან, რომელთანაც ძალიან ხშირად ასოცირდება იგი. აქედან გამომდინარე, ნაოლად ჩანს თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს სოფელი ქვეყნის სიძლიერის, უსა-

ფრთხოებისა და კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. ამიტომაა, რომ ეკონომიკური განვითარება, ანუ ეკონომიკის გადასვლა თვისებრივად ახალ მდგომარეობაში, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოფლის განვითარებაზე. ჩამორჩენილი სოფელის არსებობა ნიშნავს, რომ მთელი ეკონომიკა არ არის სათანადოდ განვითარებული. რომ დაბალია კაპიტალის ხარისხი (როგორც ფიზიკური, ისე ადამიანისეული), ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიური ცოდნის დონე, არა სრულყოფილია საკურების ფორმები და ინსტიტუციები, არარაციონალურად გამოიყენება რესურსები (ბუნებრივი, შრომითი, ინტელექტუალური და სხვ.), არაპროგრესულია ეკონომიკის სტრუქტურა, არაეფექტიანია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ა. შ., მაშასადამე, დაბალია ეკონომიკური განვითარების დონე.

მაგრამ, ისმის კითხვა, ეკონომიკის რომელი დარგი უნდა განვითარდეს წინმსწრები ტემპებით? აგრარული (სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მონადირეობა, მეთევზეობა) თუ მრეწველობა?

ისტორია გვიჩვენებს, რომ ათასწლეულების განმავლობაში სწორედ სოფელი წარმოადგენდა ადამიანთა დასახლებისა და ეკონომიკური საქმიანობის ადგილს. ამასთან, იმავე ათასწლეულების განმავლობაში მწარმოებლურობა, მანამ, სანამ მრეწველობის ჩასახვა და განვითარება არ მოხდა, სოფლად თითქმის მუდმივი და დაბალი იყო, გამოიყენებოდა შრომის უმარტივესი იარაღები (თოხი, ბარი, ნაჯახი, ცელი) და მეურნეობას ძირითადად ნატურალური

ხასიათი ჰქონდა, ეკონომიკური ურთიერთობებიც არქაული ხასიათის რჩებოდა. სწორედ მრეწველობის განვითარებამ შეუწყო ხელი ეკონომიკის სხვა დარგების (მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მომსახურება და სხვ.), მათ შორის, აგრარული დარგების, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებას. დღესაც სწორედ მრეწველობაა ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ძირითადი საფუძველი. ხოლო ეკონომიკის ქვედა დარგი ერთად აღებული სოფლის განვითარების (იგულისხმება სოფლის ეკონომიკა და აქ მცხოვრებთა კეთილდღეობის ამაღლება) საფუძველი. ამდენად, თუ ქვეყანას მრეწველობა არ აქვს განვითარებული იგი ეკონომიკის სხვა დარგებს, მათ შორის, სოფლის ეკონომიკასაც ვერ განავითარებს. მართალია, გლობალიზაციის პირობებში ეს მოთხოვნა იმდენად მკაცრად არ დგას, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე დარგი რომ მთლიანად უცხოეთზე იყოს დამოკიდებული, მიუღებელია.

ასევე მნიშვნელოვანია საკითხის გარკვევა იმის შესახებ საჭიროა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა სასოფლო დარგების განვითარებისადმი და სოფელ ადგილებში ცხოვრების დონის ამაღლებისადმი თუ ეს თავისთავად თავისუფალი საბაზრო ძალების მოქმედებით მიიღწევა?

მსოფლიოში დღეისათვის არსებობს სოფლის მეურნეობის ორი ტიპი. ერთიერველი, განვითარებული ქვეყნების აგრარული სექტორი, მაღალინტენსიური საქონლური სოფლის მეურნეობა, რომელიც იყენებს

არა მხოლოდ მექანიზაციისა და ქიმიზაციის, არამედ ავტომატიზაციის მთელ არსენალს – სელექციის, გენეტიკის, ბიოტექნოლოგიის უახლეს მიღწევებს, რაც განაპირობებს შრომის მაღალმწარმოებლურობას, რომელიც უტოლდება მრეწველობაში არსებულ შრომის ნაყოფიერებას. აქ ფერმერთა მცირე რაოდენობა არჩენს მთელ ქვეყანას. ფერმათა ფუნქციონირების პრინციპები თითქმის შეესაბამება ფირმათა ფუნქციონირების პრინციპებს. მეორე, განვითარებადი ქვეყნების დაბალგანვითარებული აგრარული სექტორი, სადაც ჭარბობს ტრადიციული (ნატურალური) მომხმარებლური სოფლის მეურნეობა, დიდრიცხოვანი ფერმებით, სადაც ადგილი აქვს დაბალმექანიზირებულ წარმოებას, რომელიც ემყარება ისევ პრიმიტიული იარაღების გამოყენებას, რომელიც განაპირობებს შრომის დაბალნაყოფიერებას. განვითარებულ ქვეყნებში სოფლად არსებობს მაღალხარისხოვანი ინფრასტრუქტურა, რაც განაპირობებს ზღვრის წაშლას ქალაქსა და სოფელს შორის. განვითარებად ქვეყნებში კი მდგომარეობა სრულიად პირიქითაა. მოსახლეობის დიდი რაოდენობა ცხოვრობს ანტისანიტარიის, წყლის, ბუნებრივი აირის, გზის და ა. შ. უქონლობის პირობებში. ჯერ-ჯერობით დაბალია სოფლის განვითარების დონე ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაშიც, მათ შორის, საქართველოშიც.

პოლიტიკოსთა და მეცნიერთა (მათ შორის, ქართველ მეცნიერთა) [84, 85, 89, 119] უმრავლესობა

მხარს უჭერს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის განვითარებისადმი დახმარების აუცილებლობას.

აგრარული წარმოებისა და ცხოვრების დაბალი დონის მქონე პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის სოფლისადმი დახმარების აუცილებლობას განაპირობებს:

1. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხანგრძლივი წინა პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ნაკლები ყურადღება ექცეოდა (საპირისპიროდ მრეწველობისა და სხვა დარგებისა). კოლექტივიზაციამ ვერ შექმნა პირობები აგრარული სექტორის განვითარებისათვის. რკოლექტივი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებული იყო კოლექტიურ საკუთრებად, ფაქტიურად, მაინც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და იმართებოდა იგივე მეთოდებით, როგორც ჩვეულებრივი საბჭოთა საწარმო.ამიტომ, შრომის ნაყოფიერება პირად საკუთრებაში მყოფ საკარმიდამო მნაკვეთებზე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე კოლმეურნეობებში, არა მექანიზაციისა და აგროტექნიკის უფრო მაღალი დონის გამო (პირიქით მექანიზაციისა და აგროტექნიკის უფრო მაღალი დონე იყო კოლმეურნეობებში), არამედ უფრო ძლიერი სტიმულების არსებობის გამო. ღასაკვირველია, გლეხებს პირად საკარმიდამო ნაკვეთებზე მექანიზაციის დონის ამაღლება, დაბალი შემოსავლების გამო, არ შეეძლოთ (კოლმეურნეობაში კი მათი შემოსავალი უმნიშვნელო იყო). ამდენად, მექანიზაციის დონე ძლიერ დაბალი რჩებოდა, ხოლო ეკონომიკური სტიმული კოლმეურნეობებში ნულის ტო-

ილ იყო და აქ თითქმის იძულებითი შრომა გამოიყენებოდა. შედარებით კარგი მდგომარეობა იყო საბჭოთა მეორნეობებში (მექანიზაციისა და ანაზღაურების უფრო მაღალი დონე), თუმცა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, მაღალი სტიმულების ამოქმედება, საერთო საკუთრების არსებობის გამო, აქაც ვერ ხერხდებოდა. საბჭოთა წყობილების პირობებში ასევე ძლიერ განუვითარებელი იყო სოფლის ინფრასტრუქტურა (თუმცა სახელმწიფო ამ მიმართულებით არაერთ ღონისძიებას ახორციელებდა). ქალაქსა და სოფელს შორის უფსკრული თანდათან ღრმავდებოდა და სოფლად მოსახლეობის შენარჩუნება მკაცრი საპასპორტო რეჟიმის არსებობით ხერხდებოდა. თუმცა, მოსახლეობის დენადობას ადგილი მაინც ჰქონდა. ამ მხრივ უფრო კარგი მდგომარეობა იყო პოლონეთსა და იუგოსლავიაში (მიწები აქ თითქმის კერძო საკუთრებაში იყო), მაგრამ სახელმწიფოს არაეკონომიკური ჩარევის გამო, სოფლის მეურნეობის განვითარების დონე აქაც დაბალი რჩებოდა. მაშასადამე, პოსტკომუნისტურ ქვეყნებს სოფლად მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ.

2. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთი ხელის მოსმით განადგურების შედეგად, მოისპო ის პოტენციალიც, რომელიც არსებობდა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მათი თანდათან გარდაქმნა ფერმებად შესაძლებელი იყო.

3. მიწების პრივატიზაციამ დადებით შედეგებთან ერთად გამოიწვია მათი დაქუცმაცება. მცირე მიწაზე,

უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაშიც კი სასაქონლო სასოფლო პროდუქციის წარმოება შეუძლებელია და ოჯახის შემოსავალი ვერ იქნება ტოლი ქალაქში ანალოგიური ოჯახის შემოსავლებისა.

4. საბოლოოდ, დღეისათვის მივიღეთ ნახევრად ნატურალური (საქართველოში ფერმათა 90% ნატურალურია), დაბალმექანიზებული (ძირითადი იარაღი კვლავ თოხი, ბარი და ნაჯახია) და ამიტომ დაბალნაყოფიერებისა და განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მქონე სოფელი. ამდენად, მართალია მიწების პრივატიზაციის შედეგად სტიმულები კი გაიზარდა, მაგრამ საწყისი უაღრესად მძიმე პირობების გამო სოფლად მცხოვრებს არ შეუძლია ყველა სიძნელეების გადალახვა და განვითარებული სასოფლო წარმოების ჩამოყალიბება. ამიტომ, სასოფლო ოჯახის წევრთა ნაწილი იძულებულია წავიდეს სამზღვარგარეთ ან ქალაქში და ძირითადად არა მუდმივი სამუშაოთი არჩინოს ოჯახი.

5. სამზღვარგარეთიდან შემოიტანება იაფი (ხშირ შემთხვევაში უხარისხო) სასოფლო პროდუქცია, რაც ანადგურებს ადგილობრივ ბაზრებს.

6. სოფლის მეურნეობის სფერო კაპიტალის მოზიდვისადმი, მისი გარემო პირობებზე ძლიერი დამოკიდებულების გამო (წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა...და ა. შ.). სარისკოა. ამიტომაა, რომ ბანკები ძირითადად მშენებლობასა და ვაჭრობის სფეროს აფინანსებენ. ასევე, სოფლად სადაზღვევო სისტემის

განუვითარებლობის გამო, ნაკლებადაა დაინტერესებული კერძო ბიზნესი

7. ედამატებით დანახარჯებს საჭიროებს ნიადაგის შენარჩუნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით გამოყენებისათვის, რაც კიდევ უფრო არითულებს ფერმერის (გლეხის) მდგომარეობას.

8. მსოფლიოში სავარგულების შემცირებისა და მარცვლეულის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენება არა მარტო აძვირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, არამედ გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხის წინაშე აყენებს კაცობრიობას. ასეთ პირობებში ეროვნული სასოფლო წარმოების განვითარება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია.

ნათელია, რომ განვითარებად ქვეყნებში სოფლისადმი დახმარების გარეშე სასოფლო წარმოების არათუ განვითარებას, არამად კიდევ უფრო დაქვეითებას ექნება ადგილი, ვინაიდან გლობალიზაციის პირობებში, მკაცრი კონკურენციის პირობებში (როდესაც ერთ მხარეზეა მაღალ მექანიზებული და ავტომატიზებული ფერმები, ხოლო მეორეზე – წაქცეული სოფელი), სულ უფრო მეტი ფერმერი დატოვებს სოფელს და ეს შესაძლებელია სოფლის კატასტროფით დასრულდეს. ამდენად სახელმწიფო მხარდაჭერა სოფლისადმი აუცილებელია. საკვების მოპოვება და ყველა სხვა სიკეთის მიღება, რომელიც სოფელს გააჩნია მოელმა საზოგადოებამ ერთად უნდა უსრუნველყოს, სახელმწიფოს მეშვეობით.

ასეთი პოლიტიკა ხორციელდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიდაც – ევროკავშირში [67], იაპონიაში [241], აშშ-ში [241] და ა.შ. თვით პოლონეთში (რომლის წარმომადგენელი ცნობილი მეცნიერი და ამ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწე ლეშეკ ბალცეროვიჩი თვლის, რომ სოფელი არ საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას, რომ აქ არ იწარმოება განსაკუთრებული პროდუქცია და, რომ ამ სფეროშიც წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი საბაზრო, ლიბერალური მეთოდებით) [287] წარმატებით ხორციელდება სოფლისადმი მხარდაჭერის პოლიტიკა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასოფლო პროდუქცია განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ქვეყანამ შეიძლება გაუძლოს ნებისმიერ სიძნელეს, მაგრამ არა შიმშილს და რომ დღევანდელ პირობებში სოფელი საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას, ვინაიდან იგი აღმოჩნდა კომპლექსური სინელეების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა თავად არ შეუძლია და საჭიროა მისი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. გასაგებია, ლ. ბალცეროვიჩი ფრთხილობს, რომ სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოს დახმარება არ გადაიზარდოს ინტენციონალიზმში, რომელიც არის წყარო ბევრი უარყოფითი მოვლენისა. (როგორც მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს სინერგიული ეფექტი მიიღწევა მაშინ, როდესაც ეკონომიკაში დომინირებს კერძო საკუთრება, ადგილი აქვს სამეურნეო თავისუფლებას, კონკურენციას, ჯანსაღ ფინანსებს, ბიუჯეტის დაბალანსე-

ბულობას, გადასახადების ოპტიმალურ სიდიდეს და ა.შ. ამ პროცესების ნორმალიზაციაში უდიდესი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს. სწორედ მისმა სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ზემოთ ხსენებული პირობების დამყარება ეკონომიკაში, მოახდინოს პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმისა, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა). მაგრამ, ჩვენ საუბარი გვაქვს იმაზე, რომ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ის მოვალეობები, რომელიც მას საეროდ აკისრია არა მხოლოდ სხვა დარდებისადმი და ქალაქისადმი, არამედ სოფლის ეკონომიკისა და სოფლისადმისაც, რასაც, მაგალითად ჩვენს ქვეყანაში, დღემდე სრულყოფილად არ ასრულებდა და რამაც სოფელი თითქმის კატასტროფამდე მიიყვანა. დღეისათვის კი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა ზოგიერთი დამატებითი ფუნქციების შესრულებაც. მართალია; კონკურენციის არსებობა საბაზრო მექანიზმის ერთ-ერთი უძირითადესი ელემენტია. ეშმაგრამ, ხშირად დგება მომენტი (საბაზრო ჩავარდნების გამო), როდესაც ურთიერთდახმარებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან. ღასაკვირველია, აქ საუბარია არ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ეხმარებოდეს ნებისმიერ საწარმოს ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მაშინ როდესაც, ეს აუცილებელია მთელი ეკონომიკის განვითარებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისათვის, როდესაც ადგილი აქვს მთელი ეკონომიკისათვის ნეგატიური მოვლენების წარმოშობის სფრთხეს. ამას მოწმობს სწორედ

სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის ჩამოყალიბდეს სოფლის მეურნეობა მაღალეფექტური საქონლური ფერმებით, გაწნეითარდეს სხვა სასოფლო დარგები და სოფლად ცხოვრების პირობები მაქსიმალურად დაუახლოვდეს ქალაქისას. ამისათვის სოფლისადმი მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: ისეთი ინსტიტუციური ცვლილებები, რომელიც წაახალისებს მიწის ნაკვეთების ზრდას (მიწების გაყიდვის ან იჯარის სტიმულირების გზით); სოფლად ინფრასტრუქტურის (სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და სავარგულებთან მისასვლელი გზები, საირიგაციო-სადრენაჟო და მდინარეთა ნაპირ-სამაგრი სისტემა, წყლით, ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით სტაბილური მომარაგება) გაუმჯობესება; მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის თანდათან ამაღლება; სასუქებით, პესტიციდებითა და ქიმიკატებით მომარაგება; საოესლე და სანერგე მეურნეობების, ჯიშთა გამოცდისა და განახლების სისტემების აღდგენა და განახლება; ჯანდაცვის, განათლების, კულტურის დონის ამაღლება; ახალი ტექნოლოგიების (მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ბიოლოგია) დანერგვა, იაფფასიანი კრედიტების, საზღვარგარეთიდან დახმარებების მიღებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, უშუალო სუბსიდირების გზით; პროდუქციის რეალიზაციის მხარდაჭერა, ტექნიკური, ზომიერი

პროტექციონისტული პოლიტიკისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარების მეშვეობით, ექსპორტის წახალისებით, სადაზღვევო სისტემის შექმნით; სოფელ ადგილებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკონომიკის სხვა დარგების საწარმოთა (სოფლის პროდუქტების გადამამუშავებელი, საკონსერვო და ტურისტული საწარმოები, სასაწყობო მეურნეობები, მეფრინველეობის ფაბრიკები, ფერმები, ყველის მინი-ქარხნები, ღვინის ქარხნები, სახერხები, მაღაზიები, ავტოსერვისი, ენერგოშენებლობა, საშენ მასალათა, ფქვილისა და პურ-ფუნთუშეულის, ძეხვის წარმოება და ა.შ.) შექმნა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო რეზერვების შექმნა; ხარისხიანი სათესლე-სანერგე მასალების შეძენა; ექსტენციის სისტემების შექმნა; სოფლის მომსახურე ბაზის (ტრაქტორების და სხვა სასოფლო დანიშნულების მანქანების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ა.შ.) ფორმირება და განვითარება; ფასის მნიშვნელოვნად შემცირება შხამ-ქიმიკატებზე, პესტიციდებზე და საწვავზე; შეღავათიანი სესხის პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ვეტერინარული და აგრონომიული სამსახურების შექმნა; სურსათის ხარისხის კონტროლის შემოღებას; წარმოების კოოპერაციული ფორმების განვითარება, მეთევზეობის, მონადირეობისა და სატყეო მეურნეობის განვითარება ს ხვა.

სოფლის სტრუქტურაში ჩადებულ ყოველ ლარს აქვს გრძელვადიანი ეფექტი და იგი აუმაგად ანაზღაურდება აგროწარმოების განვითარების შედეგად.

ეს ღონისძიებები არათუ უნდა ასუსტებდნენ ფერმერის სტიმულებს, არამედ უნდა აძლიერებდნენ მას.ᲐᲑᲣნებრივია, მთავარი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს იმაზე, რომ ფერმერი ზრდიდეს წარმოებას, ნერგავდეს ახალ ტექნოლოგიებსა, რათა რაც შეიძლება მალე გარდაიქმნეს თანამედროვე სასაქონლო ფერმად. რასაკვირველია, საზღვარგარეთ ასეთი მდგომარეობის მიღწევას ათწლეულები დაჭირდა, მაგრამ ჩვენ გვაქვს უპირატესობა, რომ პირდაპირ, მზამზარეულად გამოვიყენოთ ის მიღწევები, რაც უკვე განვითარებულ ქვეყნებში არსებობს. საქართველოსათვის ეს კიდრე უფრო იოლია, ვინაიდან ის პატარა ქვეყანაა და დასავლეთი მას დიდ დახმარებებს უწევს. საჭიროა, აგრეთვე, ადგილობრივი ბიზნესის დაინტერესება. ეროვნულ კომპანიებს შეუძლიათ შეიძინონ ფერმები და დააბანდონ ინვესტიციები.

რათა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები განახორციელოს სახელმწიფოს უნად ჰქონდეს ამის შესაძლებლობა.ᲐᲐმიტომაა, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების დონე იმ ქვეყნებშია მაღალი, სადაც საერთო ეკონომიკური განვითარების მაღალი დონეა. საქართველოში რეფორმების სწყის ეტაპზე ეკონომიკის სხვა დარგებში უფრო ჰქონდა ადგილი დაქვეითებას, ვიდრე სოფლის მეურნეობაში. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენთან რეფორმების განხორციელებაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო, ეკონომიკური განვითარების დონე ძალზე დაბალი რჩებოდა. სახელმწიფო ბიუჯეტი იმდენად მცირე იყო, რომ

სოფლისადმი სერიოზული დახმარება შეუძლებელიც კი იყო. თუმცა, დღეისათვის შესაძლებელია ეკონომიკის შემდგომ განვითარებასთან ერთად გაძლიერდეს სოფლისადმი დახმარება (და არა კმაყოფაზე აყვანა) და თანდათან გამოსწორდეს მდგომარეობა. ამის დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთების იმედს იძლევა ახალი პოლიტიკური სიტუაცია.

ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს დახმარება სოფლისადმი შედეგს მოიტანს, მაშინ, როდესაც გატარებული იქნება სწორი პოლიტიკა მთელ ეკონომიკაში. რომ სოფლის მეურნეობის განვითარება დიდადაა დამოკიდებული საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის (განსაკუთრებით მრეწველობის) განვითარებაზე. ის წარმატებები, რომლებიც არის განვითარებულ ქვეყნებში, სწორედ საერთო ეკონომიკურმა განვითარებამ განაპირობა. მაგალითად, თუ ეკონომიკა მზად არ იქნება მიიღოს სოფლიდან გამოთავისუფლებული მუშახელი (არადა ამის აუცილებლობა სწორი პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში აუცილებლად დადგება. ეაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1932 წლიდან 1992 წლამდე ფერმერთა რიცხოვნობა ამ ქვეყნის მოსახლეობის 25 პროცენტიდან 2 პროცენტამდე შემცირდა) [392], მაშინ როგორც მთელი ეკონომიკისათვის, ისე სოფლის მეურნეობისათვის პროცესები ცუდად წარიმართება.

მაშასადამე, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები განხილულ უნდა იქნეს მთელი ეკონო-

მიკის განვითარების პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

სოფლის პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ურბანიზაციისა და სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მიგრაციის პროცესსაც. უნდა ითქვას, რომ გარკვეულ ეტაპამდე ამ პროცესებმა დადებითი როლი ითამაშა როგორც საერთოდ ეკონომიკის (მასშტაბის ეფექტი, სამუშაო ადგილების მუშახელით უზრუნველყოფა და ა.შ.), ისე სასოფლო წარმოების განვითარების საქმეში. ეშმაგრამ, საბოლოოდ, ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან ერთად სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციის გამო აქ წარმოიშობა ჭარბმოსახლეობა, რაც იწვევს უმუშევარობა რაოდენობის ზრდას და რაც ამწვავებს სოციალურ, პოლიტიკურ და კრიმინოგენურ სიტუაციას, ვინაიდან ჭარბმოსახლეობის გამო უარესდება ქალაქის მოსახლეობის საბინაო პირობები და შესაბამისი ინფრასტრუქტურით (გზები, სანიტარული პირობები, წაყლი და ა.შ.) უზრუნველყოფის ხარისხი. მოქალაქეთა დიდი ნაწილი ცხოვრობს ეგრეთ წოდებულ ჯურღმულებში" (slums), ხოლო ზოგი, საერთოდ, უსახლკაროა. სამრეწველო საწარმოთა მსხვილ ქალაქებში თავმოყრის გამო უარესდება ეკოლოგიური სიტუაცია და სხვა. 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოში ჯურღმულებში ცხოვრობდა 924 მლნ მოქალაქე,

---

გაეროიანებული ერების ორგანიზაციის განმარტების თანახმად, ადამიანი ცხოვრობს ჯურღმულებში, ოუ ის ვერ აკმაყოფილებს ერთერთის შემდეგი მოთხოვნებიდან: სუფთა, გამოყენებისათვის ვარგისი წყლის საჭირო რაოდენობა; გამართული კანალიზაცია; საკმარისი საცხოვრებელი ბინა (ერთ ოთახზე არაუმეტეს სამი კაცისა).

ანუ ქალაქის მოსახლეობის 43%, ხოლო დაბალი განვითარების მქონე ქვეყნებში 78%. 2005 წელს მსოფლიოში ითვლებოდა 100 მლნ უსახლკარო ადამიანი.

საბჭოთა კავშირის დროს საპასპორტო რეჟიმი უზრუნველყოფდა მიგრაციის ძლიერ დაბალ დონეს სოფლიდან ქალაქად. საპასპორტო რეჟიმის გაუქმების შემდეგ, ქალაქსა და სოფელს შორის ცხოვრების დონის განსხვავების კიდევ უფრო გაღრმავების შედეგად, მიგრაციის პროცესი გაძლიერდა, ამასთან, ძირითადი მასა მიგრანტებისა იმყოფება დედაქალაქში. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან სოციალისტური წყობილების დროს განსაკუთრებით დედაქალაქები იზრდებოდა და ვითარდებოდა. ემიგრანტთა რაოდენობას ზრდიდა ისიც, რომ განათლების მიღება სოფლად შეუძლებელია და ასევე უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის სამუშაო ადგილები სოფლად არ მოიპოვებოდა. საქართველოში, რადგან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა დღეისათვის დიდია, შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ მათი რაოდენობა ძლიერ მნიშვნელოვნად შემცირდება. რასაკვირველია, გამოთავისუფლებული ადამიანები უნდა დასაქმდნენ ეკონომიკის სხვა სფეროებში. მათი ნაწილი ალბათ წავა ქალაქად, უდიდესი ნაწილი კი უნდა დარჩეს ისევ სოფლად, რისთვისაც აუცილებელია აქ ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება (რა'ხედაც ზემოთ ვისაუბრეთ). საქართველოში მხოლოდ თბილისი შეიძლება განვიხილოთ ისეთ ქალაქად, სადაც მოსახლეობის სიჭარბე იგრძნობა (იმის გათვალისწინებით,

რომ ქალაქის მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილი ემიგრირებულია საზღვარგარეთ. საქართველოს რეგიონებიდან, როგორც სოფლებიდან, ისე ქალაქებიდან ემიგრანტთა რაოდენობა თავმოყრილია ძირითადად მხოლოდ თბილისში. სხვა ქალაქებისათვის მოსახლეობის სიჭარბე არ იგრძნობა. ამდენად, რეგიონულ ქალაქებში მრეწველობისა და ეკონომიკის განვითარების შემთხვევაში საჭირო გახდება სოფლიდან მუშახელის მიგრაცია. რაც შეეხება თბილისს, აქ საზღვარგარეთიდან მიგრანტების დაბრუნების შემდეგ ჭარბმოსახლეობა გაძლიერდება, ამიტომ რაიონებიდან მიგრირებული მოსახლეობა კვლავ რეგიონულ ქალაქებში ან სოფლებში უნდა დაბრუნდნენ.

სოფლიდან ქალაქად მიგრაციას განაპირობებს განსხვავება შრომის ანაზღაურებას შორის სოფლად და ქალაქად. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ შრომის ნაყოფიერება სასოფლო წარმოებაში და ეკონომიკის სხვა დარგებში ერთმანეთს არ გაუტოლდება და ცხოვრების კეთილდღეობის დონე ქალაქად ცხოვრების დონეს არ დაუახლოვდება. რასაკვირველია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ვიდრე საერთოდ სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა (აშშ-ში დღეისათვის სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 27%, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მხოლოდ 2-3%), ვინაიდან სოფელში ფუნქციონირებს ეკონომიკის სხვა დარგები და დაწესებულებები. ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა შემცირ-

დეს ხოლო სოფლის სხვა სფეროებში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, რაც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ სოფლის მოსახლეობა. თუმცა მოსახლეობის ნაწილი მაინც წავა ქალაქად, რაც ქალაქების განვითარებისთვისაც აუცილებელია.

კითხვები და დავალებები

1. რა არის სასოფლო ადგილი? რა განსხვავებაა სოფლის ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობას შორის?
2. ეკონომიკის რომელი დარგი უნდა განვითარდეს წინსწრები ტემპებით? აბრარული (სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მონადირეობა, მეთევზეობა) თუ მრეწველობა?
3. საჭიროა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა სასოფლო დარგების განვითარებისადმი? რატომ?
4. სოფლის მეურნეობის რამდენი ძირითადი ტიპი არსებობს დღეისათვის მსოფლიოში და რა განსხვავებაა მათ შორის?
5. და განაპირობებს პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის სოფლისადმი დახმარების აუცილებლობას?
6. სოფლისადმი დახმარების აუცილებლია მხოლოდ პოსტკომუნისტური ქვეყნებისადმი თუ ის ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებშიდაც?
7. რა უნდ ვაახალისოს სახელმწიფომ სოფლისადმი მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებით?
8. სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები განხილულ უნდა იქნეს თუ არა მთელი ეკონომიკის განვითარების პრობლემებთან მჭიდრო კავშირში? დაასაბუთეთ.
9. მჭიდროდ უკავშირდება თუ არა სოფლის პრობლემები ურბანიზაციისა და სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მიგრაციის პროცესებს? რაში მდგომარეობს იგი?
10. დაადგინეთ საქართველოს სოფლებში არსებული ნაკლოვანებები და იმსჯელეთ მათი აღმოფხვრის გზებზე.

თავი VIII

ეკონომიკური განვითარების ინდიკატორთა სისტემა

ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივი გაზომვა მეტად რთულია, ვინაიდან თვისებრივი ცვლილებების გამოხატვა ციფრებით ზოგჯერ შეუძლებელიც კია. განსაკუთრებით ძნელია იგი გარდამავალ პერიოდში, როდესაც ერთი ეკონომიკური წყობა იცვლება მეორეთი და ამას თან ახლავს ეკონომიკური დაქვეითება. საქმე გვაქვს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესთან ‹ ეკონომიკური სისტემა გადადის ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლები კი უარესდება. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები უმჯობესდება, მაგრამ სოციალური მდგომარეობა უარესდება და ა.შ.

უპირველეს ყოლისა, უნდა გაირკვეს, თუ როდის აქვს ადგილი ეკონომიკურ განვითარებას — როდესაც უმჯობესდება ეკონომიკური თუ სოციალური მაჩვენებლები, თუ მაშინ, როდესაც ხდება პროგრესული ცვლილებები ეკონომიკურ სისტემაში, ან რომელიმე ორ შემთხვევაში, ან სამივე შემთხვევაში ერთდროულად?

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მთელი ეკონომიკური სისტემა უნდა ემსახურებოდეს ადამიანს, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მაგრამ, შეუძ-

ლებელია არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღების ცენტრში უნდა ვიქონიოთ არა პირადი, არამედ ქვეყნის საერთო ინტერესები. შესაძლებელია, ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების შედეგებმა ასახვა ვერ პოვოს სოციალურ მაჩვენებლებში (თავდაცვის გაძლიერების, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების დროს და ა.შ.).

მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს ან მეპ-ის სიდიდე მთელი სისრულით ვერ გამოსახავს ეკონომიკური განვითარების დონეს, ვინაიდან აქ არ ჩანს მეპ-ის სტრუქტურა ˹ თუ რამდენად პროგრესულია იგი. შემოხმარებული და წარმოებული პროდუქციის სტრუქტურა ხშირად არ შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, ქვეყანაში მოხმარებული პროდუქციის სტრუქტურა უფრო პროგრესულია, ვიდრე წარმოებულის. ამიტომ ეკონომიკურ განვითარებაზე მხოლოდ ცხოვრების დონით მსჯელობა შეუძლებელია. ე.ი. ˺გლობალიზაციის პირობებში კეთილდღეობის დონე ქვეყანაში შეიძლება იყოს მაღალი (მაგალითად, მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამო), ხოლო ეკონომიკური გავითარების დონე დაბალი, წარმოების ფაქტორთა დაბალი განვითარების გამო.

ამდენად, ეკონომიკურ განვითარებაზე ერთი რომელიმე კატეგორიის მაჩვენებლებით მსჯელობა შეუძლებელია. აქ უნდა გამოიყოს ეკონომიკური, სოციალური და თვისებრივი მაჩვენებლები.

ეკონომიკური მაჩვენებლები. ამ სახის მაჩვენებლებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მთლიანი შიგა (ან ეროვნული) პროდუქტი, გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე. რასაკვირველია, ამ მაჩვენებლის ზრდა, თვით მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების პირობებშიც კი, ეკონომიკური განვითარების შედეგია. მაგრამ, მას აქვს ნაკლიც. ჯერ ერთი, მისი შემცირება ყოველთვის არ ნიშნავს შეფერხებას ეკონომიკურ განვითარებაში (მაგალითად, მასალა- ან ენერგოტევადობის შემცირების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დროს და ა.შ.), მეორეც, მისი ზრდა არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის ყველა ფენის მდგომარეობა გაუმჯობესდა, უფრო მეტიც, შესაძლებელია უღარიბესი ფენის მდგომარეობა გაუარესდა კიდევაც. იგი ასევე ვერ იძლევა წარმოდგენას შემოსავლების უთანაბრობის გაზრდის ან შემცირების შესახებ.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, მოყვანილი მაჩვენებლის უგულებელყოფა არასწორია. მისი გამოყენება სასარგებლო იქნება ისეთ მაჩვენებლებთან ერთად, რომლებიც გვიჩვენებენ გაიზარდა თუ შემცირდა ღარიბი ფენის შემოსავალი ერთ სულზე და გაიზარდა თუ შემცირდა შემოსავლების უთანაბრობა ქვეყანაში. ეს მაჩვენებლებია: ა) შემოსავალი ღარიბი ფენის ერთ სულზე საშუალოდ; ბ) ჯინის კოეფიციენტი. როგორც უკვე ითქვა, ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენად ახლოს ან შორსაა შემოსავლების უთანაბრობის დონე იდეალურისაგან (სრული გათანაბრებისაგან). როცა იგი ტოლია 0-ის,

მაშინ საქმე გვაქვს შემოსავლების სრულ გატანაბრებასთან, ხოლო როცა იგი 1-ის ტოლია — სრულ უთანაბრობასთან.

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე კარგი შემთხვევაა, როდესაც მთლიანი ეროვნული პროდუქტის სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე და შემოსავალი ღარიბი ფენის ერთ სულზე საშუალოდ იზრდება, ხოლო ჯინის კოეფიციენტი მცირდება. დანარჩენ შემთხვევაში აღნიშნულ მაჩვენებელთა ერთდროული ან დამოუკიდებელი გაუმჯობესება მაინც მიგვანიშნებს დადებით თვისებრივ ცვლილებებზე ეკონომიკურ სისტემაში.

ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ასევე შესაძლებელია გამოვიყენოთ ეროვნული შემოსავალი, წმინდა ეროვნული პროდუქტი, მთლიანი შიგა პროდუქტი, ექსპორტის მოცულობა, ინვესტიციების მოცულობა ინოვაციებზე, განათლებაზე, მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე და სხვ.

ეკონომიკური მაჩვენებლებიდან უნდა გამოიყოს ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია შრომის მწარმოებლურობაზე, წარმოების რენტაბელობაზე, კაპიტალის უკუგებაზე, მასალატევადობაზე და სხვ.

ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებელი ასევე დამოკიდებულია ეკონომიკის სტრუქტურაზე.

სოციალური მაჩვენებლები. სოციალური მაჩვენებლებიდან ყველაზე ცნობილია ადამიანის განვითა-

რების ინდექსი (Human Development Index). იგი ეფუძნება სამ ისეთ მახასიათებელს, როგორიცაა:

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;

- განათლების ინტეგრალური მაჩვენებელი;

ცხოვრების დონე (მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე).

იგი გაიანგარიშება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ და ქვეყნდება ყოველწლიურად.

გარდა ამისა გამოიყენება ეკონომიკური განვითარების მრავალი სხვა სოციალური მაჩვენებელი:

- სამედიცინო მომსახურების დონე;
- დაავადების ხარისხი;
- სოციალური უზრუნველყოფა;
- გარემოს მდგომარეობა;
- შრომის პირობები;

საშუალო და უმაღლესი განათლების მოცვის ხარისხი;

- გაზეთების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე;
- დასაქმების დონე სპეციალობის მიხედვით;

ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და სხვ. მოხმარება ერთ სულზე;

- ადამიანთა საშუალო რაოდენობა ერთ ოთახზე;
- ცხოველური ცხიმის მოხმარება ერთ სულზე დღეში;
- სიცოცხლის ხანგრძლივობა;
- შობადობის საერთო კოეფიციენტი;
- დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყარე და ა.შ.

თვისებრივი მაჩვენებლები. სოციალური და ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოადგენს შედეგობრივ მაჩვენებლებს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური განვითარების პროცესი მიმდინარეობს სოციალური და ეკონომიკური შედეგების არათუ გაუმჯობესების, არამედ გაუარესების ფონზეც. ამდენად, აუცილებელია ისეთი მაჩვენებლების გამოყოფა, რომლებიც გვიჩვენებენ თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკურ სისტემაში. ასეთი მაჩვენებლებია:

საკუთრების ფორმების ცვლილება;

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;

საწარმოთა რესტრუქტურიზაცია;

საწარმოთა პრივატიზება;

საწარმოთა რეკონსტრუქცია-გადაიარაღება;

ინსტიტუციური ცვლილებები;

ინოვაციებზე გაწეული ინვესტიციების ხვედრითი წილი ინვესტიციების საერთო რაოდენობაში;

განათლებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში;

მეცნიერების განვითარებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში;

განათლების დონე;

პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები და სხვ.;

ბიზნესის, ვაჭრობის, ინვესტიციების განხორციელების თავისუფლება;

მესაკუთრის უფლებათა დაცვა და სხვ.

კითხვები და დავალებები:

1. რატომაა რთული ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივი გაზომვა?
2. როდის აქვს ადგილი ეკონომიკურ განვითარებას?
3. რა სახის მაჩვენებლები არსებობს ეკონომიკური განვითარების შესაფასებლად?
4. დაახასიათეთ ეკონომიკური განვითარების სოციალური მაჩვენებლები.
5. დაახასიათეთ ეკონომიკური განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები.
6. დაახასიათეთ ეკონომიკური განვითარების თვისებრივი ცვლილებების გამომხატველი მაჩვენებლები.
7. მოიკოვეთ შესაბამისი ლიტერატურა თუ როგორ გაიანგარიშება ჯინის კოეფიციენტი და ადამიანის განვითარების ინდექსი

თ ა ვ ი IX

ეკონომიკური განვითარების თავისებურებები თანამედროვე მსოფლიოში

მიუხედავად გლობალიზაციის მაღალი ტემპებისა თანამედროვე მსოფლიო სრულიადაც არ არის ერთნაირი. ქვეყნები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყნებს ყოფდნენ კაპიტალისტურ, სოციალისტურ და განვითარებად ანუ "მესამე მსოფლიოს" ქვეყნებად. დღეისათვის ძირითადად გამოყოფენ განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

9.1. განვითარებული ქვეყნები

განვითარებულ ქვეყნებს აქვთ მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უდიდესი დონე. XX საუკუნის მიწურულს მათზე მოდიოდა მსოფლიო წარმოების 55%. ამ ჯგუფიდან გამოიყოფა ეგრეთ წოდებული "შვიდეული" (აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, იტალია), რომლებიც აწარმოებენ მსოფლიო შიგა პროდუქტის 30%-ზე მეტს. ამათგან: აშშ – 15,8 იაპონია – 4,26, გერმანია – 3,38%-ს.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან განვითარებული ქვეყნები შევიდნენ პოსტინდისტრიული განვითარების სტადიაში. პოსტინდუსტრიული საზოგადოე-

ბის ძირითადი ნიშან-თვისება არის ის, რომ მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის მესამე სექტორის (მომსახურების) ხვედრითი წილის ზრდა, მაშინ როდესაც ტრადიციული საზოგადოების დროს დომინირებდა ეკონომიკის პირველადი სექტორი (სოფლის და ტყის მეურნეობა, მონადირეობა და თევზჭერა), ხოლო ინდუსტრიალიზაციის დროს ეკონომიკის მეორადი სექტორი (მრეწველობა და მშენებლობა). თუ ტრადიციულ საზოგადოებაში ძირითადი ეკონომიკური ურთიერთობები დაკავშირებული იყო მიწასთან, ინდუსტრიულ საზოგადოებაში კი კაპიტალთან, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში იგი დაკავ-შირებულია ცოდნასთან და მაღალკვალიფიციურ შრომასთან, ინფორმაციული, მეცნიერებატევადი დარგების პრიორიტეტულ განვითარებასთან. ამ საზოგადოების მიზანია ადამიანის ყოველმხრივი განვითარება სოციალური თანასწორობის, ინტელექტუალური სრულყოფის, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების საფუძველზე. მისი ძირითადი მიზანია, აგრეთვე, ზრუნვა მომავალი თაობებისათვის, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევის მეშვეობით.

პოსტინდუსტრიული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება განხორციელდა ინდუსტრიული ეკონომიკური სისტემის განვითარების, მისი ელემენტების თანდათანობით სრულყოფის საფუძველზე. ძირეული ცვლილებები მოხდა როგორც ფიზიკურ, ისე ადამიანისეულ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, საკუთრების ფორმებში და ინსტიტუციებში. ფიზიკური კაპიტალი აქ ეფუძნება უმაღლეს ტექნოლოგიებს. წარმოების ელექტრონიზაცია, ფართო კომპიუტერიზაცია და რობოტიზაცია ადამიანს ათავისუფლებს წარმოების უშუალო პროცესებიდან და ანიჭებს მას წარმოების პროცესების რეგულატორისა და კონტროლიორის

ფუნქციებს. ამის საფუძველზე მაღლდება მოთხოვნა დასაქმებულთა კვალიფიციური დონისადმი, იზრდება წარმოების, შრომისა და მიღებული პროდუქციის ინტელექტუალიზაციის დონე. თავის ძველ მნიშვნელობას კარგავს ინდივიდუალური კერძო საკუთრება, დომინირებულ მნიშვნელობას იძენს საკუთრების ასოცირებული ფორმები (კოოპერაციული, აქციონერული, პარტნიორული, კოლექტიური, კორპორაციული, შერეული). შესამჩნევად იზრდება ინსტიტუციების, განსაკუთრებით, სახელმწიფოს როლი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ბაზრის ნაკლოვანებების დაძლევა და რომელიც საბაზრო ეკონომიკას სოციალურ მიმართულებას აძლევს. აქედან გამომდინარე, პოსტინდუსტრიულ სამეურნეო სისტემას აქვს როგორც "სოციალური," ასევე "შერეული" ხასიათი. არსებითად საქმე გვაქვს **ახალ ეკონომიკასთან, ანუ შერეულ ეკონომიკასთან.**

განვითარებულ ქვეყნებს შორის განსხვავება უპირველეს ყოვლისა ვლინდება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხში. ამის მიხედვით განასხვავებენ შერეული ეკონომიკის სხვადასხვა მოდელს: ამერიკულს, გერმანულს, იაპონურს, შვედურს, კორეულს და სხვ. მათგან ყველაზე უფრო ლიბერალურია ამერიკული, ხოლო ყველაზე არალიბერალური — შვედური მოდელი.

ეკონომიკური განვითარების პროცესი დიდადაა დამოკიდებული მის საწყის დონეზე. მაგალითად, ეკონომიკურად ჩამორჩენილ და განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ მზამზარეულად გამოიყენონ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, ტექნოლოგიური და ინსტიტუციური მიღწევები და სხვა. მაშინ როდესაც, განვითარებული ქვეყნები ამ შესაძლებლობებს მოკლებულნი არიან.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულება კვლავ იქნება პოსტინდუსტრიალიზაცია. კვლავ გაგრძელდება მომსახურებისა და მეცნიერებატევადი დარგების ხვედრითი წილის ზრდა. კვლავ ამაღლდება განათლებისა და ცოდნის, საერთოდ, ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელობა. შრომა იქნება არა მხოლოდ მაღალანაზღაურებადი, არამედ სასიამოვნო და ჰუმანური. კიდევ უფრო გაძლიერდება წარმოების ინფორმატიზაციის, კომპიუტერიზაციისა და რობოტიზაციის პროცესი. კიდევ უფრო გაუჯობესდება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებები. დასრულდება მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის პროცესი, რისთვისაც კვლავ უდიდესი ყურადღება დაეთმობა ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შექმნას, ენერგიის ახალ სახეობათა აღმოჩენასა და გამოყენებას.

9.2. განვითარებადი ქვეყნები

განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება სახელმწიფოები საბაზრო ეკონომიკით და ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონით. თუმცა, ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ამ ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა და დღესაც გრძელდება მათი დიფერენციაციის პროცესი. ზეს ჯგუფი არცთუ დიდი ხნის წინ დატოვა სამხრეთ კორეამ, ტაივანმა, სინგაპურმა, ჰონკონგმა. ევროკავშირის ჯგუფს შეუერთდა თერთმეტი ქვეყანა: ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვა, პოლონეთი, რუ-

მინეოი, სლოვენია, სლოვაკია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციით, განვითარებადი ქვეყნები იყოფა ნაკლებად განვითარებულ, განვითარებად და ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებად. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კლასიფიკაციით კი – ქვეყნებად შემოსავლების დაბალი დონით, შემოსავლების საშუალო დონით, ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებად და ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებად.

ღებულობენ რა უზარმაზარ შემოსავლებს ნავთობის რეალიზაციის შედეგად, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა შეძლეს ეკონომიკის მოდერნიზაცია, ცხოვრებისა და განათლების დონის ამაღლება. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე განვითარებული სახელმწიფოების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ენერგოტევადობის შემცირების, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის, საკუთარ ტერიტორიებზე ნავთობის მოპოვების გაზრდის მიმართულებით, მნიშვნელოვნად შეამცირეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მონოპოლიური მდგომარეობა.

ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა შეძლეს განვითარებინათ მრეწველობა, განსაკუთრებით მისი საექსპორტო დარგები. ისინი თანდათან ამაღლებენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას.

ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე (შემოსავლების უკიდურესი სიმცირე, სიღარიბე, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, არადა-

მაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, არასაკმაო განათლება ან მთლიანად უქონლობა, პატარა ასაკში სიკვდილიანობის მაღალი დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობის ცუდი მაჩვენებლები და ა.შ.). ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა უჭირავს მიწათმოქმედების ჩამორჩენილ, მათ შორის, არქაულ ფორმებს. მრეწველობა ძალზე მცირედაა განვითარებული. ამ ქვეყნების ექსპორტში ძირითადად ფიგურირებს ტრადიციული პროდუქცია.

ყველაზე მძიმე ეკონომიკური სიტუაცია არის ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გაუარესებული ბუნებრივი პირობებისა და არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მრეწველობის განვითარება, ინდუსტრიული საზოგადოების აშენება. ამისათვის აუცილებელია როგორც შიგა, ისე გარე რეზერვების ამოქმედება. ამასთან, სწორედ უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს მათი განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

ხშირ შემთხვევაში ამ ქვეყნების განვითარებას ამუხრუჭებს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკაც. ბევრ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკისათვის შეუსაბამო ექსპერიმენტების განხორციელებას ეკონომიკური რეგრესი მოჰყვა.

93. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები არის ის ქვეყნები, რომელთაც უარი თქვეს მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკაზე და დაიწყეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. რეფორმების განხორციელების მცდელობა საგეგმო ეკონომიკის გარდასაქმნელად დაიწყო იუგოსლავიაში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, შემდეგ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. სერიოზული ეკონომიკური რეფორმები დაიწყო ჩინეთში 1978 წელს.

დიდი მასშტაბის გარდაქმნები, რომელსაც ეპოქალური მნიშვნელობის პოლიტიკური ცვლილები მოჰყვა, დაიწყო 1989 წელს საბჭოთა კავშირში [338] და რომელიც, გარკვეულწილად, დღესაც მიმდინარეობს. ამ გარდაქმნებს პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციასაც უწოდებენ. იგი განხორციელდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 12 და ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 ქვეყანაში.

ტრანსფორმაციის გზაზე ყველაზე სწრაფად წარმატებებს მიაღწიეს იმ ქვეყნებმა (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკია, სლოვენია და ბალტიის ქვეყნები), სადაც უკვე არსებობდა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, რომელთაც მჭიდრო ეკონომიკური და ისტორიული კავშირები ჰქონდათ დასავლეთ ევროპასთან და საგანგებოდ ემზადებოდნენ რეფორმებისთვის. იმ ქვეყნებში (დსთ-ს წევრი ქვეყნები, საქართველო, ბულგარეთი, იუგოსლავია, ალბ-

ანეთი, მონღოლეთი) კი, სადაც არ არსებობდა საბაზრო საფუძვლები, მჭიდრო კავშირები წამყვან ქვეყნებთან, წინასწარ სერიოზულად არ ემზადებოდნენ გარდაქმნებისთვის, ადგილი ჰქონდა სოციალურ დაძაბულობებსა და სამხედრო კონფლიქტებს, რეფორმები შედარებით ძნელად წარიმართა, მათ შორისაა საქართველოც.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ნიშნავს ეკონომიკის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის შეცვლას საბაზრო სისტემით. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მიზანი ერთია – ეკონომიკური განბითარების დაჩქარება ეკონომიკის საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალური ურთიერთშეხამების საფუძველზე. ე.ი. შერეული, ანუ ახალი ეკონომიკის აშენება.

რეფორმების განხორციელების მცდელობა საგეგმო ეკონომიკის გარდასაქმნელად დაწყებული იქნა იუგოსლავიაში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, შემდეგ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. სერიოზული ეკონომიური რეფორმები კი, რომელსაც საბოლოოდ დიდი შედეგები მოჰყვა, დაიწყო ჩინეთში 1978 წელს.

დიდი მასშტაბის გარდაქმნები, რომელსაც თან მოჰყვა ეპოქალური მნიშვნელობის პოლიტიკური ცვლილები დაიწყო 1989 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში და რომელიც გარკვეულწილად დღესაც მიმდინარეობს. რეფორმების გზაზე ამ ქვეყნებმა უკვე გადალახეს მრავალი სირთულე და მეტნაკლები სიდიდით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

შესაძლებელია გამოვყოთ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ძირითადი დამახასიათებელი თავი-

სებურებები: 1. ანალოგიური გარდამქნების პრაქტიკის უქონლობა. 2. გარდაქმნის მიმდინარეობა ეკონომიკური სტაგფლაციის პირობებში. 3. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ძირეული ტრანსფორმაცია. 4. ღრმა ინსტიტუციონალური გარდაქმნები და ადამიანის როლისა და ადგილის ცვლილება. 5. სტრუქტურული კრიზისი. 6. საგარეო ფაქტორის როლის ზრდა 7. სოციალური პრობლემების გამწვავება და სხვა.

პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციას მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. იგი არის უნიკალური მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყნისათვის. ეს, რასაკვირველია ბადებს მნიშვნელოვან სიძნელეებს რეფორმების განხორციელების გზაზე, თუნდაც მოულოდნელი პრობლემების წარმოშობის თვალსაზრისით. მართალია, გარდაქმნის მიზანი თითქმის ცხადია ' მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის შეცვლა საბაზრო მექანიზმით, მაგრამ, ჯერ ერთი, საბაზრო ეკონომიკამ დიდი ცვლილებები განიცადა და მეორეც, იგი თანამედროვე პირობებში არსებობს არა ერთი რომელიმე, არამედ ერთმანეთისაგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავებული ფორმით (მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის ამერიკული და შვედური მოდელი და ა.შ.).

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში მიმდინარეობს არსებული სისტემის ძირეული ნგრევის პირობებში, რის გამოც გარდაქმნების პირველ ეტაპზე მას აუცილებლად მოსდევს ეკონომიკური დაქვეითება და ინფლაციური პროცესების გაძლიერება (არსებული ფარული ინფლაციის გამო). შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო სისტემაზე გადასვლის საწყისი ეტაპი მიმ-

დინარეობს ტრანსფორმაციული სტაგფლაციის პირობებში.

გარდამავალ პერიოდში ხორციელდება სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ძირეული ტრანსფორმაცია. იგი კარგავს ეკონომიკის უშუალოდ მართვის, მაგრამ იძენს ფორმირებადი ბაზრის და ტრანსფორმაციული პროცესების რეგულირების ფუნქციას. შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სახელმწიფოს აკისრია გარკვეული ინდიკატორის როლი, რომელსაც შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ამ გადასვლის მიმდინარეობა. მეცნიერულად დასაბუთებული მექანიზმის შემუშავების და მისი განხორციელების მეშვეობით სახელმწიფომ შეიძლება იგივე როლი შეასრულოს საბაზრო ურთიერთობათა დამყარების, შემდეგ კი მისი განმტკიცების საქმეში, როგორსაც თვით მეწარმეობა ასრულებს.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს მიმდინარეობს სიღრმისეული ინსტიტუციური ცვლილებები. განსაკუთრებით სწრაფად იცვლება, ფორმალური, შედარებით ნელა კი არაფორმალური ინსტიტუტები. ფორმალური ინსტიტუტებიდან იცვლება საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, ეკონომიკის მართვის ორგანოების სტრუქტურა და ფუნქციები, ყალიბდება საბაზრო ინფრასტრუქტურა და ა.შ. არაფორმალური ინსტიტუტებიდან კი იცვლება დამკვიდრებული ტრადიციები, ადამიანთა ქცევები, ესთეტიკური და ეთიკური ღირებულებები და ა.შ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტურ ქვეყნებში ჩამოყალიბებული "Homo soveticus"-ის ადამიანის ტიპის გარდამნას "Homo economcus"-ად. ბუნებრივია, ეს მეტად სიღრმისეული პროცესი ერთბაშად ვერ განხორციელდება, ვინაიდან ადამიანებში საკმაოდ დიდი ხნის

მანძილზე რჩება ძველი მენტალიტეტი. ამის გამო ტრანსფორმაციის პირობებში ყალიბდება ადამიანის ახალი ტიპი ჰომო ტრანსფორმატიცუსი, რომელიც ჯერ არ არის "Homo economcus"-ი, მაგრამ არც საქმოსანია (საბჭოური გაგებით), მას შეიძლება პოსტსაქმოსანი ადამიანი ეწოდოს [103].

სტრუქტურული კრიზისის საფუძველს გარდამავალ პერიოდში წარმოადგენს ფასების გათავისუფლება, რის გამოც მწარმოებლის პრიმატი მომხმარებლის მიმართ იცვლება მომხმარებლის პრიმატით მწარმოებლის მიმართ. ის წარმოებები, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა კლებულობს, იკეცება, ხოლო წარმოებები, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება ფართოვდება. სტრუქტურული ცვლილებები მიმდინარეობს ყველა მაკრო, დარგობრივ, შიდადარგობრივ და მიკრო დონეზე, საკუთრების ფორმებში ტექნიკასა და ტექნოლოგიებში, ინსტიტუციებში და ა.შ.

საგარეო ეკონომიურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია ეკონომიკური რეფორმების დაჩქარების და ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რაც ხორციელდება უცხოური ინვესტიციების შემოსვლის და საერთაშორისო ეკონომიური ორგანიზაციების დახმარების გზით. ყოველივე ეს, სახელმწიფოს მიერ სწორი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირობებში, ამცირებს გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობას და აჩქაებს ეკონომიკური განვითარების ტემპებს, ისე, რომ საჭირო აღარ გახდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა გაიარონ ინდუსტრიალიზაციის ყველა ის ეტაპი, რომელიც განვითარებულმა ქვეყნებმა გაიარეს. მაგრამ თუ ქვეყანა ეფექტიანად ვერ გამოიყენებს საგარეო ბერკეტებს, მაშინ ისინი შესა-

ძლებელია განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებად იქცნენ. მაგალითად, საერთაშორისო სესხების არაეფექტიანად გამოყენებას აუცილებლად მოჰყვება დიდი რაოდენობის საგარეო ვალების მძიმე ტვირთის წარმოშობა, რამაც ქვეყანა შესაძლებელია დეფოლტად გამოცხადებამდე მიიყვანოს. ამავე დროს, თუ სახელმწიფომ არ განახორციელა გააზრებული პროტექციონისტული პოლიტიკა, მას ეკონომიკის მთელი რიგი ეროვნული დარგების გაჩანაგება და კონკურენტუნარიანობის შესუსტება მოჰყვება. რეფორმების განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სოციალურ ფაქტორს, ვინაიდან სწორედ საზოგადოებაში არსებული სოციალური ფენების შრომითი და პოლიტიკური აქტიობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გარდაქმნების მსვლელობის სისწრაფეს და საბოლოო შედეგს. სიტუაციას ართულებს ის, რომ პირველ ეტაპზე მნიშვნელოვნად მცირდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს რეფორმების ჩქარი წესით ("შოკური თერაპია") განხორციელების დროს. ამდენად, სოციალური დაცვის პრობლემა გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

საბაზრო ტრანსფორმაციის კანონზომიერებებიდან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში უნდა განხორციელდეს შემდეგი გარდაქმნები: ფასების ლიბერალიზაცია; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრა; ინფლაციის შეზღუდვა და ლიკვიდაცია; საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და სრულყოფა. საკუთარი ვალუტის შემოღება (იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ახლა მოიპოვეს დამოუკიდებლობა); საგარეო ურთიერთობათა ლიბერალიზაცია, მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება; პრივატიზაციის განხორციელება; ფულად-

საკრედიტო და საფინანსო სისტემის გარდაქმნა (ახალი საბანკო სისტემის და კაპიტალის ბაზრის ფორმირება); საგადასახადო სისტემის გარდაქმნა და სრულყოფა; სოციალური დაცვის სისტემის ფორმირება; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება და კონკურენციის გაძლიერება; ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფა; ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და ზრდის მდგრადი ტემპების შენარჩუნება. სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეობა პრიორიტეტული სამეწარმეო პროექტების დაფინანსებაში და ა.შ.

არსებობს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ორი გზა: "შოკური თერაპია" და "გრადუალიზმი". შოკური თერაპიის დროს გარდაქმნები უნდა განხორციელდეს უმოკლეს ვადებში, რომელიც გულისხმობს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციისა და ნომინალური ფულის მასის ან ვალუტის საცვლელი კურსის დაფიქსირების პირობებში. შოკური თერაპია შეესაბამება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ სცენარს.

გრადუალიზმი ნიშნავს გარდაქმნების თანდათან, ეტაპობრივად განხორციელებას. იგი შეესაბამება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ სცენარს.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირველი გზა გამოყენებული იქნა გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო შემდეგ – პოლონეთში და მეტნაკლები წარმატებით ზოგიერთ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაშიცმეორე გზის წარმატებული გამოყენება მოხდა ჩინეთში და ასევე წარმატებით გამოიყენება ტაჯიკეთში.

კითხვები და დავალებები:

1. რით ხასიათდება განვითარებული ქვეყნები?
2. რაში მდგომარეობს ცოდნის როლი პოსტინდისტრიულ საზოგადოებაში?
3. რაში მდგომარეობს პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშან-თვისებებები?
4. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან წმინდა კაპიტალიზმი, ტრადიციული საზოგადოება და საზოგადოება?
5. როგორია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები?
6. რით ხასიათდება განვითარებადი ქვეყნები?
7. როგორია განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაცია?
8. როგორია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები?
9. რა თავისებურებებით ხასიათდება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი?
10. როგორ იცვლება ინსტიტუციები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს?
11. რა წარმოადგენს სტრუქტურული კრიზისის მიზეზს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს?
12. რა მიზნებს ისახავს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია?
13. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის რა გზები არსებობს?
14. რა ღონისძიებები ტარდება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს?
15. შეგისწავლოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე

ლიტერატურა

1. აბესაძე რ. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა. კრებული: "ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში" ოსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (თბილისი, 1-2 ივლისი, 2016), თბ., "ოსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2016

2. აბესაძე რ. მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები. წიგნში: "ერიყნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები". აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალათა კრებული თბილისი, "ოსუ გამომცემლობა", 2015.

3. აბესაძე რ. თანამედროვე ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება. წიგნში: თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბპ., "უნივერსიტეტის გამომცემლობა". 2015.

4. აბესაძე რ. ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში. ოსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, "ოსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2015.

5. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., "ოსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2015.

6. აბესაძე რ ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი, "ოსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2014

7. აბესაძე რ. კონსოლიდირებული ეკონომიკა და ეკონომიკური რეგრესი. წიგნში: ოსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. 6,ბ"ოსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2013.

8. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები ტ. 10. თბილისი, "სიახლე", 2013.

9. აბესაძე რ. სიღარიბის შემცირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში. საერთაშორისო კონფერენცია – "გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები საქართველოში". ჟ: "მეცნიერება და ცხოვრება", 2013, №1 (7).

10. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებები პოსტკომუნისტურ საქართველოში. პროფ. გ. პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: "პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე". თბ., "ოსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2013.

11. აბესაძე რ. სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები საქართველოში. წიგნში: ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. II საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია. თბ., 2013.

12. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის ზრდა. საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული. ნაწ. II. ქუთაისი, "აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2013.

13. აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგადი ასპექტები. წიგნში: "საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები", თბ., "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2013.

14. აბესაძე რ. გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-ეკონომიკური კონფერენციის „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია" მასალათა კრებული. თბილისი, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2012.

15. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და სოფლის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. 5,ბ"თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2012.

16. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და მეწარმეობა. წიგნში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბ., 2012.

17. აბესაძე რ. მაღალი ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება. წიგნში: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების ღირსადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში" თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

18. აბესაძე რ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და თავისებურებები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 4, "თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2011.

19. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი. წიგნში: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 3. 2010,

20. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. წიგნში: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბ., "პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2010.

21. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი. წიგნში: ბ"პაატა გუგუშვილის

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, თბ., „პაატა გუ-გუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, თბ., ტ. 3., 2010.

22. აბესაძე რ. ეკონომიკა და განათლება. წიგნში: ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში. თბ., “სესხე-ს საგამომცემლო ცენტრი”, 2010.

23. აბესაძე რ. სილარიბე და ეკონომიკური განვითარება. წიგნში: თბ., ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“. 2009.

24. აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკა XX-XXI საუკუნის მიჯნაზე. ჟ “ეკონომისტი”, №1. 2009.

25. აბესაძე რ. კორუფცია: მაკროეკონომიკური ასპექტები. წიგნში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა შრომები, თბ., “სიახლე”, 2009.

26. აბესაძე რ. უმუშევრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი განმარტების შესახებ. „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“. 2009.

27. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია. წიგნში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბ., “სიახლე”, 2009.

28. აბესაძე რ. მდგრადი ეკონომიკური განვითარება – XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა. „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, ტ. I. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“. 2008.

29. აბესაძე რ. პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეტაპები. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული“. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“. 2008.

30. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში. წიგნში: ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული“. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“; თბ., „მერიდიანი“, 2007.

31. აბესაძე რ.ეკონ ომიკური განვითარება. თბ, „მერიდიანი“, 2006

32. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმები. ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე”. ეკონომიკის სერია. 2005 № 3-4.

33. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში. თბილისი, “მეცნიერება”, 2004.

34. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების ფაქტორები. წიგნში: "საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", ტ. 4, თბ., "მეცნიერება", 2004.

35. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და მისი თავისებურებანი პოსტკომუნისტურ საქართველოში. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. 3. თბილისი, "მეცნიერება", 2003.

36. აბესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. 2, თბილისი, "მეცნიერება", 2002. 0,6 ნ. თ.

37. აბესაძე რ. გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები. წიგნში: გარდამავალი ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები (საქ. ეკონომისტთა სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული). თბილისი, "თსუ გამომცემლობა", 2002.

38. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და მისი თავისებურებანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს. წიგნში: პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები საქართველოში (საქ. ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები). თბილისი, "მეცნიერება", 2002.

39. აბესაძე რ., არევაძე ნ. საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი წლების შიჯნაზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 4, "თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2011.

40. აბესაძე რ., ბურდული ვ. გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესები მდგრადი განვითარების კონტექსტში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ.5, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2012.

41. აბესაძე რ., კაკულია ე. მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2008.

42. აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი მ. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ., "უნივერსალი", 2004.

43. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი გ., მესხია ი., პაპავა ე., სილაგაძე ა., წერეთელი გ. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. თბ., "მეცნიერება", 2005.

44. ანგურიძე ო. საბიუჯეტო კონტროლის პრობლემური ასპექტები საქართველოში. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: "პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე". თბილისი, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2013.

45. არევაძე ნ. გლობალიზაციის გაღრმავება მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-ეკონომიკური

კონფერენციის მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია". თბილისი, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2012.

46. ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, "სიახლე", 2005.

47. ასათიანი რ. სახელმწიფო როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული თანხმობის გარანტი. რ.პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-ეკონომიკური კონფერენციის მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია". თბილისი, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2012.

48. ასათიანი რ. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა. თბილისი. "სხივი", 2013.

49. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თბ., 2004.სიახლე, 2005.

50. ბალცეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 2002.

51. ბასილია თ., სილაგაძე ა., ნიკვაიძე თ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მოჯადოებაში. თბ., 2001.

52. ბედიანაშვილი გ. ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: მეთოდოლოგიის საკითხები. რ.პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: "პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე". თბილისი, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2013.

53. ბერიძე თ. "შოკური თერაპია" თუ ევოლუციური ტრანსფორმაცია: დეფინიციები და რეალობა. წიგნში: სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში. თბილისი, "ფერიდრიხ ერბერტის ფონდი", 1997.

54. ბერულავა გ. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური ასპექტების შესახებ. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში". თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.5

55. ბერულავა გ. საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირების კანონზომიერებები და მისი სრულყოფის პერსპექტივები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 4, "თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2011.

